

K 205.393  
3



ଓଡ଼ିଆ  
ବ୍ୟାକ୍






თბილისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის  
ბიბლიოთეკა

ГРЕЧЕСКО-ЛАТИНСКАЯ БИБЛИОТЕКА ТБИЛИССКОГО  
УНИВЕРСИТЕТА

BIBLIOTHECA GRAECO-LATINA UNIVERSITATIS THBILISSIENSIS





84(0)3—5  
3 831

၁၆၂၃၁၂၁၂

დიდი რომელი პოეტის კვინტუს პორაციუს ფლა-  
კუსის ლირიკულ ლექსთა კუბული „ოდები“ ანტი-  
კური ხანის უმნიშვნელოვანეს ძეგლთაგანია. მან დი-  
და გავლენა მოახდინა ევროპულ ლირიკაზე და დღემდე  
შეერთა, მეცნიერთა და ფართო მეთხველი სახიობა-  
დოების შეუნელებელი ყურადღების ცენტრშია. პო-  
რაციუსის „ოდები“, პირველად შეიყვნდება ქართულ  
ენაზე.

თსუ ბერძნულ-ლათინური ბიბლიოთეკის  
სარედაქციო კომისია:

ს. ჭორბენაძე, მ. აუგიშვილი, ა. ურუშავაძე (თავმეტლო-  
ბარე), გ. კოპლატაძე (სწავლული მდივანი), ა. ალექ-  
სიძე, ბ. ბრევოვაძე, რ. გორდიშვილი, გ. ოვეჟიაძე, რ. გი-  
მიონშვილი, თ. ნოდია, თ. ყაზბეგიშვილი, მ. dedoგვარი.

ରେପ୍ରେନ୍ଶେନ୍ ଟ୍ରେଡ଼ିଂ: ଡାମ୍ପ୍. ଏ. ଗୁଣ୍ଡୁଳ  
ଡାମ୍ପ୍. ଡାମ୍ପ୍ରେସ୍ଲାର୍ଟ୍ରେ

© የሰበር ልዩ አገልግሎቶች በመሆኑ ተስተካክለዋል፡፡ በመሆኑ ተስተካክለዋል፡፡

4603030000

M 608(06)-88 2,8 6,8



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

## პორაციუსი და მისი პოეზია

კლასიკურ ლათინურ ენაზე შექმნილმა რომაულმა მწერლობამ, რომელიც ანტიკური ლიტერატურის შემადგენელი, ორგანული ნაწილია, უაღრესად მნიშვნელოვანი, შეიძლება ითქვას, არსებითი როლი შეასრულა ევროპული ლიტერატურების აღმოცენების, განვითარებისა და აღზევების საქმეში. ამ მწერლობის ჩამოყალიბება დაიწყო ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნიდან, როცა მონათმფლობელური ფორმაციის წილში აღმოცენებულმა რომის საზოგადოებამ, მისმა თანდათანობით ძლევამოსილმა სახელმწიფომ, თავისი ეკონომიკურ-პოლიტიკური აღმავლობა იმდროინდელი მსოფლიოს დამორჩილებისა და კულტურული ჰეგემონიისაკენ დაუოკებელი მისწრაფების გზით წარმართა. ძველ ბერძნულ მწერლობის ამ დროისათვის განვითარების დიდი, ხანგრძლივი გზა ჰქონდა გავლილი და ეგრეთ წოდებულ ელინისტურ ანუ ალექსანდრიულ პერიოდში იყო შესული. ელინისტურ ქვეყნებთან დაახლოებამ მსოფლიო ასპარეზზე გასულ რომის სახელმწიფოში ბერძნული კულტურის მეტად ნაყოფიერი გავლენა გააძლიერა. ეს გაელენა განსაკუთრებით და საფუძვლიანად დამკვიდრდა რომაული საზოგადოების მატერიალურსა თუ სულიერ ყოფაში რომის მიერ საბერძნეთის დამორჩილების შემდეგ (ძვ. წ. 146 წ.). ბერძნულ-რომაული ურთიერთობა კულტურის სფეროში კარგად გამოხატა დიდმა რომაულმა პოეტმა პორაციუსმა ცნობილი სიტყვებით: Graecia capta ferum victorem cepit et artes intulit agresti Latio – „დაპყრობილმა საბერძნეთმა შეიძყრო ველური გამარჯვებული და ხელოვნებანი შეიტანა მდაბიურ ლაციუმში“.

რომში მეორდებოდა ძველი საბერძნეთის საზოგადოებრივი განვითარების ძირითადი ეტაპები. რომის სახელმწიფოს

მესვეურები სწორედ საბერძნეთის ისტორიაში ეპიებინენ და  
პოლობინენ კიდეც აუცილებელ პასუხებს სუკუთარი ქირ  
ყნის იდეოლოგიურ კითხებზე; მაგრამ სუნიტული მხავე  
ბა-განმეორება რომის მონათმფლობერების აზრით მოვიდის  
ახალ საფეხურზე წარიმართა. ეს ახალი საფეხური ძალუმად  
გამოვლინდა რომაელთა ნულიერი განვითარების ყველა სფე-  
როში. ბერძნულ გავლენასთან ერთად რომაულ კულტურაში,  
კერძოდ, მწერლობაში, თანდათან და განუწყვეტლივ იზრდე-  
ბოდა ნაციონალური ელემენტი, ელინური კულტურის საკუ-  
თარ, ნაციონალურ ნიადაგზე დამყნობის გარდუვალი სურვი-  
ლი. რომაელები შესანიშნავად ახერხებდნენ თავისი მსოფლ-  
მხედველობის, გემოვნებისა თუ წარმოდგენების შეხამებას  
დიდი ელინური კულტურის მოვლენებთან.

მონათმფლობელური ფორმაციის დაუძლეველმა ჭინა-  
ოლმდევობებმა სამოქალაქო ომებისა და რესპუბლიკის კრი-  
ზისის პერიოდში (ძვ. წ. I საუკუნის მანძილზე) წარმოქმნა  
სრულიად ახალი ისტორიული და სოციალური პირობები.  
მკვეთრად გამწვავებულ სოციალურ პრძოლაში ჩამოყალიბე-  
ბული პარტიების, პოპულარებისა და ოპტიმატების, ანტავო-  
ნიზმი სამოქალაქო ოში გადაიზარდა, რაც რომის მონათ-  
მფლობელური რესპუბლიკის დაცემით დამთავრდა.

რომაულ მწერლობას აღარ შეეძლო ბერძნული ლიტე-  
რატურის მხოლოდ ბრძა მიმბაძველი ყოფილიყო. არსებული  
ვითარების შესაბამისად მასში გააქტიურდა რომაული თემა-  
ტიკა და ფართოდ აისახა დიდი სოციალურ-პოლიტიკური და  
კულტურული ძვრები. რომის ლიტერატურის ისტორიის ამ  
მონაკვეთში განსაკუთრებით დაწინაურდა პროზა: განვითარ-  
და ორატორული ხელოვნება, ფილოსოფია, ისტორიოგრაფია,  
მემუარული და ეპისტოლარული ლიტერატურა. დიდი ადგი-  
ლი დაიგირა ორატორულმა ხელოვნებამ (რიტორიკამ). მან  
თავისი დახვეწილი სტილით დიდი გავლენა მოახდინა მწერ-  
ლობის სახეებზე და, უწინარეს ყოვლისა, პროზის დარგებზე.  
ლათინურმა ენამ უდიდეს გამომსახველობით ძალას მიაღწია  
ამ პერიოდის პროზაში, რომლის განუმეორებელი დიდოსტრა-  
ტი იყო გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე, ორატორი და  
ფილოსოფოსი მარკუს ტულიუს ციცერონი (ძვ.

წ. 106—43). მან თავისი პოლიტიკური და სამოსამართლო სი-  
ტყვებით, რიტორიკული და ფილოსოფიური ტრაქტატებით,  
აგრეთვე უაღრესად შინაარსიანი წერილებით, მეტად შე-  
შენელოვანი როლი შეასრულა რომაული ლიტერატურის შემ-  
დგომი განვითარების საქმეში.

ორატორულ პროზას მხარი აუბა ისტორიულ-პუბლიცის-  
ტურმა უანრმა, რომელიც მემუარებისა და წარსულ თუ თა-  
ნამედროვე ამბავთა შემცველი ტრაქტატების ფორმით გამოი-  
ხატა. ამ უანრის თხზულებათა ნიმუშებია გაიუს იულიუს  
კეისრის (ძვ. წ. 100—44) „შენიშვნები გალებთან ომის  
თაობაზე“ და „სამოქალაქო ომისათვის“, აგრეთვე — გაიუს  
სალუსტიუს კრისპუსის (ძვ. წ. 86—35) „ეატი-  
ლინას შეთქმულებისათვის“ და „იუგურთას ომი“.

უხვი პროლუქციით გამოიჩეოდა მეცნიერი ენცი-  
კლოპედისტი ანუ პოლიპისტორი მარკუს ტერენიუს კარ-  
ნი (ძვ. წ. 116—27). მას მიეკუთვნება მრავალი  
თხზულება ცოდნის სხვადასხვა დარგში (ფილოსოფია, რიტო-  
რიკა, პოლიტიკა, იურისპრუდენცია, გრამატიკა, ლიტერა-  
ტურათმუნიკაცია და სხვ.). ვარონის თხზულებათა დამახა-  
სიათებელი იყო გარდასულ დროთა რომანტიკული იდეალი-  
ზაცია (ნაწილობრივ მოღწეულია ვარონის ტრაქტატები —  
„ლათინური ენისათვის“ და „სოფლის მეურნეობისათვის“).

პროზასთან ერთად განვითარდა მაღალი მხატვრული  
რანგის პოეზია, რომლის უმთავრესი წარმომადგენლები იყ-  
ნენ ლუკრეციუსი და კატულუსი.

ტიტუს ლუკრეციუს კარუსი (ძვ. წ. 98—55)  
ეპიკურეს მატერიალისტური მოძღვრების საფუძველზე ქმნის  
დიდაქტიკურ პოემას „საგანთა ბუნებისათვის“, რომელშიაც  
ფილოსოფიური მასალის პოეტიზაცია უმაღლეს მხატვრულ  
ფორმებამდეა აყვანილი. ავტორის მიზანია სამყაროს წარმო-  
შობის მატერიალისტური ახსნა და ადამიანის გათავისუფლება  
რელიგიისა და ცრურწმენათა მონობისაგან.

ელინისტური პოეზიის საფუძველზე აღმოცენებულსა და  
ნაციონალურ ნიადაგზე განვითარებულ რომაულ ლიტორიკას  
ახალი გზა გაუკავეს ე. წ. ნეოტერიკოსებმა, რომელთა მე-  
თაური იყო უნივერსეტესი პოეტი, რესპუბლიკური წყობილები-

სათვის თვეგამოდებული მოღვაწე გაიცა ვალერიუს  
კატელუსი (ძვ. წ. 87—54). იგი უნაზეს ლეიაფულ ლე-  
ქსებში აღამიანის ყველაზე სათუთ, ინტენსუ გამომხეთა...  
სიყვარულსა და მეგობრობას უგალობრივ დაუკავშირდებოდა. და-  
ბერძნულ პოეზიაზე დაყრდნობით, ახალი რიტმული საზომები  
დანერგა და რომაული ეპიგრამის უანრი ჩამოაყალიბა.

ასეთი იყო, ერთი თვალის გადავლებით, ის უშეუალოდ  
წინამორბედი საფეხური, რომელმაც ნიადაგი შეუმზადა იმპე-  
რიის ეპოქის მწერლობის დასაწყის ხანას — პრინციპატის  
ხანის უმაღლესი რანგის ლიტერატურას.

პრინციპატის ხანა. არისტოკრატიული რესპუბ-  
ლიკური წყობიდან იმპერიის ჩევიმზე გარდამავალ ხანას ძეე-  
ლი რომის ისტორიაში პრინციპატი — „ერთმმართველობა“  
ეწოდება. პრინციპატის ხანის რომაულ მწერლობას, რომლის  
ქრონოლოგიური ჩარჩოები ძეელი წელთაღრიცხვის I საუ-  
კუნის მეორე ნახევრით და ახალი წელთაღრიცხვის I საუ-  
კუნის დასაწყისით განისაზღვრება, სხვაგვარად „ავგუსტუ-  
სის ხანის“ ანუ „ოქროს საუკუნის“ მწერლობის სახელები-  
თაც მოიხსენიებენ.

ძეელი წელთაღრიცხვის 44 წელს, მარტის იდებში (15  
მარტს) რესპუბლიკური წყობის აღდგენისა და შენარჩუნების  
მიზნით, მარკუს ბრუტუსისა და გაიუს კასიუსის შეთქმულთა  
ჯგუფმა სენატში სიცოცხლე მოუსწრაფა რომის სახელმწიფოს  
ფაქტიურ ერთპიროვნულ გამებელს, დიდ დიქტატორს  
გაიუს იულიუს კეისარს, მაგრამ რესპუბლიკის მომხრეთა ცდა  
ამაო და ვანჭირული გამოღვა. რომში ახალი ძალით იფეთქა  
სამოქალაქო ომმა. იგი საკმაოდ ხანგრძლივი იყო და ბოლოს-  
დაბოლოს დასკვნითი ეტაპის როლი შეასრულა რომის მო-  
ნათმფლობელური რესპუბლიკის ისტორიაში. დიდი კეისრის  
მემკეიდრემ გაიცა ოქტავიანუს მა (ძვ. წ. 63 —  
ახ. წ. 14) საბერძნეთის დასავლეთ სანაპიროზე მდებარე აქ-  
ციუმის კანცხთან ძვ. წ. 31 წლის 2 სექტემბერს გამართულ  
გენერალურ ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა ყოფილი თანა-  
მოსაგრე, შეორე ტრიუმფირატის ფრიად გავლენიანი წევრი  
მარკუს ანტონიუსი. გაიუს ოქტავიანუსი რომის სახელმწიფოს  
ფაქტიურა ერთმმართველი გახდა. 29 წელს მან იმპერატორის

ტიტული მიიღო და რომის ოცნებლიკის მონარქიად გარდა კვეთა დაწყო. ეს იყო ბუნებრივი შედეგი რომის მონათ-მფლობელური საზოგადოების ლრმა კრიზისის, ადამიანობრივი შინაგანი კლასობრივი ბრძოლისა და დურკამალი საგა-რეო ექსპანსიისა. ძვ. წ. 27 წლის 13 იანვარს დაუსა-რეტრიტუ- ვიანესს ავგუსტუსის „აღზევებულის“, „სიკეთოა ლვთაებრივი გამამრავლებლის“ საპატიო ტიტული მიენიჭა. სენატის სახეიმო სხდომაზე მან უარი თქვა საგანგებო რწმუ- ნებებზე, მეფისა და დიქტატორის უზენაესი წოდებები ვი- თომ „ახლოს არ მიიქარა“ და ხალხს თავი „რესპუბლიკის რესტავრატორად“ მოაჩვენა. ჰეკვიანმა და ცბიერმა პოლიტი- კოსმა აშკარა მონარქიულ წყობას უწოდა „აღდგენილი რეს- პუბლიკა“, რომლის ძალაუფლებაც თითქოს შეზღუდული იყო ხალხის სუვერენიტეტით. ახალი რეჟიმის მეთაური თავს ისე იქერდა, თითქოს „აღდგენილი რესპუბლიკის“ მხოლოდ პირ- ველი მოქალაქე, პირველი სენატორი — პრინცეპსი იყო და მეტი არაფერი!

პრინცეპსის სხვადასხვა ტიტულებს იულიუსთა საგვარეუ- ლო სახელიც დაემატა და ამიერიდან რომის სახელმწიფოს გამგებელი მოიხსენიებოდა როგორც — იმპერატორი, კეისა- რი, აეგუსტუსი, ლვთაების ძე, უზენაესი ქურუმი, ტრიბუნის ძალით მოსილი, მამულის მამა, კონსული, ვენუსისა და ენეა- სის შთამომვალი (imperator, Caesar, Augustus, divi filius, pontifex maximus, tribunicia potestate, pater patriae, consul, suboles Veneris Aeneisque).

ახალმა რეჟიმმა, რომელსაც ფრ. ენგელსი „სამხედრო დიქტატურას“ უწოდებს, ამოცანად დაისახა სამბოხოდ ამო- ძრავებული მონების, დემოკრატიული ფენებისა (პლებისის) და ოლიგარქიული რეჟიმის მომხრე ოპოზიციური არისტო- კრატიის (ნობილიტეტის) სრული დათრგუნვა, მონათმფლო- ბელთა მონებზე ბატონობისა და დაპყრობილ ქავყნებზე რო- მის შეუზღუდვით მბრძანებლობის უზრუნველყოფა. ამ ამო- ცანის განსახორციელებლად ავგუსტუსი ცბიერ პოლიტიკას ეწეოდა: მონარქიულ რეჟიმს რესპუბლიკის საფარველით იცავდა, მან ხელუხლებლად დატოვა ძველი რესპუბლიკური საკანონმდებლო და „აღმასრულებელი ყველა ორგანო. მოჩვე-

ნებითი რესტავრატორული მოღვაწეობით იგი ცდალობდა, დაერწმუნებინა რომის საზოგადოება, რომ პრინცეპს გულწრფელად სურდა, აღდგინა წინაპართა ადათობა-დვორს მოსაობა, რწმენა და ერთგულება, სრულყოფილი უქველე, გულმოწყალეობა.

\* \* \*

ოქტავიანუს ავგუსტუსის პრინციპატის ოფიციალური იდეოლოგია მოითხოვდა თავისი პროგრამის აუცილებელ განხორციელებას, ახალი რეჟიმის კურთხევას, პრინცეპის სახელის ფართო მასშტაბით პოპულარიზაციასა და დამდგარი დროის მიჩნევას „ოქროს ხანად“, რომელმაც განახორციელა მაშინდელი მსოფლიოსათვის სანუკვარი ლოზუნგი და დამყარა „საყოველთაო მშვიდობა“, ეგრეთ წოდებული „რომაული ზავი“ (pax Romana).

რომის იმპერიის გარეგნულმა სიმშვიდემ და ერთგვარმა სტაბილიზაციამ დიდად შეუწყო ხელი ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებას, კულტურის აყვავებას. ქალაქი რომი გაძლიერებული და განმტკიცებული უზარმაზარი იმპერიის კულტურულ ცენტრად იქცა. ქალაქში ფართო მშენებლობა გაჩალდა: აიგო ახალი ოქტოტემპურული ძეგლები, აშენდა ახალი ტაძრები, განახლდა ძელი ნაგებობანი, გაიყვანეს ახალი გზები. ავგუსტუსის ბრძანებითა და მხარდაჭერით ახალმშენებლობათა საქმეში თავი გამოიჩინა ჯარების სარდალმა, იმპერატორის სიძემ, მარკუს ვიპსანიუს აგრიპაშ (ძ. წ. 63 — ა. წ. 12), რომელიც ლიტერატურულ მოღვაწეობასაც ეწეოდა. მის სახელთან დაკავშირებულია იულიუსთა საგვარეულო პანთეონის აგება. წყაროთა გადმოცემით, ავტორის რომი მარმარილოს ქალაქად გარდაიქმნა. პალატიუმზე, აპოლონის ტაძართან, დაარსდა მსოფლიოში პირველი საჯარო ბიბლიოთეკა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ცნობილი ორატორი და ისტორიკოსი გაიუს აზნიუს პოლიონი. მან შემოიღო ე. წ. რეციტაციები — მწერალთა და პოეტთა ნაწარმოებების საჯარო კითხვა-განხილვა,

რასაც იმდროინდელ ლიტერატურულ ცხოვრებაში დიდი სი-  
ცოცხლე და სიხალისე შეჰქონდა.

რომის სახელმწიფოს ერთპიროვნული გამჭვირეობა, რომ ი-  
ცები გაის იქტავიანუს ავგუსტუსი, რომელიც კულტურულ  
ნი ბერძნულ-რომაული განათლება ჰქონდა მიღებული და ლი-  
ტერატურულ მუშაობასაც ეწეოდა (სხვადასხვა ხასიათის  
პროზაულ თხზულებებს წერდა), ხელოვნებასა და მწერლობას  
უმძლავრეს საპროპაგანდო იარაღად მიიჩნევდა და ყოველ  
ლონეს მიმართავდა, ეს იარაღი მთლიანად ახალი ხელისუფ-  
ლების სამსახურში ჩაეყენებინა. მწერლობას ოფიციალური  
იდეოლოგის ფართო პროპაგანდის საქმე დაეკისრა. განსა-  
კუთრებული პატივი დაედო პოეზიასა და ისტორიოგრაფიას,  
რადგან პოეტებსა და ისტორიკოსებს ყველაზე უფრო მეტად  
ძალუძღავთ თვალსაჩინოდ და მისაწვდომად, ესთეტიკურად  
მიმზიდველი ფორმის ნაწარმოებებით შეესხათ ხოტბა ახალი  
პოლიტიკური წყობისა და პრინცეპისათვის, გაეტარებინათ  
ავგუსტუსის სასურველი ტენდენციები. იმპერატორი გარს  
იქრებდა გამოჩენილ მწერლებს, პოეტებსა და ხუროთმო-  
ძლვრებს. ხელოვნების დიდოსტატთა პრინცეპის მხარეზე გა-  
დასაბირებლად ფართოდ დაინერგა გულისმოგებისა და მოს-  
ყიდვის ხერხი. ავგუსტუსის მეხოტებეთ ხელგაშლილად ური-  
გებდნენ სხვადასხვაგვარ ჯილდოებს, მამულებსა და საოცნე-  
ბო ვილებს. ავგუსტუსის მარჯვენა ხელი ამ საქმეში იყო მი-  
სი თანამოსაგრე, უახლოესი მეგობარი გაიუს ცილნიუს  
მეცენატი (ძვ. წ. 74—ძვ. წ. 8).

ძველი და წარჩინებული ეტრუსკული გვარის შთამომავა-  
ლი მეცენატი, მართალია, რომის საზოგადოების მხედართა  
(ექვიტატუსების) საშუალო ფენას მიეკუთვნებოდა, მაგრამ  
როგორც ავგუსტუსის ფავორიტი დიდი ძალისა და გავლენის  
პატრიონი იყო. იგი უძლილერს მოქალაქედ ითვლებოდა. ავგუს-  
ტუსის წყალობით ესკვილინუმის ბორცვზე დიდი სასახლე  
ედგა ფართოდ ცნობილი ბაღნარით, სადაც სისტემატურად  
იყრიდა თავს რჩეული საზოგადოება. საფუძვლიანი განათლე-  
ბის მეცენატი ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდა. არა-  
ვითარი ოფიციალური თანამდებობა მას არ ეკავა. მეცენატს,  
როგორც პრინცეპის პირად მრჩეველს, დავალებული ჰქონდა,

ავგუსტუსის კარზე მიეზიდა მწერლები, პოეტები, ხელოვნების ღია დიდოსტატები და, საერთოდ, მფარველობის უმაღლესი გაერთია რომის კულტურული ცხოვრებისა და მისი კუთრებულ მზრუნველობას იჩენდა ხელთვების მწერლებისა და მეცნიერების იმ წარმომადგენელთა მიმართ, რომლებიც ავგუსტუსის სამსახურში ჩადგებოდნენ და „ღვთაებრივი პრინცეპსის“ პოლიტიკის პროპაგანდას გასწევდნენ. მეცნიატმა რომში ჩამოაყალიბა ოფიციალური ლიტერატურული მიმართულების ფართო წრე, რომელშიც გააერთიანა ავგუსტუსის ერთგულ მსახურებად მოქცეული ნიჭიერი მწერლები, პოეტები და ისტორიკოსები. მან გადამტრედი როლი შესარულა მათი ცხოვრებისა და შემოქმედების წარმართვის საქმეში. მეცნიატის კოლეგიუმში შევიდნენ რომაული პოეზიის კორიფეები ვერგილიუსი და პორაციუსი, მათთან ერთად იყვნენ გამოჩენილი მწერლები: პორაციუსის უახლოესი მეგობარი, დრამატურგი და პოეტი ლუციუს ვარიუს რუფუსი, ეპიგრამატისტი დომიციუს მარსუსი, ელეგიკოსი პოეტი სექსტუს ავრელიუს პროპერციუსი, დრამატურგები: მელისუსი და ფუნდანიუსი, გრამატიკოსი და პოეტი არისტიუს ფუსკუსი და სხვები.

მეცნიატის წრეს დაუპირისპირდა ოპოზიციურად განწყობილი ჯგუფები. ერთ ასეთ, მაგრამ ლოიალური პოზიციის ჯგუფს აზინიუს პოლიონი მეთაურობდა, მეორე ჯგუფს სათავეში ედგა გამოჩენილი ორატორი მარკუს ვალერიუს მესალა კორვინუსი. ამ ჯგუფში შედიოდნენ პოეტები: ემილიუს მაკერი, ალბიუს ტიბულუსი, ვალვიუს რუფუსი, სერვიუს სულპიციუსი, ლიგდამუსი, პუბლიუს ოვიდიუს ნაზონი და სხვები.

პრინციპატის ეპოქის მწერლობისა და ხელოვნების დარგთა ცენტრალური იდეა იყო რომის სახელმწიფოს განდიდებისა და ავგუსტუს კეისრის გაღმერთების იდეა. „ავგუსტუსმა იზრუნა იმისათვის, რომ არა მარტო ღმერთებაცობა, არამედ ეგერთწოდებული უმანქო ჩასახვაც თვით სახელმწიფოს მიერ სანქციონებულ ფორმულებად გამხდარიყო. მან არათუ ბრძანა, ღვთიური პატივი ეცათ მისთვის, კეისრისთვის, არამედ განკარგულება გასცა, ყველგან გაევრცელებინათ, რომ იგი, ავგუსტუს კეისარი, ღვთიურია, ჩვეულებრივი ადამიანის შვი-

ლი კი არაა, არამედ დედამისს იგი აპოლონისაგან ჩაესახავა.  
სსენებულ იღეას ემსახურებოდა განსაკუთრებული ძალი  
ლით აღზევებული პოეზია. ახლად აღმოცენებული იმპერიას  
ყველაზე დიდი იდეოლოგიური მემაირახტრის პრინციპები  
ვერგილიუს მართნის (ძვ. წ. 70 — ძვ. წ. 19) დიდი  
მხატვრული ღირსების თხზულებებში („ბუკოლიკები“, „ვორ-  
გიკები“, „ენეიდა“) არსებითია რომანტიკული სულისკვეთება  
და რომის მტაცებლურ-დიდმპყრობელობითი პოლიტიკის  
აპოლოგეტიკა. ოფიციალური მწერლობის პოლიტიკური ტენ-  
დენციები განსაკუთრებული სიმძლავრით გამოიკვეთა რომაუ-  
ლი პოეზიის ისეთ შედევრში, როგორიცაა ავგუსტუსის დაკვი-  
თით შექმნილი პოემა „ენეიდა“. მასში უზადო პოეტური ფორ-  
მებით, დიდი გამომსახველობითი ძალითაა გადმოცემული რო-  
მის ისტორია იმრიგად, რომ მკითხველისათვის ნათელი იყოს,  
ვით ჩაისახა და განვითარდა წარსულშივე ოქტავიანის ავ-  
გუსტუსის მიერ რომის სახელმწიფოსათვის შექმნილი სიდიადე.

„ოქროს საუკუნის“ რომაული პოეზიის მეორე დიდი წარ-  
მომაღვენელი პორაციუსი ახალგაზრდობაში თავგამოდებული  
რესპუბლიკელი იყო და ახლო მეგობრობა აქავშირებდა იუ-  
ლიუს კეისრის წინააღმდეგ შეთქმულ პირებთან და უშუა-  
ლოდ მარკუს ბრუტუსთანაც, მაგრამ მეცენატმა მალე ისიც  
გადაიბირა და ისიც იმავე ცენტრალური იდეის მეხოტებე გა-  
ხდა. ენგელსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ დიდმა პოეტმაც  
დაიწყო „მუცელზე ხოხვა“ ავგუსტუსის წინაშე<sup>2</sup>. თუმცა, უნ-  
და ითქვას, იგი უფრო მოქრძალებული აპოლოგეტი იყო ავ-  
გუსტუსის პოლიტიკისა.

ოფიციალური მიმართულების მხარი ბოლომდე არ დაი-  
ჭირა ვერგილიუსისა და პორაციუსის უმცროსმა თანამედრო-  
ვებმ, რომაული პოეზიის მესამე დიდმა წარმომაღვენელმა  
ოვიდიუს ნაზონმა, რამაც საბედისწერო როლი შეა-  
სრულა მის ცხოვრებაში<sup>3</sup>. ოვიდიუსის მაგალითზე კარგად

<sup>1</sup> მარქსი და ენგელსი ანტიკურობის შესახებ. თბილისი, 1937,  
გვ. 120.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 244.

<sup>3</sup> იბ. 3 უბლიუს თვი დიუს ნაზონი. მეტამორფოზები. თბი-  
ლისი, 1980. შესავალი წერილი, გვ. 12-17.

ჩანს, რომ ავგუსტუსის დროის რომაული მწერლებია სწორ-ხაზოვნალ ან ვითარდებოდა. ოპოზიციური მიმართულება, და-კარგულ თავისუფლებასა და ფაქტიურად ზოგადი მიმართულება რესპუბლიკურ წყობის მისტიკოდა და მარტინი არ აშეარიდა, ახალ რეჟიმს უპირისპირდებოდა. პოლიტიკურ ურთიერთობათა წინააღმდეგობრივი ხასიათი საკმაოდ აისახა მწერლობის დარგებში. თავისუფლების დაკარგვამ გაზირდა ინდივიდუალიზმი, რამაც საზოგადოებრივი ყოფისაგან ჩამო-შორებისა და კერძო ცხოვრების ნაჭერში ჩაეტვის მძაფრი განწყობილება გამოიწვია. რომის სახელმწიფოს „ახალი აღ-ზევებით“ გამოწვეულ სიხარულსა და აღტაცებას იმთავითვე ახლდა რელიგიურ-მისტიკური მისწრაფება, რამაც მაშინდელ ფილოსოფიურ შეხედულებებში იჩინა თავი. ეპიკურეიზმთან ერთად გაგრებულდა სტოურ-პითაგორიაული იდეალისტური მოძღვრება, რომელიც ზნეობრივ სრულყოფასა და ბეღისწე-რისადმი მორჩილებას ქადაგებდა. რაკი ავგუსტუსის მიერ დამყრებულ ახალ წესრიგში ძველ წინასწარმეტყველებათა განხორციელებას ხედავდნენ, რესპუბლიკის კატასტროფის პროცესში გაზრდილი რელიგიურ-მისტიკური მიმდინარეობა-ნი იფიციალურადაც აღიარეს.

მეცნიატის მეშვეობით განხორციელებული ავგუსტუსის  
პოლიტიკა კულტურის სფეროში უთუოდ იყო იმ ერთ-ერთ  
მძღვრ ფაქტორთაგანი, რომელმაც ხელოვნებისა და მწერ-  
ლობის ორმავლობა გამოიწვია. ეს აღმავლობა, უწინარეს ყოვ-  
ლისა, გამოიხატა ბერძნულ-ელინისტური გავლენების და-  
ძლევაში, ელინური კულტურისაგან შეთვისებული მაღალ-  
მხატვრული გემოვნებისა და შემეცნების ნაციონალურ ნია-  
დაგზე დამკეიდრებასა და ახალ, ორიგინალურ სტილთა შექმ-  
ნაში, როგორც მწერლობის, ისე სახვითი ხელოვნების დარ-  
გებში.



ლი ნიმუშის მნიშვნელობა და რომლებიც ახლაც კიდევ ას-  
თეტიკურ ტებობას გვანიჭებენ“ (მარქსი). ეს ძეგლები არის  
კულტურის ხანგრძლივი განვითარების შედეგი. ტაზე ფრთხ  
მათში ასახულია ავგუსტუსის დროისათვის დამახასიათებელი  
იდეური მიმართულებანი. ამ პერიოდის მწერლები, პოეტები  
და ხელოვნების სხეა წარმომადგენლები უშუალოდ ეცნო-  
ბოდნენ, ღრმად სწავლობდნენ და შემოქმედებითად ითვი-  
სებდნენ კლასიკურ ბერძნულ მემკვიდრეობას, ამ კულტურუ-  
ლი მემკვიდრეობის სახელოვან შექმნელებს, მაგრამ მათ  
მონურად როდილა პბაძავდნენ: „ამ საუკუნის ლიტერატურის  
დამახასიათებელია არა მიბაძვა ბერძნული ძეგლებისადმი და  
ორი-სამი ბერძნული ნაწარმოების შეკოწიწებით ერთი რომა-  
ული კომედიის შეთხვა, როგორც ეს იყო III—II საუკუნე-  
ებში, არამედ სამოქალაქო ომებისა და კლასობრივი ბრძო-  
ლების პირობებში შექმნილი რომაული სინამდვილის გააზრე-  
ბა ელინური მწერლობისაგან შეძენილი მაღალმხატვრული გვ-  
მოვნებისა და შემეცნების მეშვეობით”<sup>1</sup>.

ავგუსტუსის ხანის ხელოვნება და მწერლობა მონარქიუ-  
ლი რეჟიმის ჩარჩოებით იყო შეზღუდული და სოციალურ  
პრობლემებს მეტისმეტად მოკრძალებულად აყენებდა და ამა-  
საც მხოლოდ იმ მიზნით, რომ პრინციპატისა და მონათმფლო-  
ბელური საზოგადოებისათვის აუცილებლად საჭირო წესრიგი  
და ნორმები განმტკიცებულიყო. მიუხედავად ასეთი კითარე-  
ბისა, მწერლობა მაინც აღმავალი გზით მიემართებოდა. მარ-  
თალია, თითქმის მთელი კულტურული ცხოვრება და, კერ-  
ძოდ, მწერლობა „ლვთაებრივი“ ავგუსტუსის პიროვნებისა და  
მისი პოლიტიკის პანეგირიების — განდიდების საქმეს ემსახუ-  
რებოდა და პოეზიის თითქმის ვერცერთშა დიდმა წარმომა-  
დგენელმა ვერ დააღწია თავი მეხოტებობას, ამ მწერლობის  
მხატვრული ფორმა მაინც ზედმიწევნით სრულყოფილი გა-  
ხდა<sup>2</sup>. საგანგებოდაა აღსანიშნავი ის ცნობილი ფაქტი, რომ ამ

<sup>1</sup> ყაუნიშვილი. ანტიკური ლიტერატურის ისტორია. თბილისი,  
1971, გვ. 398.

<sup>2</sup> პრინციპატის ეპოქის პოეზიის პოლოვეტიკურ მხარეს უარყოფითად  
აფასებდნენ დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატები, მაგრამ ამავე  
დროს ხსენებული პოეზიის დიდ მხატვრულ მნიშვნელობასაც აღიარებდნენ.

პერიოდის ლათინური ენა კიდევ უფრო მეტად დაიხცეშა, ჩამოიქნა და სამართლიანად დაიმსახურა „ოქროს ლითინურის“ სახელი.

პრინციპატის ხანის აღრესაფუძვლით იმის გამო პრინციპი პოეზია განსაკუთრებული ძალით გამოიყენება რა პოეზიის კორიფეთა კოლეგიუმის — ვერგილიუსის, პორაციუსისა და ოვიდიუს ნაზონის შემოქმედებაში. მათ შემოქმედებას მხარი აუბეს რომაული ლირიკის, განსაკუთრებით, ელეგიური უანრის, ისეთმა წარმომაგნლებმა როგორიც იყვნენ პოეტები: ემილიუს მაკერი, კორნელიუს გალუსი, ვალგიუს რუფუსი, დომიციუს მარსუსი, გაიუს მელისუსი, ალბიუს ტიბულუსი, ლიგდამუსი, სექსტუს პროპერციუსი და სხვ.

პრიზის დარგებიდან ამ დროს პირველი ადგილი ისტორიოგრაფიამ დაიკავა. მისი დიდი წარმომადგენელი პრინციპატის პერიოდში ტიტუს ლივიუსი (ძვ. წ. 57—ახ. წ. 17) იყო. ლივიუსმა შექმნა მონუმენტური საისტორიო თხზულება „დასაბამითგან ქალაქისა“, რომელშიც ეპოქის გემოვნების შესაბამისად მხატვრული ენით და დიდი გამომსახველობითი ძალით გადმოცემულია რომის გაიდეალებული წარსული. ამ დროს თვალსაჩინო ისტორიკოსები იყვნენ, აგრეთვე, აზინიუს პოლიონი და პომპეიუს ტროგუსი.

ასეთი იყო ძირითადად ის გარემო ვითარება, რომელშიც ცხოვრება და მოღვაწეობა მოუხდა დიდ პოეტს, რომაული პოეზიის თავებას, კვინტუს პორაციუს ულავუს, ვის შემოქმედებაშიაც უაღრესად დაიხვეშა რომაული ლირიკის პოეტური ენა, სტილი და არაჩვეულებრივი მრავალფეროვნებით წარმინდა ამ ლირიკის მეტრიკული შესაძლებლობანი.

ასეთი უამოკიდებულება პრინციპატის ეპოქის პოეზიისაღმა ჩანებულადაა გამოხატული ნ. გ. ჩერნიშევსკის სიტყვებში: «Не восхищаться Горацием, Вергилием, Овидием может только тот, у кого недостает эстетического чувства. А сколько в этих поэтах слабых сторон!» (Н. Г. Чернышевский). Эстетические отношения искусства к действительности (Полн. собр. соч., т. 2, 1949, стр. 37).

## ჰორაციუსის პილიტრაცია

პოეტის ცხოვრების გასაცნობად მთავარი წერტილი ტისავე თხზულებებია, რომლებშიც ხშირადაც გამოჩენილი ავტობიოგრაფიული დეტალები. გარდა ამისა — მეტაკავშირების ნაწარმოებთა ხელნაწერებმა შემოგვინახეს გაიუს ს ვეტონიუს ტრანკ ვილუსის (ახ. წ. 70—140) თხზულებითან „გამოჩენილ ვაჟაპოთათვის“ ამოღებული მოკლე ბიოგრაფია. მოღწეულია აგრეთვე ჰორაციუსის კომენტატორის პომპონიუს პორტრეტის ცორფირითნის ცნობები პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების თაობაზე.

კვინტუს ჰორაციუს ფლაკუსი დაიბადა ძველი წელთაღრიცხვის 65 წლის 8 დეკემბერს აპულისა და ლუკანის საზღვარზე მდინარე ავფიდუსთან მდებარე ქალაქ ვენუზიაში, რომლის მახლობლადაც მამამისს, გააზატებულ მონას, მცირე მამული ჰქონდა. გადმოცემით, იგი განათლებული კაცი ყოფილა, და, რაკი სწავლის ფასი იცოდა, შეილის კარგად აღზრდისათვის არაფერს ზოგავდა. ბუნების წიაღში წიმოზრდილი და სოფლად ანბანს უკვე დაწაფებული ყრმა ვენუზის ელემენტარულ სკოლაში არ შეიყვანა. სურდა, ვაკეისთვის ისეთი განათლება მიეცა, როგორსაც მაშინ მხედართა ფენისა და სენატორთა შეილები ლებულობდნენ. ამ მიზნით 52—50 წლებში იგი მთელი ოჯახით რომში გადასახლდა. აქ კარგი, იმ დროისათვის ხაჭირო გრამატიკული ანუ ბერძნულ-რომაული განათლება მიიღო: შეისწავლა ჰომეროსის „ოდისეა“ ლიკიუს ანდრიონიქესის მიერ შესრულებულ ლათინურ თარგმანში. ისწავლა, თუ „რაოდენი ვნება მიაყენა ბერძნებს აქილევსის რისხეამ“ (iratus Grais quantum nocuissest Achilles — ეპისტ. II, 2, 43) — ე. ი. გაიცნო ბერძნული მწერლობა. ბერძნულ ორიგინალში დაეუფლა ალკერისის, საფოს, სტეზიქორეს, სიმონიდესა და პინდარეს თხზულებებს; ხშირად ისმენდა სახელოვანი მჭერმეტყველის ციცერონის მიერ წარმოთქმულ სახარო სიტყვებს.

ჰორაციუსი თავის „სატირებში“ მაღლიერების დიდა  
2. ჰორაციუსი

გრძნობით მოიხსენიებს მისთვის თავდადებულ მამას, რო-  
მელმაც შრომისა და სწავლის სიყვარული, პატიოსნება და  
სათნოება, ავისა და კარგის გარჩევა და ბოროტების სიძული-  
ლი შეაგონა. ჰორაციუსს სრულიადაც არ ეცცვანებოდა მდი-  
ბიური წარმომავლობა და ამაყობდა კიდეც თავისი მზრუნვე-  
ლი, პატიოსანი და მშრომელი მამით, რომელიც განუყრელად  
გვერდში ედგა (სატ. I, 6, 65—91; 4, 105—139).

ძვ. წ. 45 წელს 20 წლის ჰორაციუსი სწავლის გასაგრძე-  
ლებლად ათენს გაემგზავრა. ათენი იმ დროს ფილოსოფიური  
განათლების ცენტრი იყო და ვინც იქაურ სკოლას არ გაივლი-  
და და აკადემოსის ჭალის მოძღვართა და პერიპატეტიკოსთა  
მიწოდებულ ცოდნას არ ეზიარებოდა, განათლებულ კაცად  
არ მიიჩნეოდა. მიტომ სწავლას მოწყურებული ყოველი რო-  
მაელი ახალგაზრდა, თუკი ამის მცირეოდენი საშუალება  
მაინც ჰქონდა, უმაღლესი განათლების მისაღებად ათენისაკენ  
მიისწრაფოდა.

ჰორაციუსი აქ, ათენში, ეპიკურეს ცნობილი მიმდევარის — ფილოდემოსის ხელმძღვანელობით სწავლობდა ფილოსო-  
ფიას, ეუფლებოდა რიტორიკას და ბერძნულ პოეზიას. თავის „ეპისტოლებში“ ჰორაციუსი ამბობს, რომ კეთილმა ათენმა  
მას დიდი ცოდნა მისცა, ასწავლა მრუდისა და მართლის გარ-  
ჩევა და აკადემოსის ჭალებში ჭეშმარიტების ძიება (curvo di-  
gnoscere rectum latque intersilvas Academi quaerere verum II, 2, 44—45). ათენში საბოლოოდ განისაზღვრა ჰორაციუსის  
ელინოფილური მიმართულება, რომლის ერთგულიც ბოლომდე  
დარჩა. ბერძნულ პოეზიაში იგი ისე გაიწაფა, რომ თავადაც დაი-  
წყო ლექსების თხზვა ბერძნულ ენაზე. ამის თაობაზე „სატირებ-  
ში“ იგი გადმოგვცემს: „მე, ზღვისგადაღმა დაბადებულმა, ლექ-  
სების თხზვა ჯერ ბერძნულად დავიწყე, მაგრამ შუალიძისას  
სიზმრად კვირინუსი (ე. ი. რომის დამფუძნებელი რომულუსი)  
გამომეცხადა და ასე შემძახა: შენ, ჰეი, ბრიკო, შეშას ნუ  
ეზიდები ტყეში. შენ ალბათ ძალიან გინდა ბერძენთა პოეტე-  
ბის რაზმი შეავსო!“ (in silvam non ligna feras insanius, ac  
si magnas Graecorum malis inplere catervas I, 10, 31—35).

შეცვლილმა ჰოლიტიკურმა სიტუაციამ და რომში და-  
ტრიალებულმა ამბებმა ჰორაციუსი მეცადინეობა და წამო-

წყებული პოეტური ვარჩიში შეაწყვეტინეს. ძვ. წ. 44 წელს  
რომში მოკლეს გაიუს იულიუს კეისარი და მისი უფრო უძველესი  
ტატურული რეემის დამხობას აღფრთვითაც დაუდონა. შეინარჩუნა  
არის ტოკრატიული რესპუბლიკური წყობის აღდგენი და მისი უძველესი  
რომაელი ახალგაზრდობა. ათენი კეისარიზმის წინააღმდეგ მებრ-  
ძოლ კონსერვატიულ-რესპუბლიკურთა დაგუფებების უნ-  
ტრად გადაიქცა. პორაციუსი და მისი მეგობარი, ციცერონის ვა-  
კე მარკუსი, როგორც თავვამოდებული რესპუბლიკურები, მყი-  
სვე ამოუდგნენ მხარში ათენში ჩამოსულ ბრუტუსა და მის  
თანამოსაგრეებს. პორაციუსი ბრუტუსის ლაშქარში შევიდა და  
მალე საამისოდ მოუმზადებელმა ახალგაზრდამ სამხედრო ტრი-  
ბუნის (Tribunus militum) წოდებაც მიიღო. იგი ბრუ-  
ტუსს ახლდა თესალიაში, მაკედონიასა და მცირე აზიაში გა-  
მართული ბრძოლების დროს. მაგრამ რესპუბლიკურთა ოცნე-  
ბები საბოლოოდ დაიმსხვრა ძვ. წ. 42 წელს, მაკედონიის  
ქალაქ ფილიპებთან ბრუტუსის ლაშქრის დამარცხებისთანავე.  
პორაციუსმა უყოყმანოდ დათმო პოზიცია, თავი დამნაშავედ  
მიიჩნია და ამიერიდან რესპუბლიკურებს განუდგა. პომპეიუს  
ვარუსისადმი მიძღვნილ ოდაში იგი გულახდილად და მსუბუ-  
ქი ირონიით იგონებს, თუ ვით ვამოიჩნა სიმხდალე და ბრძო-  
ლაში ფარი გადააგდო (II, — 2, 9—10).

დამარცხებულ რესპუბლიკურებს და ყველას, ვინც კაი-  
სრის წინააღმდეგ მიმართულ შეთქმულებაში მონაწილეობდა,  
სასტრიკად გაუსწორდა მეორე ტრიუმვირატი, რომელსაც მარ-  
კუს ანტონიუსი, ოქტავიანუსი და ლეპიდუსი მეთაურობდნენ.  
ანტონიუსის პროსკრიპცების შედეგად მრავალი სენატორი,  
მხედართა ფენის წარმომადგენელი და მოქალაქე დაიღუპა  
(ძვ. წ. 43 წელს პროსკრიპციის საფუძველზე მოკლეს რომაუ-  
ლი შვეცერმეტყველების თავეაცი ციცერონი; ბრუტუსმა და  
კასიუსმა სიცოცხლე თვითმევლელობით დამთავრეს). ოქტა-  
ვიანუსის ხელმძღვანელობით დღსრულდა ფართო მასშტაბის  
კონფისკაცია. ექსპრესპრიაცია უკვეს 16 ქალაქის ტერიტო-  
რიას, მათ შორის ვერგილიუსის მანტუასა და პორაციუსის  
კენტიას. რესპუბლიკურთა ჩამორთმეული ქონება სახელმწი-  
ფომ ვეტერანებს ვადასცა. ძვ. წ. 41 წელს გამარჯვებული  
ანტონიუსისა და ოქტავიანუსის მიერ გამოცხადებული ამნის-

ტიის საფუძველზე პორაციუსი რომში დაბრუნდა, საბოლოოდ  
მოინანია ჩესპუბლიკური ცოდვები და უკვე გარდაცვლილი  
მამის დატოვებული მცირეოდენი სახსრებით სახურავის გადაწყვეტილების  
ზინაში კვესტორის მწერლის თანამდებობაზე დაუკავშირდებოდა  
მწიფო სამსახურის აღსრულებასთან ერთად იგი უცუდგა რაც  
სი შინაგანი მოწოდების განხორციელებას, ლათინურ ენაზე  
ლექსთა თხზეას, თავის უებრო პოეტური ნიჭის გამომეღაენე-  
ბას. შემოქმედების ამ დასაწყისი პერიოდის თაობაზე პორა-  
ციუსი ამბობს: „მაღლიან ათენს მომწყვიტა მეუკრძალობა,  
სამოქალაქო ომის ცეცხლმა გამოუცდელი კაცი იარაღში  
ჩამსვა ავგუსტუსის მარჯვენასთან უსწორო ბრძოლაში. მაგ-  
რამ მალე მისნა ამ კითარებისაგან ფილიპებმა; ფრთებშე-  
ჭრილსა და უსასოოს, მამისეულ სახლ-კარს აღკვეთილს, სი-  
ლარიბემ მომცა ბიძგი, გამებედა ლექსების თხზვა“ (ეპისტ.  
II, 2, 46—52).

ახალგაზრდა პორაციუსის პოეტური ტალანტი შეუმჩნე-  
ველი როდი დარჩა. იგი დაიახლოვეს უკვე სახელმოხვეჭილმა  
და ავგუსტუსის სამსახურში ჩამდგარმა პოეტებმა ვერგილი-  
უსმა და ვარიუს რუფუსმა და ძვ. წ. 38 წელს მეცენატს წა-  
რუდგინეს. ცხრა თვის შემოწმების შემდეგ მეცენატმა პორა-  
ციუსი თავის წრეში მიიღო, ხოლო 33 წელს საჩუქრად უბო-  
და რომიდან 40—45 კილომეტრზე მდებარე მშვენიერი მამუ-  
ლი — საბინუმი ქალაქ ტიბურის (ახლანდელი ტივოლი) მა-  
ხლობლად. მატერიალურად საესებით უზრუნველყოფილმა  
პოეტმა ამიერიდან მთლიანად პოეზიას მისცა თავი. აქ, საბი-  
ნუმში, შექმნა პორაციუსმა თავისი პოეტური შედევრები.  
მთელ დროს აქ ბუნების წიაღში და პოეზიის ტყვეობაში ატა-  
რებდა და რომში დრო და დრო თუ ჩავიდოდა. ოქტავიანუს  
ავგუსტუსმა მეცენატისაგან უახლოეს მეგობრად მინეული  
უნიჭიერესი, მაგრამ თავმდაბალი და მოკრძალებული პოეტი  
შეითვისა, შეიყვარა და პირადი მდივნის თანამდებობაც  
შესთავაზა. პორაციუსმა ამაზე უარი თქვა და ცდილობდა,  
მაინცა და მაინც ხშირად არ შეხვედროდა პრინცეპს, თუმცა  
ბოლომდე მის ერთგულ მგოსნად, მისი პოლიტიკის იდეო-  
ლოგად დარჩა. აქ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის, რომ რეს-  
პუბლიკური პოზიციების დათმობა და კეისრიზმის მხარეზე

ვადასვლა ძვ. წ. I საუკუნის 30-იანი წლების პომაული ცაზოგადოების დიდი ნაწილის მიერ არჩეული გზა იყო, თოლიტიკურ ღირებულებათა ასეთი ვადაფასება ის დროის სიკეთის ტორიულად კანონზომიერი მოვლენა ჩანს. პორაციუსისათვის, როგორც ზემოთ ითვეა, მაინც ერთგვარი ზეიტუნის დამახასიათებელი. იგი არც მთლად თავეგამოდებული მეხოტბე და არც ანგარებიანი მლიქვნელი ავგუსტუსისა არ ყოფილა. პორაციუსის პოლიტიკური კრედიტისულის თაყვანისცემა და აწყვის სიყვარულია. მართალია, მას მოსწონდა პრინცეპის ლვაწლი, მისი წყალობით აქციუმთან მოპოვებული გამარჯვება ანტონიუსზე და კლეოპატრაზე, რომში სტაბილირებული მშვიდობა, დამორჩილებული და დანებებული მტრისადმი გამოჩენილი გულმოწყალეობა და, საერთოდ, ავგუსტუსისეული რეფორმები, მაგრამ იგი პრინცეპს მაინც თავშეკავებით ასხამდა ხოტბას, ვიდრე სხვა პოეტები, თუნდაც, მაგალითად, ვერგილიუსი. თუ ზოგჯერ პორაციუსის ლექსებში ავგუსტუსის განდიდება პპოთეოზს აღწევს, ასეთ შემთხვევებში პოეტურ სახესთან უფრო შეტად გვაქვს საქმე, ვიდრე პოლიტიკურ დოგმასთან. აღსანიშნავია, რომ ავგუსტუსისადმი მიძღვნილი ოდები, რომლებიც უპირატესად IV წიგნშია მოქმედული, დაკვეთითაა შეთხული. სვეტონიუსის გადმოცემით, ეპისტოლეთა მეორე წიგნის პირველი წერილი, რომელშიც პრინცეპის დიდებული საქმენია ხოტბაშესხმული, ავგუსტუსმა ხუმრობაში გატარებული ერთგვარი მუქარით პირდაპირ გამოსძალა პორაციუს. ავგუსტუსს წყენით შეუთვლია პოეტისათვის:

„გამწყრალი ვარ იცოდე, შენზე; ასეთი სახის ამდენ ნაწერში, რომ უწინარეს ყოვლისა მე არ მესაუბრები. ეგებ იმის გერიდება, ჩვენთან შენი სიახლოვე მომავალმა თაობებმა სამარცხვინო საქმედ არ ჩაიგითვალონ?!“ თავის თხზულებებში პოეტი ხშირად აღნიშნავს, რომ მას არ ძალუდს დიდი ეპიკური ტილოების შექმნა ავგუსტუსის საქმეთა განსაღიძებლად და ამიტომ მცირე მოცულობის ლირიკული ლექსების შეთხვით კმაყოფილდება. პორაციუსი, მართალია, აქებს და ადიდებს ავგუსტუსს, მის ძლევამოსილებას, მაგრამ არასდროს არ ივიწყებს თავის ყოფილ რესპუბლიკელ მეგობრებს და კეთილი

გრძნობით მოიხსენიებს ხოლმე ბრუტუსსაც, კატონ უმცროს-  
საც და სხვებს.

ჰორაციუსმა, როგორც დიდმა პოეტმა, სწრაფად მოიპოვა  
აღიარება და პოპულარობა. განსაკუთრებულად აღიარებული  
მისი სახელი როგორც ავგუსტუსის კარის მგონისა სიცოც-  
ხლის ბოლო ათწლეულში. აუმღვრელად და შეუშფოთებლად  
მიედინებოდა პოეტის ცხოვრება და შემოქმედება. მართალია,  
მას ხანდახან თავს ესხმოდნენ შურით აღვსილნი პატარა  
მტრები, უნიჭო პოეტები, რომლებიც ვერ იტანდნენ მდაბიო  
წარმომავლობის კაცის ასეთ აღზევებას, მაგრამ ჰორაციუსი  
შვილად იტანდა ამას და თავის ლექსებში მსუბუქი ირონი-  
ით კენწლავდა და დასცინოდა მათ. იგი მტკიცედ ეყრდნობო-  
და ცხოვრებას და შემოქმედებაში თავის ცნობილ დევიზებს:  
*aurea mediocritas* (ზომიერების დაცვა „ოქროს შუალედში“  
ყოფნა) და *nil admirari* („არაფერი არ უნდა გაგვიყვირდეს“).  
პრაქტიკული მორალის ეს ფორმულები, ჰორაციუსისეული  
ცხოვრების ფილოსოფიის უმთავრესი დებულებებია, რომ-  
ლებიც წითელი ზოლივით გასდევს პოეტის ლირიკას. ჰორა-  
ციუსის მსოფლმხედველობა იმთავითვე განსაზღვრა ეპიკუ-  
რესა და სტოელთა ფილოსოფიური სკოლების იმ ეთიკურმა  
მოძღვრებამ, რომელსაც ქადაგებდნენ ძველი დროის ფილო-  
სოფოსები პითაგორა და დემოკრიტე, ეპიკურე და სტოელი  
ძენონი: უზენაესი სიკეთე სიმდიდრესა და პატივმოსილებაში  
კი არაა, არამედ ყოველი ვითარების უამს სულიერი სიმშვი-  
დის მყარ შენარჩუნებაში.

მძიმე ტკივილით განიცდიდა ჰორაციუსი უახლოეს მეგო-  
ბარ პოეტთა ცხოვრების ოლსასრულს: ძვ. წ. 24 წელს მან და  
ვერგილიუსმა ერთად დაიტირეს პოეტი კვინტილიუს ვარუ-  
სი, ძვ. წ. 19. წელს თვითონ ვერგილიუსი გაჩდაიცვალა;  
ამავე წელს წავიდა ცხოვრებიდან ელეგიკოსი ალბიუს ტიბუ-  
ლუსი; ძვ. წ. 14 წელს ვარიუს რუფუსი ალესრულა, ორიოდე  
წლის შემდეგ კი — ვიპსანიუს აგრიპა. ყველაზე დიდი ტან-  
ჯვა ჰორაციუსს თავისი მწყალობლისა და დიდი მეგობრის  
მეცენატის სიკვდილმა მიაყენა. ჰორაციუსი ბოლომდე უსა-  
ზღვროდ მაღლიერი იყო მისი და რამდენიმე მეტად თბილი  
გრძნობებით ალსავს ლექსიც მიუძღვნა. იგი მეცენატს თავის

მფარველსა და ტკბილ სამკაულს (praesidium et dulce decus) უწოდებდა. ძვ. წ. 8 წელს გარდაიცვალა გაიუს მეცენატი და დამთავრდა პორაციუსთან მისი მეგობრობრის ტექნიკური კოდი დაათი წელი. სვეტონიუსის გადმოცემით, სიკვდილის წინ მეცენატმა ავგუსტუსს ანდერძად დაუბარის (Honati. Flacci, uti mei, memor esto („გახსოვდეს პორაციუსი ისე, ვით მე გემახსოვრებითო!“). ორი თვის შემდეგ, ძვ. წ. 8 წლის 27 ნოემბერს, 57 წლის ასაკში, პორაციუსიც გარდაიცვალა. აღსრულდა ის სიტყვები, რომლებიც დიდმა პოეტმა მეცენატს მისადმი მიძღვნილ ოდაში უთხრა: ille dies utramque ducet ruinam („დაე, აღსასრულის დღემ ორივ ერთად წარგვიტაცოს მოუსავლეთში! — ოდ. II, 17). პორაციუსის ნეშტი ესკეილინუმის ბორცვზე დაკრძალეს განუყრელი მეგობრის მეცენატის გვერდით.

### პორაციუსის თხზულებები

პორაციუსი ანტიკური ეპოქის იმ აკტორთაგანია, რომლის თხზულებებმაც თითქმის უნაკლოდ მოაღწიეს ჩვენამდე. ჩვენ ზუსტი ცნობები მოგვეპოვება მათი შექმნის თარიღებისთვისაც. დიდი რომაელი პოეტის ლიტერატურული მემკვიდრეობის ქრონოლოგიური რიგი ასეთია: „სატირები“ და „ეპოდები“ — ძვ. წ. 41—30 წლები; „ოდები“ I—III წიგნები — ძვ. წ. 23 წელი, IV — წიგნი — ძვ. წ. — 13 წელი, „ეპისტოლენი“ — ძვ. წ. 20—14 წლები, „საუკუნონუ საიუბილეო პიმნი“ — ძვ. წ. 17 წელი.

1. სატირები ორი წიგნის შემცველი თხზულებაა. პირველ წიგნში 10 სატირაა, მეორეში — 8. მათი — სალექსო საზომი დაქტილური ჰექსამეტრია. სატირა რომაული წარმომავლობის უანრია. კვინტილიანუსი ამბობს: „სატირა მთლიანად ჩვენი [რომაელების] კუთვნილებაა“ (Inst. orat., X, 1). ამ უანრის სახელის უძველესი ფორმა არის, „სატურა“ (satura), რაც ლათინურად სხეადასხვა ნაყოფთა შეზავებით მიღებულ შესაწირავ შეჭამადს აღნიშნავდა. სხვადასხვა ნარევი შინაარსისა და ფორმის შემცველ თხზულებას პირველად პოეტმა კვინტუს ენიუს მა (ძვ. წ. 239—169) უწოდა „სატუ-

რები". ასეთივე სათაური მისცა თავის წვრილ-წვრილ, ნარევი შინაარსის მქონე ლექსთა კრებულს პოეტზე შეუცვალა ს მა (ძვ. წ. 220—132). ორცოდ მართებულა დორეთილობის ფორმა „სატირა“ (satyra ან satira), რომელიც „სატირო“ ფორმას შეენაცვლა და უარყოფითი საზოგადოებრივი მოვლენების დაცინავ, გამკიცხველ უანრის დაერქეა; ელინომანიის ნიაღაგზე წარმოიქმნა ბერძნული სიტყვისაგან „სატკროს“ (1. დიონისე-ბახუსის მხლებელი თხის მსგავსი არსება; 2. ბერძნული დრამის პაროდიული ნაირსახეობა, რომლის კომიკური გუნდის წევრები თხის ტყავის მოსასხამებით იყვნენ მორთულნი). ლიტერატურული სატირის უანრის შემქმნელად რომაელები მიიჩნევენ ძვ. წ. II საუკუნის პოეტს — გაიუს ლუკიუს იუს (180—102), რომელსაც 30 წიგნის შემცველი „სატურები“ შეუთხზავს (ჩვენამდე მხოლოდ ფრაგმენტებია მოღწეული). ლუცილიუსის სატირა პოლემიკურ-დიდაქტიკური ხასიათისა იყო. პოეტი ვოურიდებლად კიცხავდა და ამათრახებდა რომის საზოგადოებაში ფეხმოკიდებულ უარყოფით მოვლენებს; ზნეობრივ დაქვეითებას, სიხარბესა და მომხვეჭელობას, მექრთამეობასა და გამდიდრებისაკენ უსაჩღრო მისწრაფებას. ლუცილიუსის აქტუალურ-პოლიტიკური თემატიკის შემცველ სატირას დღის სინათლეზე გამოჰქონდა რომაული არისტოკრატიისა თუ პლებისის ფენებში არსებული ყველა მანკიერება, რომელთაც რომის სახელმწიფოსათვის ვნება მოპქონდათ. პოეტი არ ერიდებოდა ცალკეული პიროვნების გაფიცხვას, თუ იგი ამას იმსახურებდა. ლუცილიუსის მოღვაწეობის ხანაში მწერალსა და პოეტს ჯერ კიდევ თავისუფლად შეეძლო პოლიტიკურ მოღვაწეთა, დიდ-დიდ მაგისტრატთა შეცდომებისა თუ ჩადენილი დანაშაულის მხილება, მათი საჯაროდ დაგმობა. მიტომ ლუცილიუსის სატირას არისტოფანესეული ძველი ატიკური პოლიტიკური კომედიის სიმახვილე ახასიათებდა. პორაციუსი ლუცილიუსშე ამბობს: „თავკაცებსაც ესხმოდა თავს და მდაბიო ხალხსაც. ზოგაცდა მხოლოდ ქველობას და ამასთან წილნაყარ ვაეკაცო“ (სატ. II, 1, 69—70). ჩესპერბლიუსი პერიოდის მომდევნო ხანებში, როცა პოლიტიკური თავისუფლება შეიზღუდა, ლუცილიუსის მიერ დამკვიდრებული სატირული უანრი სხვა გზით წარიმარ-

თა ისეთი პოეტების შემოქმედებაში, როგორიც იყვნენ: „ჩიკ-ნიპესეული სატირების“ ავტორი — შარქულ რერენ-ციუს ვართნი (ძვ. წ. 116—27), პორაციუსი, პერ-სიუსი (ახ. წ. 34—62), დეციმუს იუნიუს ბერები ლი (ახ. წ. 60—127). სატირამ დაკარგა მათთან პოლიტიკური პამფლეტის ხასიათი და მძაფრი პერსონალური გამოცდა.

პორაციუსი თავის სატირებს „საუბრებს“ (Sermones) უწოდებს და ამოცანად ისახავს, განვითაროს მორალის თემებზე მუსაიფის ს უანრი, რომელიც ელინისტური პერიოდის ბერძნულ მწერლობაში ს აფილოსოფიო დიატრიბის სახით ჩამოყალიბდა და რომლის დიდოსტატადაც ძვ. წ. III საუკუნის კინიკოსი ბიონ ბორის თენელია მიჩნეული. პორაციუსის სატირა თავისებური უანრია და მთლიანად არ შეესაბამება ჩვენს დღევანდელ წირმოდგენას სატირაზე. ესაა, შეიძლება ითქვას, მორალური ქადაგება, რომელიც მიმიურ სცენებსა და დიალოგის ფორმებშია გამოხატული. სატირის სადიალოგო ფორმა განსაკუთრებულად მაღალმხატვრულ დონეს აღწევს „სატირების“ მეორე წიგნში.

საზოგადოებრივი და იდეოლოგიური ცხრვრების ახალ ეტაპზე, როცა გაიზარდა ინდივიდუალიზმი და პარტიკულარიზმი, როცა აიკრძალა პოლიტიკური გამოხდომები მაღალი მაგისტრატებისა და სახელმწიფოს ინსტიტუტების წინააღმდეგ, პორაციუსმა სატირა საყოფაცხოვრებო და საფილოსოფიო თეშების სამსახურში ჩააყენა. ეპიკურეს მძღვრებაზე დაყრდნობით, პორაციუსი სატირებში მთავარ პრობლემად იყენებს პიროვნების ბედნიერების საკითხს ახალ სოციალურ კითხვებასთან დაკავშირებით. უწინარეს ყოვლისა, პოეტის აზრით, საჭიროა რომის სახელმწიფოს ახალი პოლიტიკური გარემოს სრული ოლიარება, მასთან შერიცვება. ნორმალური ადამიანური ბედნიერების, შინაგანი დამოუკიდებლობისა და სიმშვიდის, ამჯვეუნიური ცხოვრების სიკეთით ტკბობის მოპოვების ერ-

1 ოდების გარდა ყველა თეის თხზულებას პორაციუსი მეტრიკულ ფორმაში მოქმედებს პრიზად (Musa pedestris, sermones repentes per humum) მიიჩნევს.

თადერთი და სწორი გზა ზომიერების დაცვაა, ესაა ე. წ. „თქ-  
როს შუალედი“ (*aurea mediocritas*) — მართალი, აუმ-  
ღვრეველი ცხოვრების წყაროსთვალი. ამ სწორი გზიდან ყო-  
ველი გადახრა გასაკიცხია და დასაგმობრ პორტულუს შემო-  
რის ობიექტია ბედნიერებისაკენ მისწრაფების, ყოველ ზე. პოეტი მსუბუქი ირონიით კიცხავს ადამიანის ზურბის უკმო-  
ხველ მანკიერებებს: გადაჭარბებულ პატივმოყვარეობასა და  
ქედმალლობას, ორგულობასა და ფლიდობას, სიძუნწესა და  
სიხარბეს, ფუფუნებასა და სიმდიდრისაკენ დაუკებელ მის-  
წრაფებას და ა. შ. გაკიცხვის ობიექტად პოეტს ოცუთუ იშვია-  
თად გამოჰყავს კონკრეტული პიროვნებანი, მაგრამ ასეთ  
შემთხვევებში სიურთხილეს იცავს და თავისი ირონიის  
მსხვერპლს საეჭვო რეპუტაციის ადამიანთა წრეში ეძიებს.  
კონკრეტულ პიროვნებათა მანკიერების გაკიცხვის ფასს პოეტი  
ისე როდი იქცევა, რომ მხოლოდ სხვის თვალში ხედავდეს  
ბეჭვს და საფუთარში დირეს ვერ ამჩნევდეს. არა! ივი თავის  
თავსაც არ ინდობს, როცა ეს საჭიროა (სატ. I, 3). პორაციუ-  
სი პირდაპირ აცხადებს, რომ მას „სიცილით სურს ჰეშმარიტე-  
ბის ღალადი“ (*ridentem dicere verum Sat. I, 24*).

პორაციუსის ყოველ სატირას თავისი, განსაზღვრული თე-  
მა აქვს: ნაწილი სალიტერატურო თემებს ეძღვნება (I, 4, 10;  
II, 1), ნაწილი — მორალურ-ფილოსოფიურ საკითხებს (I, 1,  
2, 3, 6; II, 2, 3, 5, 6, 7); ზოგი სატირა ამა თუ იმ ამბის  
თხრობაა (I, 5, 7, 8, 9; II, 4, 8.), რომლებშიც უბადლო იუ-  
მორითა აღწერილი საფუთარი (I, 5, 9; II, 4) თუ სხვა პირის  
პიკანტური თავგადასავალი (I, 7, 8; II, 8).

პირველი წიგნის პირველი სატირის თემა, მაგალითად, სი-  
ძუნწე და სიხარბეა. პოეტი მეცენატთან საუბარში გმობს გამ-  
დიდობისაკენ უსაზღვრო მისწრაფებას. მეტისმეტი სიმდიდრე  
ჰეშმარიტ სიკეთეს ვერ მიანიჭებს ადამიანს. მფლანგველობა-  
ცა და სიძუნწეც — ორივე ბოროტებაა. ბედნიერება ზომიე-  
რების დაცვაშია: ზომიერება ყველგან და ყვე-  
ლაფერში (est modus in rebus) — ასეთია ამ და სხვა სატი-  
რების ერთ-ერთი მოტივი.

მე-3 სატირის თემა მეგობრობაა. პოეტი ეპიკურესეულ

მეგობრობის თეორიას უჭერს მხარს: ჰეშმარიტი მეგობარი უღალატოა და მიმტევებელი.

2. ეპოდები. ამ სათაურის ქვეშ გაერთიანებულია 17 ლექსი, რომლებიც მჭიდროდ უკავშირდებიან თარიღობაზე და ლექსთა კრებულს ჰორაციუსი თვითონ „იამბებს“ (Iambi) ეძახდა; „ეპოდები“ მოგვიანებით გრამატიკოსებმა შეარქვეს იმის გამო, რომ აქ გამოყენებულია ორკარედიანი სისტემის ეპოდური საზომი. ამ ორკარედიან სტროფში პირველი კარედი იამბური ტრიმეტრია, მეორე კი იამბური დიმეტრი: ასეთ სტროფს უწოდებდნენ ეპოდს. სახელწოდება მომდინარეობს პირველზე მოკლე მეორე კარედის ხასიათისაგან. იგი მიჩნეული იყო მისამლერ ერთეულად — რეფრენად (ბერძ. ἐπῳδὸς ლათ. clausula). კრებულის 1—10 ლექსები ხსენებული საზომითა გამართული, დანარჩენი 7 ეპოდის მეტრიკა კი განსხვავებულია: მე-11 ეპოდში იამბურ ტრიმეტრს გრძელი კარედი მოსდევს (ელეგიურ-იამბური); მე-12 ეპოდში იამბური საზომი არაა გამოყენებული; მე-13 ეპოდის პირველი კარედი ჰექსამეტრულია, მეორე იამბურ-ელეგიური; მე-14 და მე-15 ეპოდები პითიამბური სისტემითა გამართული (დაქტილური ჰექსამეტრი იამბური დიმეტრი); მე-16 ეპოდში ჰექსამეტრულ კარედს იამბური დიმეტრი მოსდევს; მე-17 ეპოდი მთლიანად იამბური ტრიმეტრითა შეთხზული.

ახალგაზრდობის კაშს დაწერილ ამ ეპოდებში ჰორაციუსი ძვ. წ. VII ს-ის დიდი ბერძენი იამბოგრაფოსის არ ქილო ქე პაროსელის პოეზიას ეყრდნობოდა და არა კატულუსის ინვექტივას. თავისი დამოკიდებულება ოქტილოქესადმი ჰორაციუსს ასე აქვს გამოხატული: „პირველმა მე ვუჩვენე ლაციუმს პაროსული იამბები, რაფი მივუევი ოქტილოქეს საზომთა და სულისკვეთების გზას და არა მისეულ შინაარსსა და ლიკამბეს განმაქიქებელ სიტყვებს“<sup>1</sup>. მართლაც, ჰორაციუსის ეპოდებში ოქტილოქესულია მეტრიკული ფორმა და აგრესიულ-სარჯასტული ტონი. ამის ზედ ერთვის დიდაქტიკაც. მეტად საყურადღებოა მე-7 ეპოდი: ჰორაციუსი სასტიკად

<sup>1</sup> ჰაროსელი არისტოკრატი ლიკამბე და შინი ასულები ოქტილოქეს მეტად გესლიანი იამბების ობიექტები იყვნენ.

გმობს სამოქალაქო ომს, რომელიც რომის სახელშეიფლ  
 ძლიერებას ძირს უთხრის. პოეტი შექმნილი ეითარებიდან გა-  
 მოსავალს ვერ წელავს და აღმფოთებით მიზანით არ გა-  
 ლებს: „საით, მიისწრაფით ბოროტმოქმედო? ურიანთიც ამთ-  
 გიშვდიათ მარჯვენით მახვილნი? განა ლოთინია მცირე საკილ-  
 დაილვარა ველებსა და ნეპტუნუსის [ზღვის] საბრძანებელზე?  
 იმისთვის კი არ აკეთებთ ამას, რომ რომაელმა შურით აღვსი-  
 ლი კართაგენის ზვიადი ციხე-სიმაგრენი გადაბუგოს! არც  
 იმისათვის, ძლიერმა ბრიტანელმა რომ შებორჯილმა გაიაროს  
 საერავიაზე!! არამედ იმისათვის, რომ პართების საამოდ ეს  
 ჩვენი ქალაქი თავისივე მარჯვენით დაილუპოს! არც მგლებსა  
 და არც ლომებს არა აქვთ წესად ასეთი რამ თავ-თავიანთ სა-  
 ნათესაოში; ისინი სხვა ნადირთ მტრობენ! რამ დაგაბრძავათ:  
 სიშმაგემ, უსასტიქესმა ძალამ თუ ცოდვამ? მიპასუხეთ!  
 სდუმან! სახეზე მკრთალი ფერი დასდებიათ, ჰყუა გაპყინვიათ.  
 დიალ, მკაცრი ბედისწერა რომაელებს დევნის ძმის მკელე-  
 ლობისათვის, როს მიწაზე დაიღვარა რემუსის უმანკო სისხლი  
 მაწყევარი შთამომავალთა!“

ასეთივე ხასიათისაა მე-16 ეპოდი. პოეტი აქაც რომაელ  
 ზალს მიმართავს: „უკვე მეორე თაობა ისრისება სამოქალა-  
 ქო ომებით და რომი საკუთარი ძალებით ანგრევს თავის თავს,  
 ის რომი, რომელიც ვერ დასძლია ვერც მარსების მეზობელმა  
 ტომმა, ვერც მრისხანე პორსენას ეტრუსკულმა ლაშქარმა...  
 ვერც მკაცრმა სპარტაკუსმა... ვერც ველურმა გერმანიამ თავი-  
 სი ცისფერთვალებიანი ურდოთი... ვერც ჩვენ მამა-პაპათა  
 მოძულე ჰანიბალმა... პოეტის აზრით, დალგება „ოქროს  
 საუკუნე“, მაგრამ იტალიაში კი არა, როგორც ვერგილიუსი  
 ქადაგებს მე-4 ეკლოგაში, არამედ ნეტართა შორეულ კუნ-  
 ძულებზე, სადაც გადარჩენილი რომაელები გაიცევიან.

პირადი მტრობის მოტივი პორაციუსის ეპოდებში იშვია-  
 თია. პოეტი უპირატესად იმ პირთ კიცხავს და დასცინს, რომ-  
 ლებიც საზოგადოებისათვის მეტად საშიშნი არიან. ასე მაგა-  
 ლითად, მე-4 ეპოდში პოეტი დასცინის ყოფილ მონას, რო-

<sup>1</sup> Sacra via — „წმინდა გზა“ რომის ფორუმზე გაელით მიემარ-  
 თებოდა კაპიტოლიუმის იუპიტერის ტაძრისაეკენ. ამ გზით რომაელები ტრი-  
 უმფურით ტყვებს გაატარებდნენ ხოლმე.



მელსაც გათავისუფლების შემდეგ მაღალი პატრი მოუპოვებია და სამხედრო ტრიბუნიც გამხდარა. დასკვიტების მართვა მიღრომაა, რომ დავიწყებია თავისი ახლო ჩატარებით თოვა ესპანური შოლტით ფერდებს უჭრელებდნენ. და ამ დროის დრებული და გრძელ როგაში გამოწყობილი, დილკაცობა, იბლინება და მზად არის სხვათა საგვემად.

მე-10 ეპოდი ელინისტური „პროპემტიკონის“ (გზის დალოცვის) პაროდიაა. პოეტი დასცინის და წყევლა-კრულვით მიმართავს თავისსა და ვერგილიუსის ლიტერატურულ მტერს უნიჭო და ყიამყრალ პოეტს მევიუს.

3. ეპისტოლები. ეპისტოლარული ჟანრი, რომელიც გულისხმობს გარევეული პირისადმი მიმართულ წერილს სხვადასხვა საკითხის თაობაზე, რომაულ პოეზიაში აღრეც ასებობდა. ასეთ წერილებს თხზავდნენ, მაგალითად, ლუცილიუსი და კატულუსი, მაგრამ ეპისტოლარული ჟანრის დახვეწასა და მის ჩამოყალიბებას წმინდა ლიტერატურულ ჟანრად პორაციუსის დამსახურებად თვლიან.

შემოქმედების ბოლო პერიოდში პორაციუსმა ეპისტოლეთა ანუ წერილთა ორი წიგნი შეთხზა, პირველი წიგნი ოც წერილს შეიცავს და ძვ. წ. 20 წელს განეკუთვნება. შეორე წიგნი სამი წერილისაგან შედგება და ძვ. წ. 19—14 წლებშია შეთხზული. სალექსო ფორმა ამ მეტნაკლები მოცულობის წერილებისა დაქტილური ჰქექსამეტრია. წერილთა აღრესატები პორაციუსის ნაცნობ-მეცნობრები არიან (მეცნატი, ლოლიუსი, იულიუს ფლორუსი, ალბიუს ტიბულუსი, მანლიუს ტორკვატუსი, ნუმიციუსი და სხვ. II — ავგუსტუსი, პიზონები...).

ეპისტოლეთა ანუ წერილების ჟანრი თემატურად სატირებს უახლოვდება. ეტყობა, ამიტომ, ავტორი წერილებსაც „საუბრებს“ უწოდებს. პორაციუსი თავის აღრესატებს უპირატესად ფილოსოფიურსა და ლიტერატურულ საკითხებზე ესაუბრება. იგი მიზნად ისახავს, წერილის აღრესატს და, საერთოდ, რომაული საზოგადოების ინტელექტუალურ ზედაფენას დაეხმაროს ჭეშმარიტებისა და უზენაესი სიკეთის ძიებაში. წერილებში პორაციუსი კვლავ ეპიკურეიზმის პოზიციებს იცავს. ამასთან, ცდილობს, ამ მიმღინარეობის პრინციპები სტოელთა ფილოსოფიის დებულებებს შეუხმატებილოს.

მეორე წიგნის სამივე წერილის მთავარი თემა  
ლიტერატურული საკითხებია. პორველ წერილში, რომლის  
ადრესატი, ოქტავიანუს ავგუსტუსია, პოეტი მველი და ანა-  
ლი პოეზიის თაობაზე მსჯელობს და ლიტერატურული მიზანი  
ტიკის საკითხებს ეხება. ასევე პოეზია მარტინული და მარ-  
მაც. პოეტი აქ უარყოფითად აფასებს მოდადქცეულ პოეტურ  
დილეტანტიშის.

მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში განსაკუთრებული  
მნიშვნელობისაა ამ წიგნის მესამე წერილი — „წერილი პი-  
ზონებისადმი“. წერილის ადრესატები არიან რომაული არი-  
სტოკრატიული ოჯახის წარმომადგენლები: მამა — ლუციუს  
კალპურნიუს პიზონი და მისი ორი ვაჟი, რომელთაგან უფრო-  
სი, ეტყობა, დრამატურგობას ჩემულობდა. წერილი მთლია-  
ნად პოეტიკის საკითხებს ეხება და სწორედ ამის გამო ცნო-  
ბილმა რიტორიმა კვინტილიან უს მა მას საგანგებო სა-  
თაური შეურჩია და დაარქვა „წიგნი პოეტური ხელოვნებისა-  
თვის“. ეს არცთუ დიდი მოცულობის ეპისტოლე (სულ 476  
პექვამეტრულ კარელს შეიცავს) ანტიკური კლასიკური ესთე-  
ტიკის უაღრესად მნიშვნელოვანი ძეგლია. პორაციუსის „პოე-  
ტური ხელოვნება“ თავისი ხსიათით არსებითად განსხვავდე-  
ბა არისტოტელს „პოეტიკისაგან“. არისტოტელეს თხზულება  
თეორიული გამოკვლევაა, პორაციუსის ნაწარმოები კი ღრმა  
ფილოსოფიურ საფუძვლებს არ ეყრდნობა. მას უფრო მეტად  
პრაქტიკული დანიშნულება აქვს და ნორმატივებ ტრაქტატს  
წარმოადგენს. პორაციუსი ამ ტრაქტატში რომაული კლასი-  
ციზმის პოზიციებიდან მკითხველს აწვდის პოეტურ ხელოვ-  
ნებასთან დაკავშირებულ ნორმატივული ხსიათის წესებს,  
ლიტერატურულ პროგრამას ანუ თავისებურ მანიფესტს,  
რომლის პიზანი რომაული ლიტერატურული შემოქმედების  
დონის ამაღლებაა. პორაციუს გამოყენებული აქვა წინამორ-  
ბედ თეორეტიკოსთა თხზულებები (არისტოტელეს, ნეოპტო-  
ლემე პარიონელის, ციცეონისა და სხვათა ტრაქტატები),  
მაგრამ თავისი ნაწარმოებისათვის მთავარი საყრდენი იყო  
საკუთარი პოეტური პრაქტიკის განზოგადება და საფუძვლად  
აღდებული ესთეტიკური პრინციპების ნათელყოფა წინამორ-  
ბედ დიდ პოეტთა შემოქმედების მაგალითებით. ძირითადი

თეორიული საკითხები, რომელთაც პორაციუსი „პოეტურ ხელოვნებაში“ აყენებს, შემდეგია: როგორი უნდა იყოს პოეტური თხზულება, რით უნდა აღიქცურვოს პოეტი და რა შეფასევება მას, რა დოზით შეიძლება წინამორბედთა ნაწყაწის გამოყენება, როგორ უნდა მოვაროთ მხატვრული ნაწარმოების საშენ მასალს, ე. ი. სიტყვას. ტრაქტატში დასმულია, აგრეთვე, პორაციუსის თანამედროვე ეპოქისათვის უმნიშვნელოვანების სხვა ესთეტიკური საკითხებიც.

პორაციუსის, როგორც დიდი ლირიკოსი პოეტის, მთელი შემოქმედება მიმართული იყო პრინციპატის ეპოქაში საკმაოდ ფეხმოკიდებული უიდეო ფორმალიზმისა და პოეტური დილეტანტიზმის წინააღმდეგ. პოეტი ებრძოდა იმ ლიტერატორებს, რომლებიც მხოლოდ ფორმას ანიჭებდნენ მნიშვნელობას და თითქმის სრულიად უგულებელყოფდნენ ნაწარმოების იდეურ შინაარსს. პოეზიის დანიშნულება ადამიანის გართობა კი არ არის, არამედ მისი სულიერი აღზრდა, ეთიკური დაწმენდა. პორაციუსის აზრით, ლიტერატურული ხელოვნების საფუძველთა საფუძველი ყოველთვის უნდა იყოს ელინთაგან დამკვიდრებული სიბრძნე.

„პოეტური ხელოვნება“ დაწერილია პორაციუსისათვის დამახასიათებელი სხარტი, მიმზიდველი პოეტური ხერხებით და თავისუფალია რიტორიკული სქემატიზმისაგან. ამ თხზულებას ევროპული კლასიციზმის პოეტიკისათვის არის ტოტელეს „ტექნი პოეტიკეზე“ ნაკლები კანონიკური მნიშვნელობა როდი ჰქონდა. პორაციუსი ევროპულმა მწერლობამ უდიდეს ავტორიტეტად აღიარა პოეზიისა და დრამის ხელოვნების ნორმატულ თეორიაში. ევროპული კლასიციზმის ცნობილი კოდექსი — ბუალოს „პოეტური ხელოვნება“ მთლიანად პორაციუსის გავლენითაა შედგენილი!

4. „ხაუკუნო ანუ საიუბილეო ჰიმნი“. ანტიკური ხანის ბიოგრაფიისის გადმოცემით, პრინცეპი ოქტავიანუს ავგუსტუსი ვერგილიუსის სიკვდილის შემდეგ პორაციუსს უდიდეს პოეტად აღიარებდა და თვლიდა, რომ მისი თხზულებები თაო-

1 იხ. კვინტუს პორაციუს ფლაკუს ი. პოეტური ხელოვნებისათვის. ლათინურიდან თარგმნა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო აკაკი ურუშაძემ, თბილისი, 1981.

ბიღან თაობას გადაეცემოდა და სამარადისოდ ჩქნებოდა და-  
ცული. სწორედ ამიტომ საიმპერატორო კარმა, პირადი დ  
პრინცეპსმა, პორაციუსს დაავალა, შეეცავა რეზიდენცია  
პიმნი დიდი საიუბილეო ზეიმის დასაგრძელებელი დღე.

ჰორაციუსმა ლეგენდარული სიბილას „წმინდა წიგნები-დან“ (*libri si byllini*) მომდინარე საკულტო პოეზიის ფორმულებს ახალი სიცოცხლე მიანიჭა და ბუნების მამოძრავებელი ძალებისა და რომაული პატრიოტიზმის საზეიმო ხოტბა გამოძერწა იმ ჰიმნის სახით, რომელსაც „საუკუნო ჰიმნი“ — *C a r-men saeculare* ეწოდება.

საიუბილეო „საუკუნო პიმინი“ შეთხზულია ოთხეპულედიანი საფოსტული სტროფული სისტემით და 19 სტროფს შეიცავს. პოეტი პიმინში სსენებულ ღვთაებებს შესთხოვს ძლევამოსილი რომის კეთილდღეობას.

1890 წელს, რომში არქეოლოგიური გათხრების დროს იძოვეს კრუელი შინაპრისის შემცველი წარწერა, რომელიც ხსნენებული სიტყვილეო ზეიმის ანგარიშს წარმოადგენს. წარწერის ფინალურ ნაწილში აღნიშნულია, რომ სიმღერა შეასრულა ჭაბუქთა და გოგონათა გუნდმა და რომ სიმღერა შეთხბა კვინტუს პორაციუს ფლაკუსმა (...carmen composuit Q. Horatius Flaccus).

5. የፌዴራል ታሪክ ስምምነት በመከራለ ተቋሚነት እና የፌዴራል ታሪክ

ციუსმა თავისი უბადლო პოეტური ნიჭი და შესაძლებლობა-  
ნი გამოავლინა, მაგრამ ცენტრალური ოდგილი მის შემოქმე-  
დებაში მაინც ლირიკულ პოეზიას ეჭირა. პოეტურის უმ-  
თავრესი თხზულება, რომელმაც უკვდავყო პოეტის, სახელი  
არის ოთხი წიგნის შემცველი ლირიკული ლექსუბის კრებუ-  
ლი, რომელსაც ანტიკური ხანის კომენტატორებმა ბერძნული  
სახელი „ოდები“ შეარქეს (ბერძნულად οδέ αν οδά „სიმ-  
ღერას“ აღნიშნავს და არა იმ საზეიმო, სახოტბო უანრის  
თხზულებას, რომელსაც ეს სახელი — ოდა — ახალი დროის  
ლიტერატურაში ეწოდა). თვითონ პორაციუსი თავის ლირი-  
კულ ლექსებს უწოდებს „სიმღერებს“ — *Carmina-b.*

„ოდების“ ანუ „კარმინების“ პირველ წიგნში 38 ლექსია,  
მეორეში — 20, მესამეში — 30 და მეოთხე წიგნში — 15.  
ასე რომ — „ოდების“ კრებულში სულ 103 ლექსია. 104-ე  
ლექსად კრებულს ერთვის ზემოთ განხილული „საუკუნ  
ჰიმნი“.

პორაციუსმა თავის „ოდებში“ რომაული ლირიკა უმა-  
ლეს და მანამდე უცნობ საფეხურზე აიყვანა. სანიმუშოდ  
გამოიყენა ბერძნთა დიადი პოეტური მექვიდრეობა, რომე-  
ლიც ღრმად ჰქონდა შესწავლილი და შეთვისებული. ბერ-  
ძნულ პოეზიასთან დამოკიდებულება მან გამოკვეთილად გა-  
მოხატა რომაელი პოეტებისადმი მიმართვაში: „თქვენ დღი-  
სითაც და ღამითაც ხელთ ქონდეთ და იკითხეთ ბერძნული  
სამაგალითო ქმნილებანი“ („პოეტური ხელოვნებისათვის“,  
268—269). რომაული ლირიკული პოეზიის აღსაჩევებლად  
პორაციუსი დაეყრდნო ძველბერძენ ლირიკოს პოეტებს არქი-  
ლოგესა და მიმნერმეს, ალეკოსს, საფოსა და ანაკრეონტს,  
აგრეთვე ქორიკული პოეზიის თავკაცს — პინდარეს. პორა-  
ციუსს თავის დიდ დამსახურებად მიაჩნდა ის, რომ იტალიურ  
ნიადაგზე ბერძნული მონოდური ლირიკის (ალკეოსის, საფოსა  
და ანაკრეონტის) ჰანგები გადმონერგა (III, 30 — მელპო-  
მენესაღმი).

პორაციუსი კლასიკური ლათინური ლექსის განუმეორებე-  
ლი ნოვატორი იყო. მის ლირიკულ პოეზიაში უაღრესად დაი-  
ხვეწა პოეტური ენა, სტილი და სრულად ახალი რიტმით  
ჟღერდა ლათინური ლექსი. პორაციუსს, სიტყვიერი ხელოვნე-  
3. პორაციუსი

ბის ამ ჯადოქარს, ახასიათებს გასაოცარი ლირიკული არტისტიზმი, თანამედროვე მკითხველისათვის არცთუ ადვილად მისაწვდომი უმაღლესი დონის ურთულესი და დაჭახვეწილი პოეტური ტექნიკა, ის ტექნიკა, რომელსაც აზტყურ ხანაში „ტექნე პოეტიკა“ — „არს პოეტიკა“ შემოჰკვა, ფეხლალურმა რომაელმა პოეტმა კლასიკური ლათინური პოეზია გაამდიდრა ბერძნული ეოლიური ლირიკის სალექსო, სტროფული ფორმებით. მის ოდებსა და ეპოდებში გამოყენებულია და დანერგილი ოფამდე სხვადასხვა სახის სტროფი (არქილოქესული, საფოსეული, ასკლეპიადესეული და სხვ), რომელთა უმთავრესი სქემებიც ქვემოთ გვაქვს ნაჩვენები. ეს სტროფული ფორმები სრულიად ახალი იყო რომაულ პოეზიაში (ერთადერთი—საფოსეული სტროფი უფრო აღრე კატულუსთან გვხვდება), სწორედ ამიტომ უწოდებს ოვიდიუსი პორაციუსს „მრავალსაზომიანს“. პორაციუსის ლექსს, ისევე როგორც საერთოდ ანტიკური ხანის ბერძნულსა და ლათინურ ლექსს, რითმა არა აქვს. სტროფები შედგენილია სხვადასხვა რიტმისა და სხვადასხვა მეტრის შემცველი კარედებისაგან. სტროფთა ასეთი მეტრული მრავალფეროვნება, კერძითიკატორული დიდოსტატობა, მხოლოდ და მხოლოდ პორაციუსის ლექსის კუთვნილება იყო და მერე რომაულ პოეზიაში აღარ განმეორებულა. პორაციუსმა, მართალია, გადმონერგა ძველბერძნული ეოლიური ლირიკის მეტრული წყობა და საერთო სტილისტური ტონი, მაგრამ სხვა მხრივ საკუთარი, ელინისტურ-რომაულ შინაარსზე დაყრდნობილი გზით წავიდა.

მეტად ორიგინალურია პორაციუსის პოეტური ენა და სტილი. აქ იგი დამოუკიდებელია, წმინდა რომაული პოეტური სიტყვის სამყაროშია და შეუდარებლად ხელეწიფების ცნების, სიტყვის, ფრაზის მარჯვე, სწორი შერჩევა. განსაკუთრებით აღსანიშნავია წინადაღებაში სიტყვათა განლაგების თავისუფლება, რაც ლათინურ ენაში ბუნებრივი და დასაშვები იყო და რის გადატანაც სხვა ენაზე უსაშველოდ ძნელი საქმეა. პორაციუსის ლექსს ახასიათებს საოცარი საგნობრიობა, კონკრეტულობა და სიცხადე. მისი ლექსები აღსავსეა განყენებული და კონკრეტული სახეებით, მითოლოგიური და საკუთარი — აღამიანთა თუ გოგრაფიული სახელებით. პორაციუსის პოე-

ზის სახეთა სამყარო ამ მხრივ მეტად ფართო და რთულზე  
რთულია. პორაციუსის პოეზიისათვის ასევე დამახასიათებელი  
უტრისია თემის განვითარების პარადოქსალური ხელოვნება  
და, რაც მთავარია, აზრის სიღრმე. აზრი და წარმოსახვა პორა-  
ციუსის ლექსში გრძნობას იმორჩილებს და თემატიკა ვიწოდ-  
სუბიექტურ განცდათა სფეროს ძალუმიდ სცილდებული — პორა-  
ციუსის პოეზიაში განაღლებულია „პოეტურ ხელოვნებაში“  
ჩამოყალიბებული დებულებები: კეშმარიტი შემოქმედების  
საფუძველი, მისი წყაროსთვალი, მარტო ეგზალტაცია კი არ  
არის, არამედ პოეტის სწორი, დაკვირვებული, მედიტატიური  
აზროვნება. პოეტისათვის საჭიროა ფილოსოფიური განათლე-  
ბა. მან უნდა იცოდეს, რა ვალი აწევს ქვეყნისა და საზოგა-  
დოების წინაშე. იგი ცხოვრებას უნდა უკვირდებოდეს და  
სინამდვილეს სწორედ ცხოვრებისეულად ასახავდეს. შინა-  
არსისაგან დაცლილი თხზულება მკითხველს ვერ მოხიბლავს.  
რომაელთა მხატვრული შემოქმედების უნარი, ძველ ბერ-  
ძნებთან შედარებით, გამორჩენის, გამდიდრებისა და ფულუ-  
ნებისაკენ მისწრაფებამ დააქნინა. სიხარბე და ქონების მო-  
ხვეჭის დაურკებელი სურვილი შეუთავსებელია კეშმარიტ  
პოეზიასთან.

პორაციუსის ლექსებს თითქმის ყოველთვის მიმართვის  
ფორმა აქვთ. პოეტი ესაუბრება თავის აღრესატს და ამ საუ-  
ბარში ავითარებს ლირიკულ თემას. მხოლოდ რამდენიმე შემ-  
თხვევაში აქვს ოდას სხვაგვარი ფორმა — ფორმა მონოლოგის  
ან დიალოგისა. ოდათა აღრესატები უპირატესად პოეტის  
ნაცნობ-მეგობრები არიან (მეცნატი, ვიპსანიუს აგრიპა, ვერ-  
გილიუსი, ელიუს ლამია, იქციუსი, ალბიუს ტიბულუსი ნუმი-  
და და სხვები). ზოგჯერ პოეტი მიმართავს ლვთაებას (ვენუსს,  
პოლონს, დიანას, მერკურიუსს..) ასეთ შემთხვევაში საქმე  
ვაქვს პიმნთან, ამ ცნების ანტიკური გაგებით. ზოგჯერ, როცა  
პოეტს სჭირდება, მიმართების აღრესატი პოეტური ფიქციაა.  
უპირატესად ეხება ეს ბერძნული სახელებით მოხსენიებულ  
შვენიერი სქესის წარმომადგენელ აღრესატებს (პირა, ლიდია,  
ლიკერა, ლიდე, კინარა, ლევკონოე, ლალაგე, ფოლოე, ფი-  
ლისი, ქლოე...). იშვიათად პოეტი უსულო საგნებსაც (ხო-  
ჭუჭუჭს, ჩანგს...) მიმართავს.

პორაციუსის ოდების თემატიკა მეტად მრავალფეროვანია. პოეტის იდეურ რეპერტუარში დიდი ადგილი უჭირავს ფილოსოფიურ თემებს, სიცოცხლისა და უსურეობის, ქვემართი ბედნიერებისა და ზნეობის ხიერიხების პოეტი თავის მედიტატიური ხასიათის ლირიკულ ლექსებში უპირატესად ეპიკურეიზმისა და სტოიციზმის დებულებებსა და დასკვნებს ეყრდნობა. იშველიებს, აგრეთვე, ბერძნული პოეზიის ფონდიდან დასესხებულ დიდაქტიკურ — გნომურ მასალას, საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებას. აღამიანის ყველაზე დიდი მიზანი უშფოთველი ცხოვრება და უზენაესი სიკეთისაკენ — ზნეობრივი სრულყოფისაკენ მისწრაფებაა. მაგრამ ეს არ გამორიცხავს პოეტის მოწოდებას, რომ აღამიანი სწრაფად წარმავალ წუთისოფელში დატებეს დღევანდელი დღით, შეირგო სწორედ დღევანდელი დღე (carpe diem „ლევკონოესადმი, 1, 11), ოღონდ და აუცილებლად ზომიერების — „ოქროს შუალედის“ (aurea mediocritas; est modus in rebus) და სიმშვიდე — გაუკვირვებლობის (nil admirari) დაცვით. პორაციუსის მთელი პოეტური შემოქმედების, განსაკუთრებით ოდათა წიგნების, მათი ლირიკული გმირის კრედო ქვეყნად, საზოგადოებისა და აღამიანის არსებაში წესრიგის, სულიერი სიმშვიდის, წონას-წორობისა და ზომიერების დაცვაა. პოეტის მედიტატიური ლირიკიდან მომდინარე შეგონებები ჭრილი არ არის სისეული სიბრძნის „სახელით საუკუნეებს გადაწვდა. ოდების თემათაგან აღსანიშნავია განცხრომა-ლხინის, ტრფობისა და მეგობრობის თემები.

4 პორაციუსი ხშირად და ხალისით გვთავაზობს და განცხრომის ტრადიციულ პოეტურ თემას; მის ლექსებში არცთუ იშვიათია რემინისცენციები ალკეოსისა თუ ანაკრეონტის სალალობო სიმღერებიდან, მაგრამ ლვინისადმი ტრფიალში პოეტი მუდამ ზომიერების დაცვას ქადაგებს, რა-სუან დოონისებაბუსს ანუ ლიმერს თავად არ მოსწონს და მის მიზანი "შვარის კართველობა".

5 ტრადიბის თემათაგან მოღწიული ლექსებს თავების ქრებულის თემას მეოთხედა ხაზილი ეთმობა. გრძნობა, რომელსაც პოეტი ლექსებში უმღერის, არ არის სიყვარულის ღრმა ეს მათებთი გრძნობა. პორაციუსისაოვის

ტრუობა ნებიერი კაცის მსუბუქი გატაცებაა, ანაკრეონტისეული წყარო ტკბობისა, რომელსაც ბოლოს უნდა გაეცალო. სუვარული კი არ უნდა მძლავრობდეს კაცზე, არამედ პირი-ჭით — აღაშიანმა უნდა დაიმორჩილოს იგი.

## ურარცხული

მე გობრობის თე მას პორაციუსის ტრიტაშია სა-  
ვარიო აღვილი უჭირავს. მეგობრობა ფასდაუდებელი გრისო-  
ვაა, რომელსაც სათუთი დამოკიდებულება სჭირდება. ლირი-  
კის ამ სფეროს პორაციუსის შემოქმედებაში ინტიმური კო-  
ლორიტი ახასიათებს. აღსანიშნავია მეცენატისა და ვერგი-  
ლიუსისადმი, პომპეიუს ვარუსისა და სხვა მეგობრებისადმი  
მიძღვნილი შესანიშნავი, უმაღლესი მხატვრული დონის ლექ-  
სები (მაგალითად: I, 1; II, 7; II, 17 და სხვ.).

ოდებში ფართოდაა ასახული პოეტის თანამედროვე პო-  
ლიტიკური ცხოვრება. პოლიტიკურ და სოცია-  
ლურ თემებზე შეთხზული ოდები განსაკუთრებულ კატეგო-  
რიას წარმოადგენენ. პოეტი შეშფოთებულია სამოქალაქო  
ომით გამოწვეული მძიმე ვითარებით. ალეგორიულ იდაში  
რომის სახელმწიფოს პოეტი აღარებს აბობოქრებულ ზღვაში  
მყოფ ხოფებდაცვენილ და ანდაგადატეხილ, ჩასაძირავად გან-  
წირულ ხომალდს (I, 14).

ევრეთ წოლებულ „რომაულ ოდებში“ (III, 1—6)  
ოქტავიანუს ავგუსტუსის მიერ დამკვიდრებული რეკიმის  
ოდეოლოგთა იდეალია ჩამოყალიბებული. უნდა აღსდგეს პატ-  
რიარქალურ დროთა ზნეობრივი სიწმინდე და ძველრომაული  
სრულყოფილება (virtus). პოეტი მოუწოდებს რომაელ ახალ-  
განიჩდებს უზენაესი საონოებისაკენ. მოქალაქეობრივი მოვა-  
ლეობისა და პატრიოტულმისაკენ: „ტებოლია და დამისმევნებელი  
სამშობლოსათვის ხივვოძლი“ (dulce et decorum (e)st  
pro patria mori III, 2, 13).

რამდენიმე ოდა ეძღვნება პორადად პრინცეპებს — ოქტა-  
ვიანუს ავგუსტუსს. პოეტი ხოტბას ასხამს მას და მის ბრ-  
ძნელ პოლიტიკას (1, 2, 12, 111, 3; 5). „რომაულ ოდებში“  
მოცემულია ოქტავიანუს ავგუსტუსის პოთეონი.

5. პორაციუსი მსოფლიო მწერლობაში. პორაციუსის ლი-  
ტერაზე კოთარუა სცენეტრში, თავი მოიყია რომაელი პო-  
ზოს ყველა მიღწევამ. დიდი რომაელი პოეტი თვალ გრისო-  
ზის ყველა მიღწევამ.

და, რომ ფასდაუდებელი სამსახური გაუწია რომაული პოეტური ენისა და სტილის დახვეწისა და უმაღლესი, დონიზე ყვავანის საქმეს, კლასიკური ლათინური ლექსის ფრომათა - ჩიტოყვალი ბებას. სწორედ ამიტომ იწინასწარმეტყველა - მაგ ავაუკიდ თავისი ლიტერატურული უძვდავება საქვეყნოდ ცნობილ იმ ოდაში, რომელსაც „ძეგლი“ (Monumentum) ეწოდება (III, 30) და რომელიც მსოფლიო მასშტაბის დიდ პოეტთა შთავონების წყარო გახდა.

პორაციუსმა ანტიკურ ხანაშივე მოიპოვა დიდი პოეტის სახელი. მის ლექსებს კითხულობდნენ, სკოლებში სწავლობდნენ და განმარტებებს უდგენდნენ. პორაციუსის თხზულებები პირველად წესრიგში მოიყვანა და იმდროინდელი საშუალებებით გამოაქვეყნა ახ. წ. I ს-ის რომაელმა ფილოლოგოსმა მარკუს ვალერიუს პრობუსმა. III საუკუნის გრამატიკოსმა პომპონიუს პორფირიონმა ვრცელი კომენტარი დაურთო პორაციუსის თხზულებებს. ამ თხზულებათა ხელნაწერებს ზოგჯერ ერთვის სქოლიობიც. მათი ავტორობა მიეწერება ჰელლენიუს აკრონს, რომელიც უპირატესად ფსევდო-აკრონის სახელითაა ცნობილი! აღრე შუასაუკუნებში განსაკუთრებული უზრადლებით ეკიდებოლნენ პორაციუსის მორალურ-ფილოსოფიურ თემებზე დაწერილ თხზულებებს. ამ ხანებიდანვე დაიწყო პოეტის ლიტერატურული მემკვიდრეობის გამრავლება უპირატესად მონასტრებში გადაწყვეტული ხელნაწერებით.

პორაციუსისა და მისი შემოქმედებისადმი ლრმა ინტერესი აღორძინების ანუ რენესანსის ეპოქის დასაწყისიდანვე აღიძრა. აბლად ფეხადგმული ბურეუაზიის იდეოლოგიამ, რომელიც დაუპირისპირდა საეკლესიო მსოფლმხელველობას, მისტიკასა და მკეტიზმს, პორაციუსის პიროვნებასა და ლირიკაში, ისევე როგორც საერთოდ ანტიკურობაში, თავისი დასაყრდენი დაინახა. დიდმა იტალიელმა პოეტმა პეტრარკამ უმაღლეს დონეზე შეაფასა პორაციუსის ლირიკა. პორაციუსი, ვერგილიუსსა და ოვიდიუსთან ერთად, აღორძინების ეპოქის სათაყვანო პოეტი გახდა. ევროპული მწერლობისა და ხელოვ-

<sup>1</sup> Schanz-Hosius. Geschichte der röm. Literatur, II<sup>te</sup>.

ნების დარგთა წარმომადგენელნი ჰორაციუსის თხზულებებს ბაძავენ და მის მოტივებზე ახალ ნაწარმოებებს თხზავენ. ფრანგი პოეტი პიერ რონსარი, მაგალითად, თვეის „ოდებს“ ჰორაციუსის მიბაძვით ქმნის. არც კრისტიანო ავტორი არ გამოცემულა სტამბური წესით მაშინ იმდენჯერ, რამდენჯერაც ჰორაციუსი გამოიცა. მისმა პოეზიამ უდიდესი როლი შეასრულა ახალი ევროპული ლირიკის ფორმირების საქმეში. რენესანსის ეპოქაშივე დაიწყო ჰორაციუსის თხზულებათა თარგმნა ევროპულ ენებზე. ანტიკური მწერლობისა და, კერძოდ, ჰორაციუსის მემკვიდრეობის შემოქმედებითი ათვისება საფუძვლად დაედო ფრანგულ კლასიციზმა და მისი თეორეტიკოსის ბუალოს ცნობილ თხზულებას პოეტიკის დარგში.

რუსულ პოეზიაში ჰორაციუსისეული თემები და მოტივები შემოიტანა კანტემირ მა, რომელმაც ჰორაციუსის 22 ეპისტოლე გადათარგმნა რუსულ ენაზე. ღიდ შეფასებას აძლევდნენ, თარგმნიდნენ და ბაძავდნენ ღიდ რომაელ პოეტს ლომონოსოვი და დერევავინი. განსაკუთრებული სიყვარულით და მოწიწებით, მაგრამ ზოგჯერ კრიტიკულადაც ექიდებოდა ჰორაციუსს პუშკინი. პუშკინმა თავისი ლირიკული შედევრის „ძეგლის“ ეპიგრაფად სწორედ ჰორაციუსი გამოიყნა.

ჰორაციუსის თემები და მოტივები ბშირია XIX საუკუნის რუსი პოეტების — ბატიუშკოვის, დელვიგის, ტიუტჩევის, მაიკოვისა და სხვათა ლექსებში.

7. ჰორაციუსი და კოლხეთი. საგანგებოდ არის აღსანიშნავი ის, რომ ჰორაციუსს, ისევე როგორც ანტიკური ხანის ბევრ ბერძენსა და რომაელ ავტორს, ყურადღების გარეშე არ დარჩენია კავკასია, კერძოდ — კოლხეთი და იბერია, კოლხეთთან დაკავშირებული თქმულებები არგონავტებსა და პრომეთეზე. ჩვენთვის, ქართველებისათვის, საყურადღებო ცნობები მოიპოვება ჰორაციუსის თხზულებებშიც და მათზე დართულ პომპონიუს პორტიკიონისა და ფსევდო-აკრონის კოშენტარებსა და სქოლიობშიც.

„ე პოდების“ წიგნში მოხსენიებულია: „მკაცრი კავკასია“ (I, 12), „კოლხური ცეცხლი“, „იოლკოსსა და იბერია-

ში ნაზარდი ჯადო ბალახები” (V, 20—24), „კოლხური საწა-  
მლავები” (XVII, 35). ეპოდებში ჩანს, რომ ჰორაციუსი და  
წვრილებით იცნობდა ორგონავტების თქმულებას, მეღებს — და  
იასონის ურთიერთობის ამბებს (III, 9—12; XVI, 57—58).  
ტრაქტატში „პოეტური ხელოვნებისათვალი ჰორაციუსი ასახე-  
ლებს კოლხს, მეღეას.

„ო დ ე ბ შ ი“ მოხსენიებულია: პონტო, კავკასია, გვ-  
ლონების ტომი, კასპიის ზღვა, არმენია, კოლხები, იბერები...

„ოდების“ მეორე წიგნის ბოლო, მე-20 ოდაში, რომელიც  
მეცენატისადმია მიძღვნილი, ჰორაციუსი, ისევე როგორც  
ცნობილ „ძეგლში“ (III, 30), მაღალ შეფასებას აძლევს თავის  
შემოქმედებას და ამაყად უსწორებს თვალს მომავალ უკვდა-  
ვებას: „მე, ორსახოვანი მგოსანი, სიცოცხლეში ძე ხორციელი  
და გარდაცვალების შემდეგ პოლონ ღმერთისადმი შეწირულ-  
მგალობელ თეთრ გვდად ქცეული, დავტოვებ მიწას და ქა-  
ლაქებს და ჯერაბნახული, მძლავრი ფრთებით ავიჭრები ლა-  
უვარდოვან ეთერში, სად ვერ მომწვდება ბოროტი შური.  
მე, ღარიბი დედ-მამის ნაშიერი, ჩემო კარგ მეცენატო, სი-  
კვდილს არ მივეცემი; ვერ შემბოჭავენ სტიქსის ტალღები! აა,  
უკვე შემომეცალა წვივებზე უხეში კანი, ხელნი და მხარნი  
შემემოსა ნაზი ბუმბულით. უკვე ზეციერ თეთრ ფრთისნად  
გარდავიქეც! დედალუსის ძეზე — იყარუსზე უფრო უსაფრ-  
თხოდ ვიფრენ და ტებილად მგალობელი ფრთოსანი ვიხილავ  
მგრავინავი ბოსფორის ნაპირებს, გრტულთა სირტსა და პი-  
პერბორეულ ტრიალ მინდორ-ველს!

მე შემიცნობენ: კოლხი, მარსული რაზმის შიშის მფარ-  
ველი და ყველი და შორეული გელონებიც; შემისწავლის გა-  
წვრთნილი ჰიბერიც და როდანტის წყალდალეული ტომიც!

დაუ, გამეცალოს ამაო დაკრძალვის გლოვა-ტირილი,  
უგვანო მოთქმა და მწუხარება! შეწყვიტე ზარი გლოვისა და  
თავი ანებე პატივის მიტანას გვამისაგან ცარიელ სამარეზე!“.

ამ შესანიშნავი და უკვდავი ლექსის კონტექსტში, რაც აქ  
საგანგებოდ პროზაული აღეკვატით გადმოვეცით, დიდი რო-  
მაელი პოეტის მიერ თავისი ლირიკული შემოქმედების შემ-  
სწავლელ მემკვიდრეთა შორის კოლხის პირველ ად-  
გილზე მოხსენიება შემთხვევითი როდის

ჰორაციუსის ამ უბადლო ანდერძში, ისევე როგორც კლასიკური ეპოქის ჩვენთვის ცნობილ სხვა წერილობით წყაროებში, კიდევ ერთხელაა აქცენტირებული კოლხთა და გვთანხმული სამყაროს დიდი როლი ანტიკური კულტურის ისტორიაში.

8. ოდების თარგმანისათვის. ანტიკური ხანის ბერძენ-რომაულ მწერალთა შორის ჰორაციუსის სახელი ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულთაგანია. ყოველ განათლებულ კაცს აქვს გაგონილი ეს სახელი, როგორც სახელი გენიალური რომაელი პოეტისა. ორი ათასი წელი გვაშორებს მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ხანას, მაგრამ დიდი პოეტის პოეზია დღემდე უჭირნობია, ჰორაციუსის უკვდავი ლირიკა დღემდე ამშენებს მსოფლიო მწერლობის ოქროს ფონდს. ამას აღიარებს ყველა, ვისაც ჰორაციუსი წაუკითხავს და ვისაც მხოლოდ სახელი გაუგონია მისი. მაგრამ ერთია პოეტის გენიალობის აღიარება და მეორეა, იჩწმუნო ამ გენიალობის ჭეშმარიტება. ეს კი არცთუ ისე აღვილი საქმეა! საამისოდ საჭიროა დიდი პოეტის ურთიერთების პოეტური ტექნიკის, მისი პოეტური ხელოვნების სფეროში ღრმად ჩაწვდომა. ჰორაციუსის ლირიკა, რომელიც ფორმისა და შინაარსის მრავალფეროვნებით გამოიჩინა, მეტად თავისებურია და მისი თვით ორიგინალში კითხვაც მკითხველის უურადღების უაღრეს მობილიზებასა და ღაძაბვას მოითხოვს. ეს კარგადაა ცნობილი სპეციალისტებისათვის. თვით ჰორაციუსის ცნობილი მკვლევარნიც ერთხმად აღიარებენ ამას და თუ ეს ასეა, თავისთავად დაისმის კითხვა: შეიძლება თუ არა ჰორაციუსის პოეტური გენის შეცნობა თარგმანი? შესაძლოა თუ არა, საერთოდ, მსოფლიო მასშტაბის გენიალურ მგოსანთა (ჰომეროსის, ვერგილიუსის, დანტეს, რუსთველის, გოეთეს, პუშკინის, ბლოკის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვაჟასა და გალაკტიონის...) პოეტური შემოქმედების სიღრმისეული გაგება თარგმანში და ამ გზით იმ ესთეტიკური ტებობის განცდა, რაც დიდმა პოეზიაშ უნდა მოგვანიჭოს? ეტყობა, ეს საქმე მთლად უპერსპექტივო თუ არა, უსაშველოდ ძნელი რამაა! ჰორაციუსის ლირიკის მრავალი და კულტურული თარგმანი არსებობს სხვადასხვა ენაზე. მრავალგზის და მრავალი გამოჩენილი მოღვაწის მიერაა ჰორაციუსი თარგმნილი რუსულ ენაზე. ჰორაციუს თარ-

გმნიდნენ ლომონოსოვი და ლერუავინი, ლშიტრიევი, ქუჩოვის  
და პუშკინი, ფეტი, ანენსკი და ბლოკი და სხვები. ჰორაციუსის  
თხზულებათა სრული რუსული თარგმანის რამდენიმე გამო-  
ცემა არსებობს. სახელოვანი რომაელი ჭრეტის ჩუაულიდ  
თარგმნის საქმეში დიდი წვლილი მიუტვის — ქართველ მუ-  
ნიერსა და პოეტს გრიგოლ წერეთელს, ანტიკური ეპოქის  
ბერძენ-რომაელ ავტორთა გრიგოლ წერეთლისეულ რუსულ  
თარგმანებს დღემდე საპატიო ადგილი უჭირავს სათანადო  
კრებულებსა და ანტიკური ლიტერატურის ისტორიის კურ-  
სებში. ჰორაციუსის რუსული თარგმანები უპირატესად ორი-  
გინალის საზომებითაა შესრულებული. ჩვენთვის ხელმისა-  
წვდომ ენათავან რუსულ ენაზე შესრულებულ თარგმანებში  
ყველაზე უფრო მიახლოებითაა გადმოტანილი ჰორაციუსის  
ოდების ორიგინალის ფორმა და შინაარსი. ეს განპირობებუ-  
ლია რუსული მთარგმნელობითი საქმიანობის უაღრესად მაღა-  
ლი დონით და, რაც მთავარია, იმ ცნობილი ფაქტორით, რომ  
რუსული ლექსთწყობის ბუნებას თვეისი დინამიკური მახვი-  
ლით, მეტრიკული შესაძლებლობებით, ყველაზე მეტად ძა-  
ლუს ანტიკური კვანტიტატიური სალექსო ფორმების გად-  
მოცემა. მიუხედავად ამისა, ჰორაციუსის რუსულ თარ-  
გმანებში კითხვა, როგორც ცნობილია, მკითხველის სათანადო  
მომზადებას, მისი ყურადღების ორმაგად დაძაბვის მოითხოვს.

ქართულ ენაზე დღემდე თარგმნილი იყო მხოლოდ ჰორა-  
ციუსის ტრაქტატი „პოეტური ხელოვნებისათვის“ და ორიო-  
დე ლექსი („მელპომენესადმი“ ანუ „ძეგლი“ და „ლევენიე-  
სადმი“).<sup>1</sup> ამჟამად ქართველ მკითხველს თბილისის უნივერ-  
სიტეტის „ბერძნულ-ლათინური ბიბლიოთეკის“ სერია სთა-  
ვაზობს ჰორაციუსის „ოდების“ ორიგინალიდან შე-  
სრულებულ სრულ ქართულ თარგმანს, რომელიც ეკუ-  
თვნის ახალგაზრდა სპეციალისტს და მთარგმნელს მარინე  
იმნახეს. მთარგმნელისა და რედაქტორის უმთავრესი  
ამოცანა იყო, ორიგინალის ტექსტში ღრმად ჩაწერდომა, ძნე-  
ლად გასაგები ადგილებისათვის ჰორაციუსის ცნობილ მკვლე-

<sup>1</sup> იბ. აკაკი ურუბაძე, ბერძნულ-რომაული და ქართული მეტრი-  
კის საკითხები. თბილისი, 1980, გვ. 108—109.

ვართა და ტექსტოლოგთა (ზენგერის, ბოროვსკის და სხვათა) მიერ მოწოდებულ კონიექტურების გათვალისწინება და ლიტ- ბის, რაც შეიძლება, ადეკვატური გადმოცემა. სამანქურ სა- ლექსო საზომებს მარინე იმნა ძე მ პირობითი ქართუ- ლი სალექსო ფორმები შეურჩია. ამ შემთხვევაში მთარგმნე- ლისა და რედაქტორის თვალსაზრისები შეიძლება განსხვავე- ბული იყოს, მაგრამ მუშაობის პროცესში ორივე შეთანხმებუ- ლად ცდილობდა, რიგიანი ქართულით გამართული და ორიგი- ნალის შინაარსთან მაქსიმალურად მიახლოებული თარგმანი შესრულებულიყო. უაღრესი სიფრთხილეა დაცული საკუთარ სახელთა გადმოცემაში.

დართულ შენიშვნებში მკითხველის დასახმარებელი გან- მარტებებია წარმოდგენილი.

მთარგმნელიცა და მისი რედაქტორიც სრულიადაც არ ფიქრობენ, პორაციუსის „ოდების“ ეს თარგმანი დიდი რო- მელი პოეტის ქართულად ამეტყველების სრულყოფილი და უკანასკნელი ცდა იყოს, მაგრამ ეს კი შეუძლიათ განაცხადონ: ძნელზე ძნელი გზა მომავალ მთარგმნელთათვის უთუოდ ვა- კაფულია!

### ჰორაციუსის ოდათა სალექსო საზომები

კლასიკური ლათინური ანუ რომაული ლექსთწყობა, ძვე- ლი ბერძნული ლექსთწყობის მსგავსად, მეტრულ-ოდენობითი ანუ კვანტიტატიური ბუნებისაა<sup>1</sup>. ამ ლექსთწყობაში რიტმის საფუძველია გრძელი და მოკლე მარცვლების კანონზომიერი მონაცვლეობა. კლასიკური ლათინური ლექსთწყობა ძველი ბერძნული მეტრიკის უშუალო და ინტენსიური გავლენით ჩა- მოყალიბდა. კლასიკური პერიოდის რომაელი პოეტების ლი- რიკულ პოეზიაში დახვეწილი, რაფინირებული სახით დამ- კვიდრდა ძველი ბერძნული მწერლობის ელინურ და ელინის- ტურ პერიოდებში ჩამოყალიბებული კვანტიტატიური სალე- ქსო საზომები. ამ საზომთა შემცველ სალექსო კარედებსა და

<sup>1</sup> ინ. ფკა კი ურუ შაძე, ბერძნულ-რომაული და ქართული მეტრი- კის საკითხები. თბილისი, 1980, გვ. 93-114.

სტროფებს მათი შემქმნელი თუ დამამკვიდრებელი ბერძენი პოეტების სახელები შეერქვათ. ეს პოეტები უკვნენ: არქილოშე პაროსელი (ძვ. წ. VI ს. იამბოგრაფოსი და ულუგიშომი), პიმონაქტე ეფესელი (ძვ. წ. VI ს. იამბოგრაფოსი, ალექსანდრი და საფო (ძვ. წ. VI ს. მელიკოსები), არისტოფანე და ფერეკრატე (ძვ. წ. V ს. კომედიოგრაფოსები), გლიკონი და ასკლეპიადე (ელინისტური ხანის ლირიკოსები).

პორაციუსის თხზულებათა მეტრიკა მრავალფეროვანია, ოდებში ბერძნული პოეზიიდან მომდინარე ცამეტი ხანის მეტრული საზომია გამოყენებული. ყოველი ოდა ოთხ-ოთხ კარედიანი სტროფების შემცველია.

### გიგანტობრაფიული ცეობიგი

#### 1. ხელნაწერები.

პორაციუსის თხზულებათა შემცველი ხელნაწერები, რომელთა რიცხვი 250-ს აღწევს, ევროპის სხვადასხვა ქალაქებშია დაცული. დიდი ნაწილი საფრანგეთისა და გერმანიის ბიბლიოთეკებშია თავმოყრილი, ნაწილი — იტალიის, ინგლისის, შვეიცარიისა და სხვა ქვეყნების წიგნსაცავებში ინახება. არსებულ ხელნაწერთა უკელაშე უფრო აღიარებული კლასიციურაცია ეკუთვნით გრძმანელ მკელევარ-გამომცემლებს ო. კელერსა და ა. ჰოლდერს, რომლებმაც ეს ხელნაწერები სამ ჯგუფად დაჰყვეს.

უძველეს და უმნიშვნელოვანეს ხელნაწერად მიჩნეულია ბერნის (შვეიცარია) ხელნაწერი, ე. წ. Codex Bernensis IX საუკუნისა. ერაუდობენ, რომ იგი მომდინარეობს რომში 527 წელს კონსულად ნამყოფი ვარიუს აგორიუს მაზილის გავრცელების მავორიციების მიერ დადგენილი და იმდროინდელი ხაშუალებით გამოცემული ტაქსტიდან.

ასევე მნიშვნელოვანია გოთის (გდრ) ბიბლიოთეკაში (Bibliotheca regalis Gothana) დაცული XV საუკუნის ხელნაწერი Codex Gothanus. იგი გადაწყვდნელია 1566 წელს ხანძარში დაღუპული ერთი უძველესი ხელნაწერიდან — Codex Blandinius Vetustissimus, რომელიც თავის გამოცემას სა-  
44

ფუძვლად დაუდო ი. კრუკვიუს მა (ანტვერპენი, 1578 წ.).  
სხვა ხელნაწერთაგან აღსანიშნავია:

- Codex Parisinus, 7900, X,  
C. Paris, 7992, IX,  
C. Leidensis, 28, X,  
C. Vaticanus, 1703, IX-X,  
C. Reginensis (Oxoniensis), P. 2, X,  
C. Taurinensis I, VI, 2, X-XI,  
C. Bruxellensis, 9776-78, XI,  
C. Sangallensis oppidianus, 312, X.

04036340  
3034000000

### 2. გამოცემები.

პორტუგალის თხზულებათა პირველი გამოცემებიდან  
აღსანიშნავია:

- Ch. Landinus, Venedig, 1469, 1483.  
J: Cruquius, Antwerpen, 1578: Opera... ex rec.  
R. Bentley, Cambridge, 1711.  
(ყველაზე მნიშვნელოვანი, სრულყოფილი გამოცემა)  
ახალი კრიტიკული გამოცემები:  
Ed. Fr. Klinger, Lipsiae, 1959.  
Ed. Kiessling-Heinze-Burck, 1964 (Oden), 1961  
(Satiren), 1961 (Briefe).

### 3. თარგმანები

Квинт Гораций Флакк. Полное собрание сочинений. Перевод под ред. и с примеч. Ф. А. Петровского, Вступ. статья В. Я. Каплинского, М.-Л., Асакадемия, 1936.

Квинт Гораций Флакк. Оды; Эподы; Сатиры; Послания. Перевод с латинского. Редакция переводов, вступительная статья и комментарии М. Гаспарова, Москва 1970.

Quintus Horatius Flaccus, Werke. Herausgegeben von Reimar Müller. Reclam. Leipzig, 1968.

Horaz. Werke. Herausgegeben von Alfred Simeonoff und Weimar, 1972.

### 4. უმთავრესი ლიტერატურა

- К. Маркс, Ф. Энгельс, Об античности. Л., 1932.  
К. Маркс, Ф. Энгельс, Сочинения, т. XXIII.

Машкин Н. А., Принципат Августа. Москва-Ленинград, 1942.

К. П. Полонская, Римские поэты эпохи принципата Августа. М., 1963.

История римской литературы, т. I. М., 1959.

И. М. Троинский, История античной литературы. Москва, 1983.

Schanz M. Geschichte der römischen Literatur. B. II, 1. München, 1935.

Smiley Ch. N. Horace. His poetry and philosophy. N.-Y., 1945.

Wilkinson L. P. Horace and his lyric poetry, 2 nd ed.; 1951.

Noyes A., Portrait of Horace. L., 1947.

Fraenkel E., Horace, Oxf., 1957.

Perret I., Horace. P., 1960.

Commager S., The odes of Horace. New Haven - L., 1962.

Suetoni Tranquilli, quae supersunt omnia. De perditorum librorum reliquiae. BT. Lipsiae, 1886 (Vita Horati).

Հյայո Սրբածց.



୩୧୦



მეცნატა

ჩემთ მეცნატო, ტკბილო სამკაულო,  
ო, ბურჯო, მემკვიდრევ უძველეს მეფეთა!  
ოლიმპურ მინდორზე ავარდნილ მტვრისაგაშ  
იხარებს მავანი და მეტას დაუვლის,

5 თუ ოდეს ღვთიური პალმის რტო მოიმკო,  
ლმერთების სწორფერად აღმალლდა მოკვდავი;  
ვიეთთა ნეტარი სიამე მოიცავს,  
სამმაგი პატივთო ბრბო თუ განადიდებს!

10 ზოგი კი ნატრულობს პირსავსე ბეღლებში  
ლიბიის ყალოთა ხვავსა და ბარაქის;  
განძი ატალუსის რომ მისცე მუშაქაცს,  
არ დათმობს საკუთარ მამულში ხვნა-თესვას;

15 მხდალ მეზღვაურივით ის არ მიენდობა  
მირტოუმის ზღვას კვიპროსულ ხომალდით.  
დიდებულ ღიდვაჭარს ტალღების ტყლაშუნით  
შიშნაჭამს, ნატვრად აქვს ხმელეთის სავანე;

20 გადარჩება და კვლავ ხომალდს ანახლებს,  
რამეთუ ვერ ჰგუობს ლარიბულ ლუკმაპურს;  
ზოგი მასიკურით აღსავსე ფიალს  
ყველაფერს ანაცვალებს და ყოველ ცისმარე

ან გაშოტილია გაფოთლილ თალარში,  
ან წმინდა წყაროსთან ისეენებს განცხრომით.



ვიეთთა საბრძოლო ძახილი ახარებს,  
ბუქი და ნაღარა, გმირული კვეთება,


- 25 მავანი კი მწყაზარ მეუღლეს დააგდინა და მარტინი და მარტინი და მარტინი  
თუ სადმე ძალლებმა ირემი ააგდეს,  
ან ტახის ნაკვალევს დალანდავს ფშანებში.  
მე, სურომ სწავლულთა შუბლების წილხვედრმა,
- 30 უმაღლეს ღმერთების კრებულში გამრია,  
ცივს ჭალას ნიმფათ და სატირთა გუნდებთან  
ციურ ფერხისამ ბრბოს ჩამომაშორა,  
ოღონდ სალამური ევტერპემ მიბოძოს,
- 35 დე, პოლიპიმნიამ არ მითხრას უარი,  
დე, ლესბოსური ჩანგი მომაწოდოს;  
თუ შენც, მეცენატო, მგოსანთ მიმარიცხავ,  
მაშინ თავს აღერილს ვარსკვლავებს მივაწვდენ!

2

შამი პნევლი ბერი დობისა

უოველთა მამამ მიაგო ქვეყანას  
აურაცხელი სეტყვა და ქარბუქი,  
სისხლიან ხელით შემუსრა გოლოლი,  
დააფრთხო ხალხი.

- 5 და სასწაული ინიშნეს შემქრთალთა:  
ნუთუ კვლავ პირას დროება დაბრუნდა,  
ოდეს პროტევსმა იჩქითად არეკა  
ხვასტაგი მთაში.
- 10 და ჩვეულებრივ მტრედების საბუდარს,  
თელების წვეროებს, უწიეს თევზებმა,  
ველური თხები ფეხს ვეღარ უწვდენდნებ  
დალტობილ მიწას.



ერთობის  
განვითარება

მოკვდავთა ვიხილეთ ტიბერის დიდროა  
უკუქული ეტრუსკულ მხარიდან  
15 ვესტას ტაძრის და მეფის სრა-სასახლის  
წასალეკავად.

იუპიტერის თანხმობის თეინიერ  
შურისმგებელი უტკბეს ილიაზე  
ბევრსაც იქადდა და ნაპირს მარცხენას  
20 გადმოდიოდა.

ცოდვილ მამათა შვილებსაც ძმათა კვლის  
და შინაომების მახვილის ხმა ესმით,  
რომლითაც სპარსთა დახოცვა ეგების  
უპირველესად.

25 რომელმა ღმერთმა მოგვხედოს მოწყალედ,  
როცა სამეფო ესოდენ დაეცა,  
რაღას შესთხოვენ სპეტაკი ქალწულნი  
დიდებულ ვესტას?

30 იუპიტერიც ვის მისცემს დასტურს  
მოინანიოს ცოდვები თავისი?!  
გესავ, ღრუბლებით მოსილო აპოლონ,  
მოხვიდე შველად!

35 შენ, ერიკინავ, იქნება გვექმნე მწედ,  
ვის ხალისი და კუპიდო თავს დაგფრენს.  
მარსო, თუ ხედავ ეგზომად კირთებულ  
შთამომავლობას,

40 გამაძლარს ომით და ოლტაცებულს  
ბრძოლის ყიუინით, მსუბუქ მუზარადით,  
მარსელ ფეხოსნის დაჭრილი მეტოქის  
გამგმირავ მშერით.

მაიას ძეო, იქნებ შენ მოგვხედო;  
ოდეს მიწაზე მოყმედ გიხილეს,

ხალხმა კეისრისთვის შურისმაძიებლად  
მიგილო უმალ.

- 45 ნუ ეშურები მიქცევას ზეცისკენ,  
რომაელთ შორის იცხოვრე განცხრომათ  
მხოლოდ კი ქარმა ცოდვათა განკითხვის  
არ გავიტაცოს.
- 50 კეისარს მოგაგებთ ტრიუმფებს უდიდესს,  
ჩვენს უპირველესს მამას და დიდებულს,  
არ შეგვაჭამო, პატრონო, ოლონდაც  
მიღილთ ჯავრი!

3

### გ ა ც ი ლ ე ბ ა

გფარვიდეს კვიპროსის ლვთაება,  
კაშკაშა ვარსკვლავნი — ძმები ელენესი,  
დე, ზურგისქარი გაახლოს,  
სხვები კი დაახშოს ქარების გამრიგემ.

- 5 შენ გევედრები, ხომალდო,  
ატიკის სამანებს უვნებლად უწიო  
ვერგილიუსი და ესრეთ  
დაიხსნა ნაწილი ჩემი სულისა.

ჯავშნად სამმაგი სპილენძი,  
ან მუხა თუ ჰქონდა იმ გულადს, რომელმაც  
კარჭაპის იმედით შეპბედა  
მძეონ არ ზღვას და აფრიკულ ქარაშოტს;  
  
არცა სე კანა პიადთა,  
ცალ გამოჩენას შეუკრთა, — და ამბორეთულის  
აძოჭრას:



- 15 ხან მონანავეს სიოსებრ,  
ხან კიდევ უშმაგეს ჭარიშხლად მქროლვარეს.
- 16 არ შეუშინდა სიკვდილს, ვინც  
მცურავი ურჩხული პირველად მხრით,  
ნახა მძვინვარე ტალღა ზღვის  
აკროკერავნიის კლდეები საშიში!
- 17 რაღად გამიჯნეს ღმერთებმა  
წყალი და ხმელეთი, თუ მოდგმა მოკვდავთა  
აკრძალულ სამანთ გადალახავს!  
უწმინდურ კარჭაპით და გამბედაობით!
- 20 25 ძეხორციელთა ჯილაგი  
ჯიქურად სურვილობს იგემოს ყოველი,  
უკანონობას აკრძალულს  
უფრორე უმეტეს ხალისით მიელტვის.
- 28 30 ესრეთ ხელთ იგდო პრომეთემ  
ცეცხლი და კაცთა ნაშიერთ წარუხვნა.  
წუთისოფელი გამრუდდა  
უმალ და სიკვდილიც აჩქარდა ქვიყანას.
- 35 გარნა ვინ მისცა საფრენად  
მოკვდავთა ფრთები, რომ ცად იწევ დედალუს?  
ვით ხელეწიფა ჰერკულესს  
ეგზომი შრომა და აქერონტს მიწვდენა!
- 40 რაღაა ძნელი კაცთათვის,  
უკეთუ უმეტად ზეცისკენ მივიღოთ.  
იუპიტერსაც მრისხანეს  
ცლვათა მტყორცნელს თუ არაფრად დაგიდევთ.



შაში განახლებისა

პირვენები

გალღვა ყინული ზამთრის და გაზაფხულის ზეფირი  
ნანაობს,

მანქანა ზღვაში აცურებს ხომალდებს.  
რაღას დაგიდევთ უკვე პირუტყვი სადგომს,  
ცეცხლისპირს — მეგუთნე,  
თუ რთვილით აღარ ირთვება მინდორი.

5 მთვარიან ღამეს სხივებს ნათლისას მოსდევს ვენუსის  
მარაქა,  
გრაციათა და ნიმფათა კრებული,  
და ფერხისაის არ უჩნს სამანი, ოდეს კიკლოპთ  
სამჭედურში  
ალს გააჩალებს ცხელი ვულკანუსი.

ახლა კიდევაც შეგფერთ მშვენიერ თმებში ჩაბნევა  
ტვიათა,

10 ან შევბულ მიწის ნაბორებ ყვავილთა,  
შეგფერთ ჩრდილიან ალაგს ფავნუსს გულუხვად  
მიაგოთ ზვარაჟი,  
მისი სანდომი კრავი ან თიკანი.

სიკვდილის ფერხთა ჩქამი სწორფერ ეზრახვის მეცეთა  
დარბაზებს,

15 და ქოხს ღარიბის, ნეტარო სესტუსო,  
ჩვენი ხანმოკლე უამი უწყალოდ გვიკვეცს იმედის  
სამანებს,  
მოგელის უკვე პლუტონის სადგომი,

მარადის მრუმე ღამე, განსრულდე საცა ზენათა  
სურვილით,  
შემდგომად ვერღა წარუძღვე ნაღიმთა,

ერ მოიხიბლო მეტად, შენ უმრწველესთა ეგზომ  
20 ნაზი ლიკიდის მშვენიერებით.

სასურველის

5

ეროვნული  
პირული მუნიციპალიტეტი

### პირას

მღვიმესა საამურს, ვარდნარში გატვრინულს  
ვინ გეალერსება სუნამონაპქური,  
პირავ, და ვისთვის იდგამ  
ქერა დალალების გვირგვინს?

5 აცდუნე ალბათ და დაგხარბდა ოქროსდარს,  
არმცოდნე შენეულ თვალთმაქცურ ხვანჭების,  
ფუძი იმედი ჰქონდა,  
ერთგული ეგონე მუდამ.


10 და მერმე მრავალგზის გამოიტირებს  
ერთგულებისა და ღმერთების ცვლილებებს,  
და გაოცებით განჭვრეტს  
შენეულ ვნებათა ლელვას!

15 მე გადავურჩი უდიდეს ქარიშხალს,  
წმინდა კედლებზე კი, გვამცნობენ დაფები,  
რომ აღთქმისამებრ ზღვის ღმერთს  
სამოსი მივუძლვენ სველი.

6

### აგრიპასადმი

აგრიპავ, შენეულ საგმირო საქმეთა  
აღწერს ვარიუსი მეონურ სიმღერით,  
ხოტბას შეასხამს ზღვასა და ხმელეთზე  
იმ სპარაზენთა ბრძოლებს,

- 5 თავად რომ უძლოდი წინ ძლევამოსილი.  
ვერ შევძლებ ვუმღერო მეც დიად საქმეებს:  
ვერ ვიტყვი პელიდეს უმძიმეს რისხუნება  
ილბალზე პელოპსის სახლის; 
- ვერ აღვწერ ზღვაზე ულიქსეს ხეტიალს.  
10 მფარველმა მუზამ და რიდმა ამიკრძალეს  
მე დაქნინება შენი და კეისრის  
საგმირო საქმეთა დიდთა!
- ლირსად მარსს ვინ აღწერს, თვით რვალზე უმტკიცესს,  
ანდა მერიონეს, ტროას მტკრით დამტკერულს;  
15 რომელმან შებედოს პალასის ხელდებით  
ლვთისდარ ტიდიდეს ბრძოლებს?
- მიყვარს თუ არ მიყვარს ვინმე, მაინც ძალმიძს,  
ვუმღერო ლხინსა და ფრჩხილდაქნილ ასულთა  
ყმაწვილყაცებთან უსაფრთხო შერკინებას,  
20 ჩემეულ ჩევევათა დაცვით!

7

პლ ა ნ კ უ ს ს

- ქებათა ქებას უმღერენ მიტილენეს და როდოსს  
მავანნი,  
ანდა ეფესოს, კორინთოს კედელთა  
ორი მხრით ზღვა რომ რეცხავს, ან დელფის, ან თებეს  
განთქმულს ბაზუსით,  
ანდა თესალიის ტემპეს დაბლობთა.
- 5 მიწყივ შეასხამს ხოტბას მარად უბიშო პალასის  
ქალაქს,  
ზოგი, რომელსაც ესოდენ ათნევს,  
მრავლად შეიმკოს შუბლი ზეთისხილის რტოს  
გვირგვინთა წყებით:  
სხვანი იუნოს უგებენ პატივს და

ცხენკეთილ არგოსს, ანდა მიკენს უმდიღრესს ეტყვიან  
ებას.

- 10 ისე არ მომწონს ლაკედემონია,  
არცა მიწები ეგზომ ნოყიერი ლარისას შეათვალისება  
როგორც ალბუნეას მშფოთვარუ მიტამზ;

15 ანიოს სწრაფი ჩქერი, მშვენი ფშანები, ან ტიბურნუსის  
წყლით დანამული მდიდარი ბალები.  
ვითარც ნოტუსი თეთრი, ღრუბლების ფთილებს  
გადაწმენდს ციდან  
და გადაივლის ისხარი კამარას,


ესრეთ პლანკუსო, ბრძენო, გადაივიწყე მძიმე ნალველი,  
თუნდაც საომარი ბრწყინვალე დროშები  
გიხმობდეს, ანდა ხშირი ჩრდილი ტიბურის პირთა —  
წუხილი

20 შენ გაიქარწყლე ლეინის სასმისით.  
როს გამოექცა გამას სალამინიდან — უბნობენ,  
ესრეთ

ტევკრმა ზედაშით დაალტო გვირგვინი  
უნორჩეს ალვის რტოთა და საფეხქლები შეიმკო იმით,  
თანამდგომთა კი მიმართა ასე:

25 „მოყვასნო, ჩემნო, ბედი, ლვიძლ მამაზე უფრო  
შემწყალა;  
საცა წაგვიყვანს, მორჩილად წავყვებით;  
იმედი გქონდეთ თქვენ, ტევკრის — მისნის და თქვენი<sup>თავკაცის,</sup>  
ჩვენ აპოლონი გვპირდება, უწყოდეთ:

30 თი, ძლიერნო, გამრნო, ჩვენ სხვა სალამინს ვიზილავთ  
ერთად შოვკვიცოთ საწუთროს ვაება  
ლვინის თასებით; ახლა თავი წავართვათ უმძიმეს  
დარღებს,  
ხვალ კი ისევე მივიქცეთ ზღვისკენ“.



ლვთის გულისათვის, მარქვი

რად გსურს, სიბარისს ტროიკუბაში აღმოჩდეს  
ცული?

## ერთ დროს ნაწილობი ხვატში

რად ველარ იტანს დასანახავად მზიან მინდორთა?

- 5 რისთვის განუდგა მოყვასთ,  
რად არ კაზმავს ცხენს მგლისქბილებიან  
საყბეურებით?

რად უფრთხის ყვითელ ტიბერს?  
გესლის უფროორე რად ერიდება ზეითუნის ზეისა?

10 რად არ უშვენებს ხელებს  
წყლული უძმიმეს აღჭურვილობის ხმარებისაგან,  
წარსულში განთქმულს იმით,  
რომ ხან ბადროს და ხან შუბს ისროდა მიჯნის  
უშორეს?

15 რად იმალება ისე,  
ვითარც იმბობენ ძე თეტისისა იმალებოდა,  
ტროას დალუპვის უამაღ,  
რომ მამაკაცურ კვართს საომრად არ მიექცია.

## გადაპენტილა სორაკტეს მწვერვალი

და გაჭირვებით უძლებენ ტყეები

## ხვავრიელ ნათოვს, წყაროს ტანი კი

შეუბოჭავს გასიპულ ყინულს.



5      თოში გაალდე კეთილო თალიარხევ,  
      კერაზე მრავლად დაყარე ფიჩხი,  
      ჩამოასხი საბინური  
      სუფთა ზეღაშე სოველი დოქითა გრძელება

10     სხვა ყოველივე მიანდე ღმერთებს,  
      ომელთა ისე მოთოკეს ქარები,  
      რომ კიბარისი აღარ ღელავს  
      და აღარც ძველი თელა ჭრიალებს.

15     ნულარ ეძიებ: „ხვალე რა იქნება,“  
      დაემორჩილე განგებას ბედისას,  
      ნუ განუდგები სასიამო  
      სიყვარულს მეტრფის, ჭაბუკო ჩემო!

20     ვიდრე მხნეობა გვაშორებს ჭალარას,  
      საასპარეზო დროულად მოძებნე,  
      მოიძე დაფნა, შენი ჭუფთი,  
      შენი სწორფერი იპოვე სატრფო.


იგემე მეტრფის ჩურჩული ლამეში,  
მიმალულ გოგოს უტკბესი კისკისი,  
შენაც წარსტაცე საწინდარი  
ჩამოთლილ თითებს სასურველისას.

10


### ჰიანი მერკურიუსს

ატლასის მოდგმავ, ენამზე მერკურიუსო!  
რომელმაც კაცთა ველური ჩვევები  
გარდაქმენ ნატიფ ხელოვანებად,  
მუსიკის ჟღერად!

5      ღმერთთა შიკრიკო, გიგალობ აზმანთა,  
      ტკბილხმოვან ქნარის შემოქმედს გიგალობ,



შენი სიანცით — რაც კი რამ მოგწონდა  
რომ გადამალე.



## ურარცხოება

ერთხელ ბალლმა რომ ხარები წაჰვევირუ,  
10 დასაშინებლად დიღხანს მრისხანებდე  
აპოლონ და როს ვერც კაპარჭი იპოვა,  
იცინა მერმე.

როს შემწედ იყავ, სვიანი პრიამუს  
ზეიად ატრიდთა ჩაზმთა დაუძვრა,  
15 მალვით გაეცალა ტრიას მტერთ ბანაკებს,  
ცეცხლს თესალიურს.

უმალლეს ღმერთთაგან უყვარხარ ყველას,  
ლხინით განუტევე ჰადესში სულთა,  
განაგე მპყრობელმან ხელთ ოქროს კვერთხის  
20 გარდაცვლილთ აჩრდილნი.

11

## ლ ე ვ ა მ ნ მ ი ს

შენ ნუ ეძიებ, ო, ლევკონოე, მქრეხელობაა ცოდნა,  
ნუ სცდი განსჭერიტო ცხოვრების ბოლო, დაჲყევ  
ზეციურ ნებას;  
ამაოდ ჩხრეკავ იდუმალებას ბაბილონური რიცხვის,  
იქნება მრავალ ზამთარს მოვესწროთ, უამმა გვიწია  
იქნებ.

5 შეაცრი ზამთარით 6 ტარება ტირენის  
ტალღა,  
შეკა იხსარე, თასი 7 ცემა ცემა ლვინით;  
ფრთები მოკვეთი 8 უკა მედა, წამიერია ყოფა;  
იხელთე 9 უამი, კს 10 შეირგვ, მცირედ იწამე ხვალის.



ღ 0 რ ს 6 0 ჭ მ ბ ა თ ა

უბირველესად ვის ვუძღვნათ ქება,  
რომელ ღმერთს აღვუვლენ ფლეიტით ხოტას,  
ვის სახელს გასძახებს ქილიკით ექო,  
გამანდე, კლიოვ,

5 ჰელიკონის ჩრდილოვან ფერდობებს?  
პინდუსს თუ ჰემუსს — სით ხეთა მწყრივნი  
მიაცილებდნენ ორფევსის უტკბილეს  
გალობის ხმათა?

10 და ქართა ქროლა იჩქითად დგებოდა,  
ცხრებოდა წყალთა ჩქერალის ხმაური,  
მღერას ჰყებოდა გალურსულ მუხნარის  
ჩუმი შრიალი.

15 რას ვიტყვი მშობლის ქებაზე უადრეს,  
ვინ წონის ხვედრთა ღმერთთა და მოკვდავთა,  
ფერისცვალებას ზღვათა და ხმელთთა  
დროის ტრიალში.

20 რომელთა ზედა არც როდის იშვება  
იუპიტერზე აღმატებული,  
ომშიც მარტოდენ პალადამ მოიმქო  
მსგავსი პატივი.

შემდგომად დავვარდე ლიბერის მეხოტბედ,  
გიმლერ ნადირთა დამთრგუნველ ქალწულს  
და შენ ისართა უბადლო ტყორცნით  
საშიშო, ფებუს!

25 ვუმღერ ალკიდეს და ლედას ვაუგაცებს,  
ამას მხედრობით, იმას კრივით განთქმულს,



რომელთა ვარსკვლავი ოდეს მეზღვაურთა  
გზას გაანათებს,

ეროვნული

30 მაშინ დაიწრეტს ნაპირი დიდროს,  
გადაიყარებს ცარგვალი საავდროს,  
თუ მოისურვეს, კვლავ მიიქცევა  
მღელვარე ტალღა.

35 ვინ გვიხსენო შემდგომად: რომულუს,  
თუ პომპილიუსის მეფობის აბბავი,  
ტარკვინიუსის კონსულობა, ანდა  
კატონის ბოლო.

40 მოწყალედ მექმენთ, მუზანო, მივაგო  
რეგულუსს, პავლუსს და სკავრუსთ დიდება,  
კართაგენელთა მზეაობარ სპათა რომ  
შეაკლეს თავი.


ფაბრიციუსს და კურიუს გაბურძგვნილს,  
ქება — ქებათა, უპოვარ კამილუსს,  
კვლავ ჯარისკაცად ფუძის ანგელოსმა  
რომ მოაქცია.

45 დიდ მარცელუსის სახელი ჟამთა სვლით  
ვით ნედლი ნერგი მძლავრობს და ფესვს იდგამს.  
შენი ვარსკვლავი მთვარისებრ ციაგობს  
იულიუსო!

50 მოკვდავთა მოდგმის მამავ და განმკითხო  
დიდი კეისრის შემწევ და დამცველო, —  
მეფობ ყოველთა; მეორედ კეისრის  
ვიტყვი მეფობას!

55 ის ან მოასხამს ტრიუმფით ლაციუმს  
შემართულ პართელთა, ან ინდოელთა,  
აგრეთვე სერთა — მზის ამოსავლეთის  
ქვეყნების მკვიდრთა.

მაგრამ ვინ მართოს შენებრ ეს სამეფო?  
შენ მძიმე ეტლით აძრწუნდ ოლიმპოს,  
კადნიერ ტყეთა მიაგებ საკალრის ურაზებული  
60 ცეცხლოვან ელვას.



13

ლ 0 დ 0 ა ს

ოდეს შენ აქებ, ლიდიავ,  
ტელეფუსს, მის რძისებრ მკლავს, კისერს  
ვაი, რომ ცხელი ღვიძლი  
მევსება ღვარძლით და სივდება ნაღველით.

5 ფერმიხდილს გონი მერევა,  
მალული ცრემლები მესკვნება ღაწვებზე,  
ჩემი ვაების მოწამე,  
იმ ტანჯვის, ნელ ცეცხლზე წამებას რომ მოაქვს.

10 და ვხედავ: ვითარ ბილწავენ  
შენს ნატიფ სხეულს უსაზმოდ ნასმურნი,  
ან ტელეფუსი ვით შმაგობს  
და ტუჩზე სახსოვრად გიტოვებს ნაკბილარს.

15 ცოდვილო, ნუ ვაქვს იმერი,  
რომ სიტებო ბაგეთა შეგრჩება მარადის,  
თუმცალა გწყალობს ვენუსი,  
თავისი ნექტარის ვარგუნა ნაწილი.

20 ბეღნიერია სამმაგად,  
მეტადრეც, ვინც მტკიცე კავშირით შეერთდა,  
რომელთა სიყვარულს სიკვდიმდე  
ვერაფერს დააკლებს უაზრო ვაბუტვა.



## გ ა ფ რ თ ხ ი ლ ე ბ ა

მ ა რ ვ ე ბ ი ს ა რ ვ ე ბ ი

ს ი დ ე ბ ი ს ი დ ე ბ ი

ახალი მოქცევა ზღვად წარგიტაცებს;  
ლუზა ნავსადგურში ჩაუშვი ხომალუს  
რას იქმ? სიფრთხილე გმართებს,  
ხომ ხედავ დაგცვივდა ხოფნი.

5 ან როგორ გაუძლებს აფრიკულ ქარიშხალს  
საწყლად მოვრიალე დახრილი ქანდარა,  
ზენა ქარების ქროლვით  
შუა გაბზარული ანბა.

10 აქა-იქ ფრიალებს აფრის ნაგლეჯები,  
ლვთაებათ ქანდაკი ალარ ჩანს არსაით,  
კირში უხმობდი ვისაც,  
ლოცვით გამოსთხოვდი შველას.

15 თუმცა ხარ ნაგები პონტოურ ფიჭვისგან,  
თუმცა ხარ ასული ტყის სახელოვანის,  
კიჩომოხატულს ვერ გნდობს  
მხდალი მეზღვაური შენი.

20 თუ წინათ ნალველის მიზეზი იყავი,  
ვერც ეხლა გალვა შენ ჩემი ფიქრები:  
ო, განარიდე ზღვაში  
ეგ ჰეინტი კიდლადებს მბრწყინავს!

## პ ა რ ი ს ი ს ბ ი დ ი ს ა რ ი ს

იღეს ჭარატაცა მწყებარი ელუნე,  
მწყემსმა პუხნათძა ტროცული ხომალდით,  
ნერევსმა ქარები მოთოვა და მერმე  
გას მწირე უმისხა ბერი:

5      დიაცი შენს სახლში ცუდ ფეხზე შემოვა,  
და ფიცით შეკრული მხედრობა ბერძენთა  
შემუსრავს აებედით ქორწილს, პრიამუსის  
უძველეს სამეფო მამულს.

10     და გაიხვითქება რაშიც და ვაჟკაციც,  
ტროაში მოკლულთა დადგება გორები;  
პალასი მრისხანებს და უკვე ამზადებს  
მუზარადს, ფარს, ეტლს და რისხვას.

15     ვეღარ დაგიფარავს ვენუსის წყალობა,  
ამაოდ ივარცხნი მშვენიერ კულულებს,  
ამაოდ, კითარით უტკბილეს სიმღერებს  
უმღერებ დიაცთა მხიბლავთ!

20     უმჩიმეს ჰოროლთა და კნოსურ ისართა,  
მადევარ აიაქსს ვითარ გაექცევი?  
თავს ვერ შეაფარებ დელათა ოთახში,  
ვეღარ გაექცევი სიკვდილს!

25     ვერ უჭვრეტ მოქცეულს შენსკენ ძეს ლაერტის,  
უბადლო მეომარ სთენელუსს, ან კიდევ  
ტევკრ სალამინელს და ნესტორ პილოსელს,  
შემმუსვრელთ მამულთა შენთა?

30     ვერ უჭვრეტ ტიდიდე რაც უფრო მეტს გეძებს,  
უფრორე შმაგდება?! აპა, მერიონეც!  
რომელ ერთს გაექცა, შენ სუნთქვაშეკრული  
ხვედრს შენსას განუდგე საით?!

35     თავზარდაცემული ვით დაიმალები?!  
დამფრთხალი ირემი მგლის სუნს რომ დაიკრავს,  
არარად დაგიდევთ ნოყიერ ბალახთა;  
ეს ალთქმა დაუდე რჩეულს?

რისხვა აქილევსის ოდნავ გადაუდებს  
შემუსვრას ილიონს, დალუპვას დიაცებს;



35

ორიოდ ზამთარი გავა და პერგამუმს  
შთანთქავს აქაველთა ცეცხლი!

16

### მონაცემება

ლამაზი დედის მწყაზარო ქალწულო,  
მარქვი ცოდვათა რა ბოლო დაუუდო —  
მრისხანებისას დაცდენილ იამბთა —  
ზღვის წიაღს თუ ცეცხლს მივცი უსწრაფესს?

5

ვერცა დინდიმენი, ვერც პითოს მკვიდრი,  
ვერცა ლიბერი ვერ შესძრავს ქურუმთ ვონს,  
ვერც კორიბანტები ვერ ატეხენ  
ხმაურს სპილენძის დაფდაფთა ცემით;

10

ისე ვით იქმს ამას მზარავი რისხვა,  
რაიც არ უკრთის არც მახვილს ნორიკულს,  
არც ცეცხლს, არცა ზღვას, არც იუპიტერს  
გალლით მჭუხარეს, გრგვინვით მეხდამცემს.

15

როს პრომეთევსმა იმ პირველ ტალახში,  
ტანის სხვადასხვა ნაწილი შეზილა,  
გაშინ ჩვენს ფაშეში, ასე ითქმის,  
რისხვაც ჩაგვიდო მძვინვარე ლომის.

20

რისხვამ არგუნა ხვედრი უმძიმესი  
თიესტეს; რისხვამ იღვავა ქალაქნი,  
ნაციხარსა და ნამოსახლარს  
სახნავ-სათესად მიადგა მტერი.

მოთოკე ვნება! რამეთუ რისხვამ  
ერთიან შემძრა უტებილეს სიყრმეში;  
მიტომც შევცოდე, ცოფიანი  
წამოვისროლე იამბი მრავლად.

25 აშ სინანულის დამიღვა დღეები,  
ვცოდვილობ, წყენა სიტყბოთი შეცცვალო,  
ოლონდაც მეტრფე სასურველი, მომძღვრენ შენი განვითარები  
ოლონდაც სული მომძღვრენ შენი განვითარები

17

### ტ ი ნ დ ა რ ი ს ს

მალი ფავნუსი მრავალგზის ინაცვლებს  
ლიკეუსს და მიესწრაფის ლუკრეტილს,  
რომ განარიღოს ზაფხულის ხვატა  
და ქარბორბალის ფარა თხებისა.

5 დედალი თხები გაშლილან ჭალებში  
დაკუნტრუშობენ უშიშრად, ეძებენ  
ხემარწყვასა და ურცვის რტოებს  
და არ უფრთხიან მწვანე გველებსაც.

10 ორცა მგლის შიშით დაფრთხება თიკანი,  
ო, ტინდარუსო, ჩამეთუ ველებსა  
და უსტიკას ციცაბო ჭიუხს  
ტკბილად ედება ხმა სალამურის.

15 მწყალობენ ლმერთნი: კრძალვა და ვედრება  
და მუზა ჩემი გულით შეიწყნარეს.  
თავს დაგეყრება სიუხვის რქით  
ვრცელი მინდვრების უხვი დოვლათი.

20 აქ დაემალვი უდიდეს სიცხეთა,  
განმარტოვდები ტეოსურ ჩანგით და  
ერთ კაცზე ფიქრით ტანჯულთ  
უმღერებ კირკეს და პენელოპეს.

აქ ჩრდილქვეშ შესვამ უწყინარ ლესბოსურს,  
მარსი არ იდავებს სემელეს ძესთან,

არც შენ შეკრთები ეჭვებისაგან,  
რომ ხეანჯს დაგიდებს შმაგი კირუსი,

ერმოვლები

რომ შეგეხება უწმინდურ ხელებით,  
რათა თავს მოგხადოს წნული გვირგვინ  
და მერმე სხეულს მოგაცილოს  
შენი უმანქო შესამოსელი.

18

### პ პ ი ნ ტ ი ლ ი უ ს პ ა რ ი უ ს ს


უწინარესად ნერგთა ყოველთა ვაზი ჩაყარე,  
ტიბურზე ანუ კატილუსის კედელთა გარშემო,  
რაღვან ღმერთებმა ფხიზლებს გვარგუნეს ეგზომი  
კირთება,  
თუ არა ღვინით, ჭით გავუჩელავდეთ დარღებს და  
ტკივილებს?

5 შეზარხოშებულს ვის მოაგონდა საწუთროს ვაება,  
ანდა, უტებესად რომელმან გითხრა აზმანი, ბაჟუსო,  
ან შენ ვენუსო? მაგრამ სმის ზომის ნურვინ გადავა.  
დაწაფებულნი შუმ ღვინის სასმური უსაზისი  
გამოთვრინენ

10 და დაერივნენ კენტავრები და ლაპითნი ერთურთს.  
მარადეამს მოაგონებს სითონელთ მსაჯული მყაცრი,  
რომ ხარბი კაცი არად დაგიდევთ აკრძალვის საზღვრებს.  
შენს უნებლიერ ლია ცისქვეშეთს არსით გვვიტან

ბალანით დაფარულ შენს წმინდა ნივთებს,  
ბასარეუსო;

15 აღქვეთე დაფი ზარლარცემი, რქა ბერეკინტიის,  
მათ ხმას მოპყვება თავმოთნეობა და ფუჭი დიდება  
და საიდუმლო მინაზე უფრო ნათელი ხდება.



მძვინვარე დედა ტრფობისა — პირული მომართება  
ვენუსი და ნეტარი თავისუფლება  
და სემელეს ძე ლირს მყოფენ,  
სული კვლავ დავუნთო ტრფობას მივიწყებულს.

5 პაროსის მარმარილოზე  
უფრო მეტად ბრწყინავს გლიკერა ჩემი;  
ურცხვობა და მშვენება მისი  
დაუნდობლად მწევენ ნეტარების ყალბით.


10 თავს მძღე დამესხა ვენუსი,  
დატოვა კვიპროსი; სკვითთა და ომს შიგან  
მძღე მხედართა პართელთა გამო  
სიმღერა ვერ მითქვამს მისგან შერისხულს.

15 აშა, მოიტათ მოყმენო,  
ცოცხალი რტოები და კათხით ზედაშე;  
უწვად უკმევდეთ საკმელსა,  
იქნება დაცხრეს და მშვიდად მობრძანდეს!

დავალევინებ, ჩემო მეცენატო,  
იაფ საბინურს ზომიერ თასებით,  
საკუთარ ხელით დაგოზილ ჭურჭელში  
რომ გადავმალე,

5 თფეს თუატრში ტაშის კვრით თაყვანგცეს  
და დაგიბრუნა ხუმარა ექომ შენ  
ვატიკანუსით, მშობლიურ ტიბერით  
ქვებანი ესე.

10 შენ სვი ცეკუბური და ქალენურ ვენახის  
ცვარი კობულოთი დაწურულ მტევანთა;  
მე ფალერნული, ანდა ფორმიული  
არ მივსებს თასებს.



ურარცხული  
პირდებირთული

21

ჰიმი

დიანას ქება ვთქვათ, მოდექით, ქალწულნო,  
მოყმენო, გრძელმიანს ვუმდეროთ კინთიელს,  
ზელმერთის მეუღლეს  
ლატონას — დიდება!

5 ტყეს ერიმანთუსის, კრაგუსს და ალგიდუსს  
დიანას მდინარით და მწვანით რომ ატკბობს,  
მივაგოთ პატივი  
ღირსი ქება — ქებათა!

10 განთქმულს კაპარჭით და ძმისეულ საკრავით —  
აპოლონს, ტემპეს ველს და დელოსს მშობლიურს,  
მამაცნო, თაყვან ვცეო,  
ვუძღვნათ ქება — ქებათა!

15 თავიდან ააცდენს ხალხსა და კეისარს,  
ის ლოცვა-ვედრებით ომსა და ჭირ-შიმშილს,  
რომელთაც წარუგვრის  
სპარსებს და ბრიტანებს.

22

არისტიუსს ფუსტუსს

ფუსკუსო, ზნეკეთილ, უმწიკვლო ალალ კაცს  
არცა შეჰქერის მავრული ხელშუბით,  
ანდა ისრებით გავსილი კაპარჭით  
რომ ალიჭურვოს,



- 5 თუნდ ცხელ სირტებზეც ედოა გზა სავალი,  
ან კავკასიას მოძულეს სტუმრობის  
უწიოს, თუნდაც პიდასპით დალტობილს  
მიადგეს ალაგს.
- 10 ერთხელ, როდესაც საბინურ ღრმა ტყეში  
უიარალოს ამებნა გზა-კვალი,  
მგლი დავაფრთხე, რამეთუ ლალაგეს  
ტკბილად ვუმღერდი.
- 15 ვერსად იხილოთ მსგავსი ურჩხული,  
ვერცა დავნიის დაბურულ მუხნარში  
და ვერც იუბას ლომებით განთქმულ  
ბერწ მამულებში.
- 20 გინდა მქნა დამჭერარ უდაბურ მინდორზე,  
სად გაზაფხულზე ხეც კი არ შრიალებს,  
ან იუპიტერი სადაც მრისხანებს  
ნისლთა წამგვრელი.
- გინდა მქნა მზესთან ახლო მყოფ ეტლის ქვეშ,  
გინდა მქნა ტრიალ უსახლო ალაგზე,  
მაინც კისკისა ლალაგე მიყვარდეს,  
ტკბილმოუბარი.

23

### ქ ლ ო მ ს

ო, ქლოე, გამირბი, ვით ნუქრი ირემის,  
რომელიც ფურირემს ჭიუხში დაეძებს,  
და შიშნეული უფრთხის  
ტყეში მოჩურჩულე სიოს.

- 5 ა აცანცახებულს მუხლი ეკვეთება,  
თუკი გაზაფხულმა კვირტი შეატყა,



ან მწვანე ხელიერი ცქაფად  
შევარდა მაყვალის ბუჩქში.

დამიღეს, არ გალტვი ლომ-ვეფხისებურთ  
10 მწადს მხოლოდ დელის კვალს დროულად დაეხსნა,  
ნდომით გავსილხარ ქმრისთვის,  
მწიფობის დაგიდგა ხანი.

24

ვერგილიუს პვინტილიუს ვარუსის  
გარდაცვალების გამო

განა საზღვარი დაედება ამ მწუხარებას?!  
ის აღარ არის, დიდმა გლოვამ მოგვიცვა ყველა,  
მწუხარე მღერა ააყოლე კითარის კვნესას  
და მეც მასწავლე, ო, მელპომენე!

5 პვინტილიუსი საუკუნო შეიძყრო ძილმა,  
პატიოსნებას, სიბრძნესა და უზაყველობას,  
და სამართალის პირუთვნელ და მყარ ერთგულებას  
მსგავსის მონახვა გაუჭირდება.

10 ის მიიცვალა მოყვასთაგან ცრემლების ღირსი,  
ყველაზედ მეტად ვერგილიუს, შენ გმართებს გლოვა,  
- მაგრამ, ვაი, რომ ამაო შენი ვედრება,  
ის არასოდეს არ დაბრუნდება.

15 საზარელ კვერთხით წაიყვანა მერკურიუსმა  
დაუბრუნდება განა სისხლი ცარიელ აჩრდილს,  
თუნდაც ორფევსზე უფრო ნაზალ ჩამოჰკრა სიმებს,  
ხეებს ჰანგებით დაუტკბო სმენა.

ხვეწნა-მუდარით ვინ აღუდგა ღმერთების ნებას,  
ბედის განაჩენს; ვინ შესცვალა ხველრი თავისი;

როს გასწორებაც არ ხერხდება მოკვდავთა ხელით,  
მოთმინებითა შემსუბუქდების.

## ურმიანული ლიდიაზე მისამართი

ვეღარა ვხედავ ძველებრ ურცხვ აშიყთა,  
დახშულ დარაბებს ხმაურით გიმტვრევლნენ,  
გეზრახებიან უფრორე ნაკლებად:  
„გძინავს ლიდიავ?

5 თვინიერ შენდა ვპვეც თეთრად ლამეთა.“  
ბჭეც განუყრელი შეიქმნა ზღურბლისგან,  
უწინ მრავალგზის ჭრიალით გახსნილი,  
დღეს ძილს არ გიფრთხობს.

10 დრო მოვა ზაკვას კადნიერ სატრფოთა  
გამოიტირებ ყველასგან მალულად.  
ახალ მთვარეზე, როს ჩრდილოეთიდან  
დაბერავს ქარი.

15 ოდეს დადგება უამი ენებაოლელვის,  
ჭაქს რომ აცოფებს და თავს ააწყვეტინებს,  
ნალველს აგიდულებს, ვნება ატეხილი  
წუწუნს მოპყვები,

20 რომ უმრწეშესნი გალალდნენ უალრეს,  
მწვანე სუროთი და ტვიით მოსილნი  
დაუნანებლად ქარაშოტს ატანენ  
ჩამომჭერაზ ფოთლებს.

## ელიუს ლამიას

მძვინვარე ქარებს მუზათა რჩეული  
ზღვასას კრეტისას გავატან დარდს და შიშს,

ლაღად შთენილი გულგრილად ვუცხრი,  
რომელი მეფობს ქვეყანას ჩრდილოს,



5 ან ტირიდატე დააფრთხო რომელმა,  
ო, ტკბილო პიმპლეა, წყაროთა მეტრფავა  
უვავილთა გვირგვინი დამიწან —  
ლამიას ჩემსას მიუვალ ძლვენით.

10 თვინიერ შენდა ხოტბა არ მივარვა:  
მაშ უკვდავყავით ახალი სიმებით,  
უბორეთ ჩანგი ლესბოსური  
უტკბესმა დებმა მეგობარს ჩემსას.

27

### მ მ გ რ ბ რ ი ბ ს

თრაკიელთ მოსდგამთ ჩვევანი ველურთა,  
კათხებით ჭიბრი ლაღლბის სანაცვლოდ.  
ამ ველურ ჩვევას ნუ აყვებით,  
ხამს განარიდოთ ბახუსი ბრძოლას!

5 განა არ უწყით, რაოდენ არა ჰვავს  
მიდიურ მახვილს ღვინო და კანდელი;  
მოყვასნო დავა დაუტევეთ,  
მკლავნი მოხარეთ იდაყვში დინჯად.

10 იქნებ გწადიათ მეცა ესვა თქვენებრ  
ფალერნის ღვინო სიმიგრით ქებული?  
თქვას იპუნტიელ მეგილას ძმამ,  
რომელ ჭრილობით ირჩევდა სიკვდილს.

15 არ მიპასუხებთ, გადაულვრი ზედაშეს.  
კეთილშობილ არს მიგნურთა ცოდვანი,  
ვისაც არ უნდა ტრუიალებდე,  
ნუ გაწითლდები სირცხვილის ალით.

თუ სცოდავ ტრფიალით, ცოდვა კეთილ არს,  
რაც გემართება, მიანდე სანდო ყურთ!

ქარაბდისს ეტრფი, იქნებ, ყრმა:

20 შენ უკეთესის მიჯნურის ტორთ?

განა მისანი, ვანა მოვეი, ანდა

ღმერთი თესალის წამლით ვიშველის?

ამ სამსახოვან ქიმერასაგან

თვით ბეგასუსაც ძლიეს თუ დაგიხსნის!

28

### პ რ ჩ ი ტ ა ს ა დ მ ი

ქვიშათა მირიადების, ხმელეთისა და ზღვათა ამზომელს,

თვით მოგიზომეს მცირედი ალაგი

მატინუსის სანაპიროსთან; უკანასკნელი მოგაგენ  
ძლვენი,

არქიტავ, მიჯაჭვულს სიკედილის სარეცელს.

5 ვერარა გარვო აზრით კიდით კიდემდე ცარგვალის  
მოვლამ,

ვერცა ღმერთების სადგომთა შეცნობამ.

ღმერთების თანამოინახე პელოპსის მამაც

გარდაიცვალა,

ტითონუსსაც ხომ უწია სიკედილმა,

მინოსიც ალესრულა, იუპიტერის მესაიდუმლე;

10 და პანთოიდეც წარუდგა ტარტარუსს,

თუმც ამოიცნო ფარი, ტროას ომის დროს თავისი  
ნექონი,


და საცნაურ ჰყო — მეორედ კვლებოდა.

ქარლვთა და კანის გარდა მაინც არარა დაუთმო

სიკედილს,

დიღმა მჩხრეკელმა ბუნების კანონთა.

- 15 აგრეა: ყოველ სულდგმულს ერთხელ უდგება  
 მიმწუხრის უამი,  
 მან უნდა განვლოს სიკედილის ბილიური,   
 ალსასრულის დროს მავანს ფურია ოშზა უმზადებს  
 სიკედილს,  
 მეზღვაურებს კი ზღვაში აქვთ სავანე;  
 მიწყივ გვერდიგვერდ ჭრიან ყრმის და მხცოვანის  
 საფლავის მიწას,  
 20 გზას ვერვინ უძლევს მკაცრ პროზერპინას.  
 ილარიის ზღვის ტალღა მეც წამაფარა სწრაფმა  
 ნოტუსშა,  
 თანამგზავრმა ორიონისა.  
 შენ, მეზღვაურო, გირჩევ, ნუ მიატოვებ თანამდგომის  
 ძვლებს,  
 ისე რომ ქვიშა არ მიაყარო.  
 25 და, მთლად შემუსროს ვენუზიის ტყეები  
 ქარიშხლებმა,  
 როს ჰესპერიას მიაღწევს ევრუსი  
 შენ კი გადარჩე სალად, თან ხვავრიელი მოგაგოს  
 ძლვენი  
 ყოველი მხრიდან, განმკითხველს ყოველთა,  
 30 წმინდა ტარენტის მცველმა ნეპტუნუსმა, ან იუპიტერმა.  
 იქნებ არარად მიიჩნევ ცოდვათა,  
 წაგებილწება გვარის უცოდველობა, იქნება შენაც  
 უარეს განსაცდელს გიმზადებს ბედი.  
 შეუსმენელი ჩემი ვეღრების წილად შურს იძიებენ,  
 და მიტევების ვერ პპოვებ ცოდვილი,  
 35 თუმცა იჩქარო, ახლა სჯობს, სამჯერ პეშვით დამაფშვნა  
 მიწა,  
 მერმე ეწიო საცილო საქმეთა.



ପାତ୍ରବିଧି ମାତ୍ରମେ

ନେତ୍ରକୁଣ୍ଡଳ ପାଦକରିଷୁ  
ନେତ୍ରକୁଣ୍ଡଳ ପାଦକରିଷୁ

- 5 გარნა საქმროზე მტირალი დიაცი  
გაგიწევს სამსახურს? განა ჭაბუკი  
თმებოგაპონილი მოგაწვდის სასმურს,  
თუ უსწავლია მამისეული

10 მშვილდიდან სირიულ ისართა სროლა?  
ვინდა უარყოფს შემდგომად ამისა,  
რომ აღმასვლა ძალუბთ წყაროთა,  
და რომ ტიბერიც აღმა მდინარებს,

15 რამეთუ მოწამე სოკრატეს მოძღვრების  
პანეტიუსის ნაგროვებ ეტრატთა  
განუდექ სიბრძნეს, ყოველივე  
მტკიცე ჰიბერულ თორს ანაცვალე.

30

306966

ო, კნიდოსის და პაფოსის მეულევ,  
ვენუსი, დააგდე საამო კვიპროსი  
და დაივანე გლიკერას დარბაზთა  
სით საქმელს გიქმევთ.

- 5 იახლე ფიცხი ბიჭუნა, ნიმფები,  
სარტყელშეხსნილი ნაზი ვრაციები  
და სიყმაწვილე — უშენოდ მწერხარე,  
მერკურიუსიც.

## პოეტის ვიდრება



რას ევედრები აპოლონის ტაძარს  
მარქვი, მგოსანო, ლვინო თუ გწყურია,  
იქნებ ხვნა-თესვა მოგენატრა  
სარღინიის უხვი მამულის?

- 5 ან კალაბრიის ხვასტავი გინდოდა,  
ან სპილოს ძვალი და ოქრო ინდოთა,  
იქნებ ლირისით რომ ირწყვება  
ლინჯად მღინარის, გწადს ის მინდვრები?

- 10 ვისაც ფორტუნამ წილად არგუნა,  
მან შეკრას ლერწი კალენურ ვენახის;  
დაე, ვაჭარმა უხილათოდ  
ჰკვეთოს ატლანტი წინაუკუმი,

- 15 ღვინით ღმერთების ჩჩეული გამოთვრეს,  
ოქროცურვილი დააშროს თასები.  
წილად მხვდა საკვებად მე ბალბა,  
ზეთისხილი და ვარდფაჭაჭა.



- 20 ლატონას ძეო, მხოლოდ ერთს გავედრებ:  
მსურს საღი აზრით განვლიო სიბერე,  
სვე ბოლო უამს არ გამიმწარო,  
არ გამაშორო კითარას ჩემსას.

## ჩანგს


თუ რამ ვიმღერეთ სანდომო მოყვასთა,  
მრავალუამიერ გვეთქვას უკეთესიც,  
ო, ჩანგო, ჩემო, ეხლა ლათინურად  
მითხარ სიმღერა,



06036350  
3034000000



5 რომელიც ადრე ლესბოსის მკეილიშვილია  
ვინც ომსა შიგან ფიცხელად იბრძოდა,  
ხოლო მშვიდობის უამსხომალდს აბამთა  
ნავსაყუდელში



10 და ტკბილად უმღერდა მუზას თუ ლიბერს,  
ვენუსს და მის ვაჟს, მისგან განუყრელს;  
ავრეთვე ლიკუსს, თავის შავთვალწარბას,  
შავი თმებით მშვენს.

ო, ჩანგო, ჩემო, ფებუსის მკობელო,  
იუპიტერის ნაღიმთა მშვენებავ,  
15 გაშერალთ შქურნალო, ხელი მომიმართე  
შენს ერთგულს მგოსანს!

### 33

#### ალგიტს ტიბულტსს


ალბიუს, ნუ იგლოვ გლიკერას კადნიერს,  
ბეჩავო, ნუ იმღერ მწერების ელეგიებს,  
რადგან უმრწემესმა დაგჩრდილა მშვენებით,  
მიტომაც ვიმუხთლა მზაკვარმა.

5 შუბლეიშრო ლიკორისს კირუსის ტრფიალით  
განა არ ედება ცეცხლი? კირუსი კი  
ფოლოეს არ ყვარობს? მაგრამ ზომ უადრეს  
მგელსა და თხას ძალუძით შეულლდნენ,

10 ვიდრე ფოლოვ აეხორცობით შესცოდავს.  
ეს ევნუსს ათწევს, ნეტარებს რომელიც,  
თუ შეცეფერებულ სულებს და სხეულებს  
დაადგამს სპილენძის ულელს.

მე თუნდ მომექალოა სხვა ტრცობა უტებისი  
კვერსათი წავუვალ შმაგი ზღვის ტალღებზე

15 გიუმაუს და ბობოქარს, მშვენიერ მირტალის  
ბორჯილებს საამოს ჩემთვის.



34

უ კ უ მ ო ხ ე დ ვ ა

შევცდი, თაყვანი არ ვეცი ღმერთებს,  
რამეთუ მწამდა ყოვლად ცრუ სიბრძნე,  
ეხლა კი შევიგნე ცოდვა და  
ხამს იალქანი უკუმივმართო.

5 - მმართებს შევუდგე კვლავ გზებს მიტოვებულთ,  
დიესპიტერი შევიცან მკრეხელმა,  
გაპვეთა ცეცხლით ცის თავანი,  
სასწაულებრივი ვიხილე ეტლი.

10 მიწა და წყალი ანაზღად შეირყა,  
ატლანტის ბჟემან დაიწყო ტორტმანი,  
იძრა ტენარუსის სამეფო,  
აბობოქარდა მდინარე სტიქსი.

15 ლმერთს ძალუძს მდაბალი ასწიოს მალლა,  
ნათელყოს ბნელი, კეთილი დაამხოს.  
ჰა, ფორტუნამაც ზარ-ზეიმით  
სხვისი გვირგვინით შეამქო სხვა.

35

უ რ რ ტ უ ხ ა ს

ჰოი, ლმერთქალო, განაგებ ანტიუმს;  
გძალუძს მოკვდავი კაცი აღაზევო  
და ქედზვიადი, დიდებული  
ტრიუმფი უცებ შესცვალო გლოვით!

5 შენ გვედრება სოფლელი გლახაკი  
მთრთოლვარე ლოცვით; შენ, ზღვათა მბრძანებელს,



გესავს ხომალდზე მეზღვაური  
კარპათიუმის ზღვაში გასული.

- 10 შენი შიში აქვთ სკვითების ურდების ტექსტები,  
პირქუშ დაკიელს, ტომებს და ქალაქებს,  
უმეაცრეს ლაციუმს და ბარბაროს  
მეფეთა დედებს, სისხლიან ტირანებს,
- 15 რომ სვეტს აღმართულს ფეხი არ დაჰკრა,  
რომ ურდომ მგზნებარებ არ გაიყოლოს  
შშეიდად მცხოვრებნი და იარაღს  
არ წაეტანონ ქვეყნის ღამლუპველს.
- 20 შენ წინაგმძლოლობს გარდუვალობა:  
სასტიკი ხელით ძელთა შესაკრავი  
სოლების გროვა, მტკიცე კავი  
და გალლობილი ტყვია უბყრია.
- 25 და შემოსილნი თეთრი სამოსელით  
ერთგულება და იმედიც თანდაგდევს;  
როდესაც სამოსს შენც შეიცვლი,  
ძლიერთა სადგომთ მტრობით დატოვებ.
- 30 უკან დაიხევენ უნდო მეძავი,  
ორგული ბრბო და მეგობრად ნახმობნიც —  
თასებს დაწრეტენ, გადგებიან,  
გილალატებენ ჟამს სიღუბჭირის.
- შენ გვედრები: პფარავდე კეისარს  
35 ბრიტანიაში, შორეულ ლაშქარში —  
ყრმათა რაზმს — რისხვას წითელი ზღვის  
და ომოსავლეთის ქვეყნების მკვიდრთა.
- გაი, სირცხვილო, მოძმეთა სისხლისღრის;  
შენ ბოროტებავ, მარქვი, ვის გავურბით,



35

მქაცრო დროებავ, ვის განდგომას  
არ ვიმჩნევთ, ანდა მარტო ლოვთის შიშით

რომელ საკურთხეველს ინდობენ ქადაგის წერტილი,  
ო, დაბლაგვებულს ცხელ გრძემლზე ნეტავი  
გამოკვერავდე მახვილს დასაკვრელს  
მასაგეტთა და არაბებისთვის!

40

36

### ნუ მი დას დაბრუნება

დაამწყალობნეთ ზვარაკი,  
მიწყივ უგალობეთ, უკმიეთ საკმელი,  
ღმერთებს ნუმიდას მფარველებს,  
ჰესპერიიდან რომ მშვიდობით ატარეს.

5

მონატრებული მოყვასთა  
ცხელ ამბორს გაუყოფს შორიდან მოსული,  
ლამიას ყველაზე მეტად  
ლაპკოცნის თანშეზრდილს, ერთ მოძლვრის  
გაზრდილებს

10

ერთად რომ ჩაიცვეს ტოგა.  
ამ ლამაზ დღეს უნდა კრეტული ნიშანი,  
ფერსთ კი — სალიური ხლომა;  
ნურც დაცლილ ამფორებს ექნებათ სამანი.

15

ნუ გაეჯიბრება ბახუსს  
დამალისი თრაკიელთაღარ სმაში.  
სუფრა გახალისდეს ვარდით,  
ნიახურით და დლემოკლე შროშანით.

რა მიეძალებათ ვნება,  
დამალისს მიაპყრობენ ამღვრეულ თვალებს,

ის კი ვერ ინიშნებს ამას,

20 მიჯნურთან სუროზე უფროორე ჩაკრული.

## ურარცხული

37

## პირდებირთული

კლეოპატრას აღსახრული

მოყვასნო, ჩვენი თრობის დრო დამდგარა,

აწ ფერხისაი შეგვეფერის გაბმული;

დრო დადგა ღმერთებს სალიური

ლხინის სუფრები გადავუშალოთ.

5 ვეკრძალებოდით მარნებში უძველეს

ცეკუბურის სმას, ვიდრე დედუფალი

უგუნურებით კაპიტოლიუმს

და იმპერიას ეშუქრებოდა.

გაავებული მჩბოს მოიმედე,

10 გულს მოცემული, სიშმაგით დამთერალი

მყის გაწმილდა, ვერარა შეძლო;

დაუცხრა ლტოლვა, როს ხანძრისაგან

მარტოლდენ ერთი ხომალდი დარჩა.

და როს კეისარმა თავისი დევნით

15 იტალიით უკუჩეცული,

ლვინონასმური, ისე აოტა,

ვითარც მტრედს აოტებს ქორის დაცემა,

ანდა მონადირე — კურდლელს;

კეისარს მხეცის შეპყრობა სურდა,

20 რათა ბორკილი ებოდა მისთვის.

გარნა შეაქრთო ცივმა მახვილმა,

არც უჩინარი ნაპირი ეძება,

კეთილშობილური არჩია სიკვდილი

და გამბედავმა მისთვის დაკარგულს



25 მზერა ესროლა ტახტს გამჟირდავი.  
მერმე კი გველთა თამამად მიეჭრა,  
რათა სხეულით შეესრუტა  
შავი შხამი და ცივი სიკვდების გრძელება.


30 გარდუვალ ბოლოს გულმავრად ხვდებოდა,  
არა ინდომა, მდაბალ დიაცივით  
მტრული წომალდებით ტყვედ წაეგვარათ  
ზეიად ტრიუმფში გასატარებლად.

38

### მ ს ა ხ უ რ ს

არარად მიჩანს ფუფუნება სპარსთა,  
ლაფნით შეწნული არ მომწონს გვირგვინი,  
ნულარ ეძიებ გვიან უვავილობის  
ვადარჩენილ ვარდს.

5 გიბრძანებ ბეჭითს, ვიქმაროთ ტეია,  
უბრალო ტეია შენც შეგვერს ჩემს მსახურს,  
ჩემოვისაც ვარგა, ვაბარდნულ თალარში  
ოდეს ღვინოს ვსვამ.

წ ი გ ნ ი      მ ე თ რ ე  
  
 უ რ მ ვ ნ ე ლ ი  
 პ ი ბ ლ ი რ ი ტ ი რ ი

1

ა ზ ი ნ ი უ ს პ ი ლ ი ი ნ ს

მოქალაქეთა მღელვარე მოქცევას,  
 ომის მიზეზებს, ხვანჯებს და შეცდომებს,  
 წინამძღვლების ღირს თანამდგომებს,  
 ბედის თამაშს და სპათა საჭურველს

5 გერ აულებელ სისხლისგან შეღებილს —  
 შენ რუდუნებით იძიებ და აღწერ,  
 აღგეხარ საქმეს ხითვათიანს,  
 ჩხრეკ ფერფლს რომელიც ნალვერდალს მალავს.

10 დაე, თეატრებს განუღეს მუზია,  
 ვიღრემდის ქვეყნის ეამთასვლას აღრიცხავ  
 მერმე მიხედავ ტრაგედიას,  
 ჩაიცვამ ხამლებს მსახიობისას,  
 ო, პოლიონო, მრჩეველო სენატის,  
 და განმკითხავო ყოველთა ცოდვათა,  
 15 რამაც მოგაგო პატივი და  
 დაფნა, ტრიუმფი დელმატიური!

20 კვლავ ჟსმის შენი მრისხანე ხმა ყურთა,  
 კვლავაც სანიშნოს ხმაურობს ნაღარა,  
 კვლავ საჭურველის ბრწყინვალება  
 და სპის შეხედვა ღააფრთხობს ცხენებს.

მგონია, თითქოს უდიდეს სპასპეტთა  
 ნაომართ სისხლი და მტვერი დაშვენდათ,



და კატონის სულის თვეინიერ  
მოუდრეკელი არ დარჩა არვინ.


- 25 აფრიკელების მფარველმა ღმეროვებში  
ვერრა იღონეს მიიქცნენ მიწიდან,  
წარუხვნეს მსხვერპლად იუგურთას  
გამარჯვებულთა შვილთაშვილები.
- 30 რომელი ველი მორწყული ლათინთა  
სისხლით, უსაზმო ომზე არ მეტყველებს,  
მედებსაც მისწვდა ჰესპერიის  
უღვთო რბევის და ნგრევის ხმაური,
- 35 რომელმა ტბაშ და მდინარემ არ უწყის  
იმ უბედური ომების შესახებ,  
რომელი ზღვა არ შეღებილა  
— მტრისგან ნაჩენი დავნიის სისხლით.
- 40 მაგრამ, ო, მუზავ, ძალიან გაერთე,  
ახლა კეოსელის გლოვისა არა თქვა,  
წამო, დიონეს გამოქვაბულთან  
ერთად ვეძიოთ ლალი სიმღერა.

## 2

სალუსტიუს პრისკას ანუ  
მეშმარიტი ბედნიერება

მიწასა შიგან ვერცხლი რომ ხავსდება,  
შენ უწყი, კრისპუსო, რამეთუ წკრიალით  
აროდეს გათნევდა, ქველი გაცემით  
ბრჭყვიალებს იგი.

- 5 პროკულეიუს იქნება დღეგრძელი,  
ვინაც რომ ძმათა მამობა გასწია,



ფრთხებით ატარებს დიადი სახელი  
მრავალეამიერ.

## ურარცხული

ვინაც არ იყვება სულისა სიხარბეს,  
16 უფრორე მეტად, ზვიადად იმეფებს,  
ვიღრე კართაგენის, ლიბიის, გადესის  
ძალით მპყრობელი.

კაცთა წყალმანქი იჩქითად გათელავს,  
დაამწყურვალებს და ძარღვთა უაღრესს  
15 უნდა მოკვეთო წყარო სნეულების  
რომ განიკურნოს.

ბრძენი ფრაატეს შერაცხს უბედურად,  
თვალებს აუხელს ცრუ ქებით რეტდასხმულს,  
ვინაც ძალადობით ხელახლა ხელყო  
20 კიროსის ტანტი.

მარადის მწვანე დაფნათა გვირგვინი,  
ლირსი მეფობა იმისი წილია,  
ვისაც ძალუძს გულგრილად უყუროს  
საჭურჭლეს ურიცხვს.

### 3

#### დ ე ლ ი უ ს ს

დელიუს, საშიშარ საქმეს წასულმა,  
ანდა სალხინოს, ჰქუით იარე,  
განცხრომით მყოფი განერიდე  
კადნიერ ზედმეტ მხიარულებას.


5 უცილოდ გვიწვევს სიკვდილი ყოველთა,  
თუნდაც ცხოვრება ნალველში გალიო,  
თუნდ ბედნიერი დღესასწაულს  
ლვინით აღვსილი თასებით შეხვდე.

- მ ა რ გ ი ს ა ლ ი ს ა ლ ი
- 10 რად გვიჩრდილავენ გაშლილი რტოუბით  
 თეთრი თელა და მაღალი ფიჭვი?  
 რად მოჩუხჩჩუხებს საამურად  
 ნაკალულებში ანკარა წყალი?
- 15 ბრძანე, ღვინო და ნელსაცხებლები,  
 ნაირფერადი ყვავილნი მოგვართვან,  
 სანამდის უამი და სამი დის  
 შავი გორგალი გვაძლევს უფლებას!
- 20 ბოლოს დააგდებ მშობლიურ მთა-გორებს,  
 სახლს და ტიბერით დალტობილ მამულებს,  
 წახვალ მემკვიდრეს გაამდიდრებ,  
 შენგან დაგროვილ უხვი საჭურჭლით.
- 25 გინდ იყო გლახა, მდაბიურ ჯილაგის,  
 გინდ იყო მდიდარ ინაქეს მემკვიდრე,  
 ვინ განასხვაოს ალსასრული  
 შეუბრალებელ ორკუსის მსხვერპლთა.

## 4

## ჩ ს ა ნ თ ი ა ს

- ნუ გერცხვინება მონა ქალის ტრფობა,  
 ქსანთიავ, გახსოვს, თუ როგორ აენთო  
 თოვლივით თეთრი მხევალის სურვილით  
 თვით აქილევსი.
- 5 დიდ აიაქსსაც თავრეტი დაასხა  
 ტყვედ წამოყვანილ ტექმესას მშვენებამ;



შუა ტრიუმფის ღროს ატრიდიც მონა ქალს  
გაუმიჯნურდა,

## ეროვნული

როს აქილევსმა იმარჯვა ბრძოლაში  
10 ბარბაროსების ლაშქარი გაწყვიტა  
და დაცემულმა პეტრორმა როს ტროა  
ბერძნებს დაუთმო.

ოქროსფერომიან ფილისის მშობლები  
დაგამშვენებენ, თუ არა, ვერ განჭვრებ;  
15 ის კი მისტირის მეტად მყაცრ პენატებს  
და სამეფო გვარს.

გწამდეს, რომ შენთვის ესოდენ ძეირფასი,  
არ არის მოდგმა მდაბიო იჯახის,  
გწამდეს, რომ ესოდენ სათნოს ვერ შობდა  
20 უღირსი დედა.

ამიტომ ვაქებ მის მწყაბარ ზშვენებას,  
ჩამოქნილ წვივებს და თეთრზე თეთრ მკლავებს;  
მერვე ხუთწლეულს სულ მალე მივალწიკ,  
ნუ მიმზერ ეჭვით!

## 5

### ლ ა ლ ა შ მ ს მ ი ჯ ნ უ რ ს

კერ უძლურია ატაროს უღელი,  
კერ კიდევ არ ძალუქმს გასწიოს ჭაპანი,  
ან აიტანოს სიყვარულით  
გახელებული ხარის სიმძიმე.

5 კერ მისი სული მინდერებზე ნავარდობს,  
გრილდება ცივი მდინარით სიცხეში,  
ხან კიდევ წიფულნარს ჭაობიანს  
ხბორებთან ერთად იქლებს კუნტრუშით.

10 ნუ ისურვილებ უმწიფარ ყურძნენს,  
მალე ნაირცერს დაპცენს შემოდგომა  
და დაედება მეწამული  
ფერი ამჟამად უცარცლ შეატანა

15 ვახელებული მოვნახაუს უმარებელი,  
როს ულმობელი უაში მას შემატებს  
წელთა, რომელთაც შენ წარვტაცებს;  
მაშინ ლალაგეც მოსძებნის ქმარს,

20 უფრორე სანდომო, ვიდრეა ფოლოე,  
ანდა ქლორისი ქათქათა მხრებით,  
მსგავსი ზღვის ზედა მთოვარის ნათელის,  
ან კნიდოსელი კოხტა გრგესი,

ვინაც უცხო კაცს უცილოდ შეაცდენს,  
ქალწულთა კრებულს შუაში რომ ჩაუდგეს,  
ორაზროვანი გამოხედვით  
და დაფუნილი გრძელი დალალით.

## 6

## ს ე პ ტ ი მ ი უ ს ს

სეპტიმიუსო, ვუწყი, რომ მზადა ხარ,  
ურჩ კანტაბრებთან მეახლო თანმდგომად,  
გადესს, ან სირტისს, სად ზღვა მავრიტანიის  
ნიადაგ შეფოთავს.

5 რა მომეწევა სიბერე ბოლოეამს  
გადაღლილს გზებით, ზღვითა და ბრძოლებით,  
ნერავ არგოსულ ახალშენს მაცხოვრა,  
მქნა ტიბურელი.

10 მაგრამ თუ პარკნი მისასვლელს შექრავენ,  
გალეზუსს მივალწევ, ტყავდაკრულ ცხერისფარებს,



სად განაგებდა ლაპელემონელი  
მეფე-ფალანთუს,

მიწის ეს კუთხე მხიბლავდა ოდითგან, მიწის კუთხე მხიბლავდა  
აქაური თაფლი ჰიმეტურს ჭობია,  
15 ზეითუნი კი გაეჭიბრება  
მწვანე ვენაფრუმს.

იუპიტერიც ნოყიერ ადგილებს  
წყალობს თბილ ზამთრით და გრძელი ზაფხულით  
ბახუსის ბარაქაც არ ჩამორჩება  
20 ფალერნუმის ვაზს.

ეს ადგილები, კეთილი მთა-ველი  
გვიხმობენ ორთა, მე და შენ გველიან,  
იქ იქნებ ჩემს ფერფლს ბოლოეამს არგუნო  
ობოლი ცრემლი.

7


პოვპიტუს ვარუსისად მი

ო, პომპეუსო, ჩემო მეგობარო,  
ბრუტუსის ომში სიყვდილს გამოვლილო,  
ვინ დაუბრუნა შენი თავი  
რომსა და ღმერთებს, იტალიის ცას?

5 მოყვასო ჩემო, უგრძესი დლეები  
ჩვენ არაერთგზის მოვკვეცეთ ღვინოში  
და სირიული მაღლბათროს  
გვირგვინი გვიმკობდა ბრწყინვალე თმებს.

10 ფილიპის ბრძოლაც ხომ ერთად ვიწვნიეთ,  
და ოტებულნიც მხარდამხარ გავრბოდით,  
რა გატყდა ჩვენი მამაცობა  
და სხვებმაც მიწა მოხნეს ნიკაპით.

မင်္ဂလာဒီဇယ်စွဲ  
အနိုင်ဂါရိဘဏ္ဍာ





მერკურიუსი გამიძღვა უსწრაფეს  
და უსიერი ბურუსი ვიფარე;

15      სისხლის მორევმა გაგიტაცა —  
      შენ ხელმეორედ მიიქეც ბრძოლაში და გარეონა.

ხამს იუპიტერს მიაგო ნადიმი,  
და მოიშუშო იარა ბრძოლების,  
20      ვინ იმუქაფე უმეტესად,  
      მო, შეეფარე დაფნათა ჩემთა.

აწ მასიკურის ღოქები გვჭირდება,  
დარღს დაგვავიწყებს, გავავსოთ თასები,  
ნელსაცხებელით ვინებივროთ,  
თქვი, ვინ მოგვიწნავს გვირგვინებს ლამაზს?

25      სუფრის გამრიგედ — ვენუსის რჩეული!  
არა ვარ ქეიფში ედონთა ნაკლები,  
მე მსიამოვნებს გახელება  
მეგობრის ნახვით გამოწვეული.

## 8

### ბ ა რ ი ნ ი ს

ბარინევ, ფიცის გატეხის შიზეზით  
ერთხელ მაინც რომ დასჯილიყავი,  
თუნდ ფრჩხილის, ან კბილის წამოტკივებით,  
მოგენდობოდი.

5      ცრუ დაპირებებით, ერთგულების ფიცით,  
მაცდურო, უფრორე მშვენიერდები,  
უფრო მეტად იხვევ ჭაბუქებს ირგვლივ,  
წარმოჩინდები.

10      ხელგვწიფების დაუდო ცრუ ფიცი  
მკვდარი დედის ფერფლს და ღამეულ ნიშნებით

მღვმარე უარგვალს, ან კალი ცადებო  
ლმერთების კრებულს.



გავიმხელ: ვენუსიც ქილიკობის პატა  
ალალებ ნიმფებს და ვალუტებს და მარტინი  
სისხლშემხმარ სალეს ქვაზე ალესილ  
ისრით ალჭურვილს.

ხომ ხედავ, შენთვის მრავლად იზრდებიან  
ჭაბუკნი, შენი ახალი მონები;  
არც ძველ მიჯნურთ სურთ შენი მიტოვება  
ძალაუნებურ.

შეიღების გამო შიშობენ დედები,  
გაერთალებიან ძუნწი მოხუცებიც,  
და გუშინდელი ქალწულნიც შიშობენ  
თვის ქმართა წაგვრას.

9

ვ ა ლ გ ი უ ს რ უ ფ უ ს ს

ო, ვალგიუსო, თანამდგომო ჩემო,  
ატეხილ ჭალებში გარნა მუდამ დღე  
თავსხმა წეიმაა, ან კასპიუმს  
გარნა მუდამეამს ქრის ქარიშხალი?

5 არმენიაშიც არ დევს სულ ყინული  
წელიწადს ყოველს და არც ზენაქარს  
მიაქვს მუხნარი გარგანუსის  
და ძარცვავს ღუნებს ფოთლებისაგან.

10 შენ კი მისტირი შისტებს: შეუდანდლე  
დარდი არ კრიცებს მიტოვებულის  
არც საღამოფამს და არც ცისკარშე,  
ჭარსკვლევთ ამოსკლის, ანდა ჩისკლის კამის.



ვინც განასრულა სამი საუკუნე  
გარნა მუდამდღე სტიროდა სასურველს,

15 გარნა ფრიგიას ნორჩ ტროილუს ერთოვენი  
გაუთავებლად ტიროდნენ დებე? გინდური გირვა

გულისწამლები შეწყვიტე გოდება,  
თავი აიღე, მოდექ და ვუმლეროთ  
ავგუსტუსის ახალ ძლევათ,  
20 პირქუშ ნიფატეს დამორჩილებას.

აწ დაძლეული მედების მდინარეც  
ელამუნება ნაპირებს მორჩილად;  
დაჭირითობენ ახლა გელონნი  
სამანებმოშლილ მცირე მიწაზე!

## 10

ლიცინის მურინას  
(ზომიერება ანუ ოქროს შუალედი)


შენ, ლიცინიუს, ჰეშმარიტი აირჩივ გზა:  
ზღვასა შინა ნუ მიელტვი სილრმესა დიდსა,  
ნურც ქარაშოტის მოშიშარი მიეახლები  
არამყარ ნაპირს.

5 ვინც ცხოვრებაში აირჩია ზომიერება,  
თავისი თავი დამპალ ჰერქევეშ არ დაიტანკა,  
არცა დიდებულ სრა-სასახლეთ წაეპოტინა,  
ტკბილად იცხოვრა.

10 უზარმაზარ ეულ ფიჭვსაც მოდრიკავს ქარი,  
დაეცემა უმძიმესი დაცემით ციხეც,  
თვით უმაღლეს მთის მწვერვალთა ხვედრია მუდამ  
ელვა და მეხი.

ვინაც ჩაწვდა ბედისწერის ცვალებადობას,  
ჭირსა შიგან ხსნას მოელის და ფრთხილობს ლხინში;

15 განაგებს ზამთრის მიმოქცევას იუპიტერი —  
იცვლება დროიც.



რაიც არს ცუდად, მერმის ასე აღარ ჩენები;  
დაკრავს უამი, აპოლონი მშვილდს მიატოვებს  
და კითარის საამო ხმით აღაგზნებს იგი  
20 მუზას მდუმარეს.

ძნელბედობამ გამოსცადოს მხნეობა სულის,  
ნუ შედრები ჭირსაშიგან, დარჩი მამაცი,  
ნურც ლალ იალქნებს მიანებებ ბეღნიერ ზურგქარს,  
ჰქუა იხმარე!

11


### მოწვევა სალალობოდ

ნუღარ ეძიებ, ჰირპინუს კვინტიუს,  
რა უდევს ფიქრად კანტაბრელ სპარაზენს,  
სკვითს მოკევეთილს ადრიატიკით.  
და სარგებელიც ნუ გინდა დიდი

5 ამ ცხოვრებისგან, რამეთუ იჩქითად  
დაგტოვებს სიყრმე და ძველი ლაზათი,  
უმალ ჭალარაც დაგვავიშუებს,  
მხიარულ ტრფობას და ძილს უშფოთველს.

10 ცვალებადია გაზაფხულის უვავილო  
ფერები, იცვლება ციაგი მთვარის,  
ნურც შენ აწუხებ მილეულ სულს  
მომავალ დღეზე ბჭობით და დარდით.

15 სანამდის დროა, რად არ ვცლით სასმისთა  
მაღალ ჭალრებთან, ან ფიჭვის ჩრდილის ქვეშ  
გულარხეინად გაშოტილნი  
ვარდის სურნელით გაუღენთილ თმებით.



მითანტმოფანტავს ევჰიუსი უმალ  
მოხვეულ დარღებს. ოქვი, რომელ ჭაბუქს  
მოვუხმო, წყალით განაზავოს  
თასში ფალერნის ცეცხლივით დვინო?

20

ან მარქვი რომელი გამოიტყუებს  
განმარტოებულ სახლიდან მრუშ ლიდეს,  
ჩვენთან მოვიდეს ლაკონიურად  
გაშლილი თმით და სპილოსძვლის ლირით.

12

### მ ე ც ე ნ ა ტ ი ს ა დ მ ი

არა გსურს კითარის საამო ჰანგებზე  
ვუმღერო ჰანიბალს, ანდა ნუმანციას;  
ვთქვა, ვითარ შეიღება სიცილიის ზღვა  
წითლად კართავენის სისხლით.

5

არც შეჭფერს კითარას უმღეროს ლაპითთა,  
უსაზმო ღვინის მსმელ ჰილეუსს, ან კიდევ  
ძველი სატურნუსის სასახლის შემძვრელთა  
ტელუსის ქედმაღალ ვაჟებს,

10

რომლებიც ჰერკულესის ძალამ დათრგუნა,  
უკეთ, მეცენატო, თხრობით შენ აღვიწერ  
ტყველ ჩამოტარებულ ზვიად მეფებზე  
კეისრის გმირულ ბრძოლებზე.

15

ისურვა მუზამ, რომ უტკბესი სიმღერა  
ვუთხრა ლიკიმნიას, ქალბატონს საქებარს;  
აზმანი შეჭფერის მის ნათელ თვალებს და  
უმტკიცეს სიყვარულს ზისას,

რომელსაც შვენოდა ცეკვა ფერხისაი,  
რომელსაც თამაშში შვენოდა ხუმრობა,

დიანას წმინდა დღეს ხელი-ხელ გოგმანი  
ბრწყინვალე ქალწულთა გუნდთან:

20

განა ლიკიმნიას თმის ერთ ლერს გაცელო შემ თება  
იმ ქონებაში, რაც ეპყრა აქემენი ბატონი და ანდა რაც ფრიგიელ მიგდონთ დაუხვავდათ,  
ან რასაც არაბნი ფლობენ?

25

როცა ის გაგირბის მწველი ამბორისგან,  
თითქოსდა მრისხანებს, გულში კი სურვილობს,  
რომ წილწვდეს ალერსი უფრო უმეტესი,  
უფრორე ჩაგიქრავს თვითაც.

13 .

### ს ა გ ე დ ი ს ჭ მ რ ო ხ ე

ვინ მოგაყარა ფესვებზე ბელტები,  
ვინ გექმნა შემწედ, რომელმა მკრეხელმა  
გაგზარდა შვილთა საბედისწეროდ,  
სოფლის საწყევრად ვინ ჩაგრო ხეო?!

5

მშობელსაც ალბათ მოსტეხა კისერი  
და მორწყო სახლის ყოველი კუნძული  
ღამეულ სტუმრის ნანთხევი სისხლით,  
ხელთ ეპყრა პინა კოლხური შხამით

10

და წილნაყარი ხვანჯთან და ზაკვასთან  
შენ გახარებდა, მორო, ჩემს მამულში  
უცოდველ პატრონის დასალახვრად,  
მის სასიკვდილოდ გამიზნულს მარად.

15

აჩქარებულნი დროს რაღად ვიზოგავთ,  
თუკი აროდეს ყოფნის კაცს სიფრთხილე:  
ბოსფორი აქრთობს თუნიელს მარტო,  
სხვა მხრივ კი იღბალს მინდობილია;



სპარაზენს მარტო პართელი აშინებს,  
პართელს ბორკილი და რომის მძლეობა;  
20 მაგრამ თავზარს სცემს ყოველ მოკვდავს  
მოულოდნელი სიკვდილის ძალა.

თვალშინ დამიღვა მსაჯული ეაკუს,  
და პროზერპინას ბნელეთის სამეფო,  
წმიდათა ცალკე სავანეც, სადაც  
ეოლურ სიმებს აკვნესებს საფო.

25 თვისტომ ქალწულთა მშვენების მეხოტე;  
იქვე ალკეოს ოქროს ქამანით  
მლერის გასაჭირს აოტების  
და ომის შავბნელ უბედურებას.

30 ჰკვირვობენ აჩრდილნი, ოდეს ორივე  
წმინდა დუმილის ღირს საგანს უგალობს  
და მაინც ხალისით ისმენს ბრბო  
ტირანებისა და ომის ამბავს.

35 ევმენიდების დალალში ჩაწნული  
გამოცოცხლდება გველების გორგალიც  
და ურჩხულიც ასთავიანი  
ყურდაშვებული ტკბება სიმღერით;

40 თვით პრომეთევსს და პელოპსის მამას  
რანგვას უქარვებს უტკბესი გალობა  
და ორიონიც როდი ცდილობს  
ლომთა და დამფრთხალ ფოცხვერთა დევნას.

და ვერცა სიკვდილს აულაგმავს  
ლეთის მოკრძალებით ვერ შევაყოვნებთ.

## ურმანული

- 5 ჩემო მოყვასო, სიკვდიმდე ყუვალდები,  
სამას-სამასი ხარიც რომ შესწირო  
პლუტონს, ვინც მწუხარე ტალღებით,  
გერიონს და ტიტიოსს აკავებს,
- 10 მაინც მოგვიწევს იმ წყალზე გადასვლა,  
ჩემო პოსტუმუს, სულიერს ყოველს,  
ვისაც კი კვებავს დედამიწა,  
გინდა მეფე ქნა და გინდა გლეხი.
- 15 ამაოდ რაღად გავექცეთ სისხლისღვრას  
ომში, ან მორევს ჰადრიას ტალღების,  
რად შევუშინდეთ შემოდგომით  
კაცის მავნებელ ავსტერის ქარებს,
- თუ მაინც ვიხილავთ უმრუმეს კოციტუსას,  
სახელგატეხილ ჯილაგს დანაოსის,  
ან გამწესებულს კირთებისათვის  
ტანჯვას სიზიფე ეოლიდისას.
- წაგალთ, დავაგდებთ სადგომს და მამულებს,  
საყვარელ ცოლს და ჩვენს მოვლილ ნარგავებს,  
არ წამოგვყვება არცერთი ხე  
გარდა საძულველ კვიპაროსისა.

- 25 შენი მემკვიდრე გამოცლის ცეკუბურს,  
შენგან უამრავ ურდულით ჩაკეტილს  
და ქურუმების სანალიმო  
ლეინის უმჯობესს, უსაზღვროდ დაღვრის:



კოველი მოიცვას საგაფო დიღუანთა

სახნავად მცირე მამული გადარჩა,  
ყოველი მოიცვეს სამეფო დიღშენთა  
ესრეთ ტბორები გადაშლილა  
ლუქრინუსის ტბის უფრორე ფართოდ.

5 თელას დაჯაბნის ეული ჭადარი,  
კეთილსურნელი სხვადასხვა ყვავილთა,  
იის და ტვიის, მოედება  
ერთდროს სარგებლის მომტან სანახებს,

ბაღს მსხმოიარე ზეთისხილისას.

10 მზეს დაჩრდილავენ დაფნათა რტოებიც,  
განა ძველთაგან, რომულუსის,  
ან კატონის დროს დაწესდა ასე?

კნინ იყო წილი პირადი სიმდიდრის,

საერთო იყო უმეტეს ყოველთა,  
კერძო სრა-სახლის ათფუტიან სვეტო  
არ ეხლებოდა მძლე ჩრდილო ქარი.

მაშინ კანონები როდი კრძალავდა  
უბრალო კორდით სახლის გადახურვას,  
საერთო ხარჯით შეემკოთ უნდა  
ქალაქები და ომერთთა ტაძრები!

პოვაეიშ გროსფუდსადმი

ოდეს ლრუბლებმა დაბინდონ მოვარე,  
და აციმციმდნენ ვარსკვლავნი საავდროდ,  
ეგეოსის ზღვას გასული მენავე  
ითხოვს სიმშვიდეს.

5 სიმშვიდე უნდა ნაომარ თრაკიას,  
ისარ-კაპარჭით აღჭურვილ მიღიელს,  
რასაც თვლებით და ოქრო-ძოწეულათ  
ვერ მოიპოვებ.

10 განძი და კონსულის მხლები ლიქტორი,  
ვერც ჰერნი სრა-სახლთა, მოჭადრაკულნი,  
ვერ ააცდენენ თავიდან ვერავის  
შფოთსა და დარდებს.

15 პატარა კაცი თუ ცხოვრობს სიმშვიდით,  
ძილს არ დაუფრთხობს შიში და სიხარბე,  
მას სამარილე უმშვენებს მაგიდას  
მამისეული.


20 უმოქლეს დროში ღიღსა რას მიველტვით,  
რას ვაქნევთ სხვათა მზით გამთბარ მამულთა,  
ვინც განიკვეთა მშობლიურ ქვეყნიდან  
თავს ვერ განუდგა!

ვაგლახ, საზრუნავს იტვირთვენ ხომალდნიც,  
უმისოდ ვერცა მხედართა იგელვონ,  
ვერსით განუდგენ ევრუსზე უსწრაფესს,  
ირემზე ფეხმალს.

25 ლალი ხარება საზრუნავს გვიკვეცავს,  
სიმიზრეც უნდა სიცილით შერბილდეს,  
შეუთუ ვერავინ იპოვის ყოველმხრივ  
ბეღნიერ სულდგმულს.

30 ბეღმა აქილევსს სიცოცხლე წარსტაცა,  
უსაზღვრო სიბერემ დააჭინო ტითონი,  
ვინ იცის, ჟამი იქნებ მე მარგუნებს  
შენთვის მიუწვდომს.

ას სიცილიურ ნახირს განაგებ,  
ეტლს შესაბამი რაშებიც დაგიდის,



35 აფრიკულ მურით ორგზის შეღებილი  
სამოსიც გმოსავს.

ურარცხული  
წიგნის გვირების გადასაცემა

ალალმა ბეღმა მცირედი მამული,  
წყალობა მუზის უნაზეს სულის და  
შურიანი ბრბოს ზიზღის უნარი  
შურიანი ბრბოს ზიზღის უნარი

40 მომავო ხეედრად.

17

### მ ე ც ე ნ ა ტ ს


შენმა ჩივილმა სული ამომხადა,  
ო, მეცენატო, შემამქობელო,  
საქმეთა ჩემთა დიდო ბურჯო,  
შენს უწინარეს მე მომკლას ღმერთმა!

5 ჩემზე უადრეს თუ გნახავს სიკვდილი,  
ის დღე ორივეს ჩაგვიყვანს საფლავში,  
თანაზიარო ჩემი სულისავ,  
თვინიერ შენდა ვითარ ვიცოცხლებ!

10 მე გასატეხად არ მითქვამს ეს ფიცი:  
უკანასკნელი გზა ერთად გავლიოთ,  
წამოვალ შენთან უყოყმანოდ,  
საითაც უნდა წაგვილოს ბედმა.

15 ვერ შემაჩეროს ქიმერას ღველფმა,  
ასხელიანი გიესის ალდგომამ,  
რადგან ასე სურს ბედ-ილბალს და  
ყოვლის უმალლეს მართლმსაჯულებას.

20 მე თუ დავიბადე „სასწორის“ ეტლზე,  
გადავეყარე მრისხანე „ღრიანკალს“,  
ანდა თავს მედგა ჰესპერიის  
ზღვის მბრძანებელი „თხის რქის“ ნათება,



სწორფერობს ერთურთს ჩვენი ვარსკვლავები,  
იუპიტერის ბრწყინვალე ნათებამ  
სატურნუსისგან დაგიფარა  
და შეაყოვნა ბედი მსახურლი, 136-ი

- 25 ოდეს თეატრში ბრძომ აურაცხელმა  
სამგზის შეძახილით მოგცა სალამი.  
მე დამღუპავდა დაცემული  
ძელი, რომ ფავნუსს, პოეტთა მფარველს,

30 არ აეცდინა დარტყმა მარჯვენით,  
ღმერთთა მიუძღვენ ალქმული მსხვერპლი,  
ტაძარი შენგან შენაპირი,  
მე კი ზვარავად — ბატქანს დავუკლავ!

18

## କେଳାନିଧି ଓ ଶୋଭନା

არცა ჩა სპილოს ძვალი,  
არცა ოქროთი ნაჭედი გუმბათი,  
არცა ჰიმეტეს მორით  
შეკრული სვეტები ამკობენ ჩემს სახლს.

- 5 არ ვარ მემკვიდრე უცხო,  
    მე ატალუსის გაშლილ დარბაზთა,  
არცა მსახური მაწვდის  
    მეწამულ სამოსელს ლაყედემონიურს.

10 მარტო უტკბესი ჩანგის,  
    მგზნებარე ნიჭის გახლავართ მფლობელი,  
ეს განძი იზიდავს მდიდართ.  
    არც ღმერთთ ვაწუხებ და არცა მეგობარს

წყალობისათვის, რაღან  
    გმაყოფილი ვარ ჩემი საბინუმით.



15 დღე კი მიჰყვება დღეებს,  
ახალი მთვარეც უკუ მიიქცევა.

შენ კი სჭრი მარმარის ლოდებს,  
მოწეულ სიკვდილს ივიწყებ სრულდე  
და საფლავის ქვის ნაცვლად  
20 ამშვენებ დიდშენ დარბაზთა ჩუქურთმით.



განძის წყურვილით ილტვი,  
რომ ცოფმორეული ზღვის სივრცეს გასცდეს,  
რაც შეიძლება მეტად,  
ცხელი ბაიას სანაპირონი,

25 ანდა არაფრად გიჩანს  
შენს მომიჯნავე ყანების სამანი  
და დახარბებულს გინდა,  
შემოიერთო მეზობლის მამული:

30 განიძევება შენგან  
ღმერთთა მოყვარე წვრილშვილი ოჯახი!  
ბოლოეამს მდიდარ კაცსაც  
მაინც ორკუსის სავანე მოელის.

35 რას ელტვი ამის შემდეგ?  
მიწა პირს უყოფს ღარიბს და მეფესაც!  
ორკუსის ფხიზელ მსახურს  
ვერც პრომეთევსი დაუძვრა მოსყიდვით.

40 შებორკა ორკუსმა მძლემ  
ამაყი ტანტალუსი თავისი მოდგმით.  
ნანატრია თუ არა,  
ღარიბ კაცს ამ სოფლის ტვირთს დახსნის  
სიკვდილი!



## ბ ა ხ უ ს ს



შთამომავალნო, შორეულ კლდეებში  
ბახუსი ვნახე, ნიმფებს და სატირებს

ტქბილად სიმღერას ასწავლიდა;  
ევოევ, აზრი წამართვა შიშმა!

5 ევოევ, ლალობს ეს გული ბახუსით,  
ისევ შენ გესავ, დამინდო, ლიბერო,  
გახარებული დამიფარო  
მე, უმძიმესი კვერთხის მპყრობელო!


10 ბედმა მარგუნა ხოტბა ვთქვა მგზნებარე,  
თიადების და ღვინის მდინარის,  
ესრეთ უმდიდრეს რძის წყაროთა  
და ხეებიდან გაღმოსულ თაფლის.

15 ბედმა მარგუნა, სახოტბო სიმღერა  
ვარსკვლავად აღვლენილს ვუთხრა შენს მეუღლეს,  
ვთქვა შენგან ძლევა ლიკურგუსის,  
და პენთევსის ციხის დაცემა.

20 ბარბაროსთ ზღვას და მდინარეთ მართავ;  
ზარხოშად მყოფი შორეულ მთებში  
გველთა კვანძებით დალალს უწნავ  
შენ შენს ბისტონიდთ შიშის გარეშე.

25 ლომად ქცეულმა ბრჭყალით და კბილებით  
უკუაქციე საზარი რეტუსი,  
როს უწმინდურ გიგანტთა გუნდი  
ზეცის მპყრობელთან ლამობდა აღსვლას.

ის დროა, შეგფერს ფერხულით გართობა,  
ცეკვა-თამაში და ლალი ხუმრობა,  
მაგრამ ძალგიძლა, ჩანს ასევე  
ზავის დადებაც და ოშშიც ჩაბმაც.





ოდეს გიხილა ოქროს რქით შემყული,  
30 თვითონ ცერბერი კუდის ქიცინით  
მიელაქუცა მუხლთა შენთა.  
მორჩილად თავის სამკაპა ენით.

20

### პოეტის გედი

უმძლავრეს ფრთებით ცალ აღმალლდები  
გაორმაგებულ ბუნების მგოსანი,  
დავტოვებ მიწას და ქალაქებს,  
განვეშორები შურს მიწიერთა!

5 თუმც მიჩქეფს სისხლი მდაბიო მშობლების,  
ვისაც თავისკენ მიხმობ, მეცნატო,  
არ მივეცემი მსახურალ სიკვდილს,  
ვერ შემბოჭავენ სტიქსის ტალები.


10 ფერისცვალება დამეწყო, ვიგრძენი  
და შემემოსა მხარ-მქლავი ბუმბულით,  
წვივებს ეცლება უხეში კანი,  
გარდავიქცევი ზეციურ ფრთოსნად.

15 მე იკარუსზე უფრორე უშიშრად  
მოვინახულებ ბოსფორის ნაპირებს,  
ლალად გაღვუფრენ გეტულთა სირტს,  
ტრიალ მინდორ-ველ! ჰეპერბორელთა.

20 შემიცნობს კოლხი და შორი გელონი,  
შარსელთა რაზმით ნირშეცვლილი დაკი,  
მისწავლის ბრძენი იბერიელი  
და როდანუსის წყალდალეული!

არ წამაყოლოთ მწუხარე გალობა,  
უზრო მოთქმა და ზარიც გამშორდეს!  
გლოვა-პატივი განარიდე  
ცხელარისაგან ცარიელ საფლავს!





მოძრავი და მოძრავი

მე განვერიდე უწმინდურს მდაბალ ბრბოს,  
მომაპყართ ყურნი, მუზების ქურუმი  
სიმღერას ვიტყვი ჯერაც უთქმელს,  
ქალიშვილთა და ყრმათა გასაგონს.

5 ოდითგან მეფე მბრძანებლობს მდაბიოთ,  
იუპიტერი — განაგებს მეფეთა,  
ტრიუმფით მძლევი გიგანტების  
წარბის აწევით აღმძრავი არსთა.

10 ხდება — მავანი უქეთ რგავს ნარგავებს,  
ვინმე უფრორე კეთილშობილი  
ბარად ჩამოვა, მარსის ველზე  
მაღალ ლირსების მაძიებელი,

15 სხვა სახელით და ჩვევებით პატერობს;  
ოდეს ლარნაკში ერთად წილს იყრიან:  
დაელოდება გარდუვალი  
ბოლო გლახაქს და დიდებულს ტოლად!

20 ბიჭიერ ულვთოს, რომლის თავზედაც  
გაშიშვლებული მანვილი ჰქიდია,  
ვით მოხიბლავენ ნადიმები  
მაღისალმძვრელი სურნელებებით.

უშფოთველ სიზმრებს ვერ მოგვრის შემცოდეს  
ვერცა სირთა და კითარის გალობა,

ტქბილ ძილს გლახაეთა ქოხი უყვარს  
და ჩრდილიანი სანაპირონი.

- 25 ვინც დაყაბულდა მისთვის ღვთის ბოძებულკ,  
მას არ აღელვებს ზღვაზე ქარიშნალი,  
აღარც ჰედუსის გამოჩენა,  
ანდა მკაცრ არქტურუსის ხილვა,
- 30 აღარც დასეტყვილ ვენახებს დასტირის,  
აღარც მინდორზე ხეს, მზაკვრულად ამოსულს;  
არც წყალდიდობას, აღარც გვალვას,  
არც ზამთარს მიწის გამაბერწებელს.
- 35 ლალად ზღვას შიგან თევზიც ვერ დაცურავს,  
ეხლება დიდშენ ლოდების ვიწროებს,  
რომელთაც მიწის მბრძანებელი  
მონებთან ერთად აცურებს ზღვაში.
- 40 ესრეთ შიში და საზარი მუქარა  
თან დასდევს კაცთა; და მძიმე ნალველი  
მხედრებს ზურგს უკან ჩამოუჯდება,  
არც ხომალდს ტოვებს სპილენძმოჭედილს.
- 45 წამებულს თუ ვერც ფრიგიის მარმარილო,  
ვერც მეწამული — ვარსკვლავზე მბრწყინავი,  
აქემენური ფუფუნება  
და თუ ზედაშეც ველარ უშველის,
- რალად აღვმართო ახალი ხერხებით  
ატრიუმი და კარიბჭე საშური,  
რად შეველიო საბინურ ველს  
საზრუნავს მომცემ საჭურჭლის ფასად?

## ԿՐԹԱ ՅՅՈՒՅԱՆ



Կրմամ ցամով վրտնում է սամեդրութիւնը պարագաները,  
և, սոլարին մոտմենա ուժայլոս,  
ցասալամիշիրեծլած առջուրզուն  
Շորուտ առարտեսօն զելուր პարտելեմք.

- 5 Ուս ուս վայելու, սաբրուես մագրահմա,  
ոմոյքացոս և ուսեռարոս մուգամլու,  
հոմ մերուս կողալուտան մուս եոլաչու,  
սիրեցու բորանուս որուն և վալու:
- „ոչ, մեցուսիրուն, ոչ, սայմրու սրիվրտնուն,  
առ ցամով վայելու ծիրճուան ներազո,  
մագ լումս, հոմելու ցատրուեծուտ,  
սուսելուս իշուրզունուտ ուրեմնա ոմնու“.
- 10 Սամշոնակատաւուս բրձունու սուզունուն,  
զերու մեծալու ցաւունու ալսասրունս տաւուսաս,  
զանգոնի առ այցու առու նայուց նորիցների,  
ծիրճուասա նուցան ցամով վրտնուն պրմատա.
- 15 Վայսաւու ոմնու սարուս արմտիմելու,  
ծիրճունաց գուցունու շեշուրզոնեւ პարուցուտ,  
առու արմարտաց և առու հասրուս  
նոյածս, պուզելու անրուս մոխելուցուտ.
- 20 Վայսաւու սեմոն ուսուր ցնաւ սլունուտա,  
տաւունու սեմենու սացալու մուգրոնաց,  
և ալնուց պատուն ցնունունու նունունուն  
մըածալու ծիրճու և մորալու վառնու.

- 25 Քունու մուլուս դումունուս նեմնանցունուն,  
մյ յու — զերուսուս իշունուն սամումլուն

გამტებთან ყოფნას ვეკრძალები  
და ზღვაში მასთან ერთად ვერ გავალ,

- რამეთუ გამწყრალი დიესპიტერი, **ურმილესი**  
30 ხშირად ბრალიანს უბრალოს უმატებს — **ურმილესი**  
და ბელისწერას იშვიათად  
თუ დაუსხლტება ვინმე ცოდვილი.

3

ნურვინ აღადგენს ტროას

მოუდრეკელ და სამართლიან ვაჟკაცს  
მოახლოებული ტირანის შეხედვა  
კეთილ განზრახეას ვერ შეუცვლის;  
ვერც დიდი რისხვა მოქალაქეთა,


- 5 ვერც ჰადრიაზე ამტყდარი ავსტერი,  
ვერც ცეცხლის მფრქვევი იუპიტერი,  
თუნდ ჩამოიქცეს მთლად სამყარო,  
გმირი ვაჟკაციც თან დაიტანოს!

- 10 ასეთი ნიჭით პოლუქს და ჰერკულეს  
ცარგვალს აღმართულ სასახლეს მიადგნენ,  
ჩამოწოლილა საღ ავგუსტუსი,  
დასწაფებია ბაგეთი ნექტარს.

- 15 ასეთი ნიჭით მანამდე უჩვევი  
უღლით გატარეს ვეფხვებმა, ბახუსო!  
ამ ნიჭით დაუსხლტა აქერონტს  
კვირინუსი მარსის ფეხმალ რაშებით,

- ოდეს იუნო ღმერთთა საკრებულოს  
შეეხმატებილა: — „ო, ილიონო,  
ბილწმა მსაჯულმა, უბედურმა  
და უცხო მიწას შობილმა ქალმა

ფერფლად გაქციეს ერთიან, ქალაქო,  
ცბიერი მეფით და ხალხით ცოდვილით,  
რადგანაც ღმერთთა არა მიაგო  
აღთქმული ჭილდო ლაომელონტა.



25 დღეს აღარ ბრწყინავს ლაკედემონიელ  
მეძავის სტუმარი, არც ფიცის გამტეხი  
პრიამე მუსრავს აქაველებს  
ჰექტორის ძალით და უკუაქცევს.

30 გაჯანჯლებული ჩვენი კინკლაობით  
დამთავრდა ომი, აწ კი მარსს გადავცემ  
უდიდეს რისხვას და საძულველ  
შვილიშვილს, ტროელ ქურუმის ნასხლეტს.

35 მას ნებას დავრთავ უშმინდეს სასახლეს  
ეწვიოს და სვას უტებესი ნექტარი,  
ამიერიდან მიერიცხოს  
ზენა ღმერთების უმშვიდეს კრებულს.

40 დაე, სვიანად დღეგრძელად იმეფონ  
განდევნილებმა სასურველ ქვეყანას,  
ოლონდ შმაგი ზღვა ხმაურობდეს  
ილიონის და რომის გამყოფად;

ოლონდ ხვასტაგმა მალიმალ გათელოს  
პრიამესა და პარისის საფლავი,  
ესრეთ ცხოველთა გარეულთა  
იხმარონ ლეკვთა შესაფარებლად.

45 დე, იდგეს მარად კაპიტოლიუმი,  
რომის კანონთა წარმართონ მიღია,  
ისმენდნენ მისდა სადიდებელს  
ხმელთაშუაზღვის კიდით-კიდემდე.

50 დაე, რომს სძულდეს ოქრო მიუკვლევი,  
მიწასა შიგან უკეთ შენახული,

ვიღრე მარჯვენით მოიხვეჭდეს  
უწმინდეს ნივთებს მოსახმარებლად.

## სამარტინო

55 ქვეყნიერების უშორეს სამანებს  
დე, მიაწვდინოს თავისი მახვილი და განვითარების  
და, მხურვალე მოიხილოს  
მზის სხივებიც და წვიმების თქეშიც.

20 მაგრამ ეს ხილვა დე მაშინ აღსრულდეს,  
თუ თქვენ, კვირიტნო, არ წაგძლევთ სული და  
არ ისურვებთ, რომ ძველი ტროა  
სრა — დარბაზებით კვლავ მოიფინოს.

ფერფლით აღმდგარი ტროას ბედისწერა  
გაიმეორებს მწარე დამარცხებას,  
ოდეს წავმართავ ძლიერ რაზმებს  
და და ცოლი იუპიტერის.


65 ფეხოსის შეწევნით, თუნდაც რომ სამგზის,  
დადგეს კედელი, სამგზისვე დაიქცეს  
ჩემი არგოსელების ხელით;  
სამგზის იტირონ ქმარ-შეილი დედათ“.

70 გარნა ჩემს ლირას შეჰქერს ეს სიმღერა,  
საით ისწრაფვი, ო, მუზავ ჭიუტად?  
გაწყვიტე ღმერთთა საუბარი,  
და დამცირება მცირე თქმით დიდთა!

## 4

### იქნებ მეზმანა

ჩამოხედ ზეცით, თქვი გრძელი სიმღერა  
აყოლებული სალამურზე, ანდა,  
კალიოპევ, იქნებ ფეხუსის  
კითარის სიმებს ჩამოჰკრავ ტკბილად?



5 ხომ გესმით? ნუთუ მარტოდენ მეზმანი?  
თითქოს ყურს ვუგდებ და გზააბნეული  
დავხერიალობ წმინდა ჰალას,  
სად წყარო მოჩქეფს, სადაც ქრისტიანი

პირდღიროვანი

10 გადაშახურეს მწვანე ფოთლები  
მე საარაკო ფარფატა მტრელებმა,  
ოდეს თამაშში ჩამეძინა  
ვოლტურის მთაზე, აპულეის იქით.

15 განცვიფრდა ყველა, რომელთაც მიხილეს:  
მოსახლეთ ხევში აქერონტიის,  
ანდა ბანტიის ტყე-ჭალებში,  
თუ ფორენტუმის ნოყიერ ველებზე.

20 განვისვენებდი უშიშრად იქ თურმე,  
არც დათვს ვუფრთხოდი, არც გველს შხამიანს,  
ტანზე მეყარა მირტი და დაფნა  
და ყრმას მიცავდა ღმერთების ნება.

25 მონა-მორჩილი ვარ თქვენი, მუზებო,  
თუნდ საბინების მთაგრეხილს შევუდგვი,  
თუნდაც ტიბურზე, ან პრენესტეს,  
ან ბაიასკენ მეჭიროს გვზი.

30 მიჯნური თქვენთა ქოროთ და წყაროთა  
ვერ შემუსრა ვერც ფილიპთან ბრძოლებმა,  
ვერც წაქცეულმა წყეულმა ხემ,  
ვერც პალინურუსის ტალღის შემოხლამ.

35 ოლონდ თქვენ მახლდეთ, უშიშრად გავიდე  
მშფოთვარე ბოსტორს, ვითარც მეზღვაური,  
ან გავყვე ქვიშას — მოგზაურად  
შორს — ასირიის ხვატიან ნაპირს.

ვინილავ ბრიტებს, სტუმრების მოძულეთ,  
ულაყთა სისხლის მოყვარულ კონკანებს,

ვიხილავ სკვითთა მდინარეს,  
ისარშემართულ გულონთა მამულს.

თქვენ კი, მუზებო, თქვენს საბრძონებელში  
გამიხალისეთ დიდი კეისარი, პირულების  
ოდეს ბრძოლები დაასრულოს,  
დალლილი ჭარი დაბრუნდეს ქალაქს.

კეთილმსურველნი ყოველმხრივ ზომიერ  
რჩევას მისცემთ და ერთობით გულლიად.  
ჩვენ ვუწყით, ვითარ დასცა ელვით  
ტიტანები და ბრბო საზიზლარი

მან, ვინაც სწორად მეუფობს ყოველთა:  
უძრავ მიწას და ბობოქარ ზღვათაზღვას,  
ქალაქებსა და მიწისქვეშეს,  
მაღალ ღმერთებს და მოკვდავთა ბრბოებს.


თავის ღონიერ მკლავების იმედით  
იუპიტერსაც შეპბედეს ჭაბუკთა  
ძმათა, რომელთაც პელიონი  
სურდათ ოლიმპოს მთაზე დაემხოთ.


გარნა რა ძალუძდა ურჩხულ ტიფოევსს,  
ღონიერ მიმასს და ღრჯუ პორფირიონს,  
ან კიდევ რეტუსს ხეთა დამლეწავს  
და ენკელადუსს, გაბედულ ჩუბინს,

პალასის მუღერ ფარზე ამხედრებულებს?  
ბრძოლის მწყურვალი იქ იდგა ვულკანუსი,  
იქ ბრძანდებოდა დედა იუნოც,  
და კასტალის ანკარა წყაროზე

ომის გამბანელი ღმერთი აპოლონი,  
ვინც მშვილდს მხრებიდან არასდროს არ იხსნის,

დელოსელი და პატარელი,  
გამგებელი ლიკიის ტევრთა.




- 65 უგონო ძალას უცილოდ სიმძიმე .   
დაიტანს თვისი, განჯისმიერი კი განდიდებული აღზევდება,  
განდიდებული აღზევდება,  
მზაკვარი ძალა არ ათნევთ ღმერთთა.
- 70 მოწამედ ჩემად ასხელა გიესი,  
უმწიდვლო ღიანას მაცლუნებელი  
და მისი ისრით განგმირული  
მე ორიონი მინდა მოვიხმო.
- 75 გადასწოლია შვილებს დედამიწა  
დასტირის ელვით დახოცილ ურჩხულებს,  
საშინელ ორკუსს მიახლებულთ.  
ცეცხლის მძლე ძალა ვერ შთანთქავს ეტნას,
- 80 და ტიტიოსის დარაჯად დამდგარი  
არც ღვიძლის კორტნას დააგდებს არწივი,  
შებორკილია სამასი ჭაჭვით  
პირითოუსი, ცოდვილი მეტრფე.


## 5

### რ ე გ უ ლ უ ს ი

იუპიტერის გვწამს ზეცად მეფობა,  
ამ ქვეყნის ღმერთი კი ავგუსტუს იქნება,  
უკეთუ სპარსებს და ბრიტანებს,  
შემოუერთებს თვის საგამგებლოს.

- 5 ნუთუ გადარჩა კრასუსის მხედარი,  
ვინც ცოლად ველური ღიაცი დაისვა  
და დუშმან სიმამრს შეაბერდა; —  
— ვაი, ადათნო წაბილწულნო!



- 123
- 
- მიღებში მარსუსმა და აპულუსმა  
 გადაივიწყეს ტოგა და სახელი,  
 წმიდა ფარი და ვესტა მარადი,  
 იუპიტერი და მტკიცე რომი!
- ეს რეგულუსმა წინასწარ განჭვრიდა,  
 არ დაეთანხმა ზავის პირობათ  
 და მომავალ ახალგაზრდობას  
 თავის განწირვით დაუბარა,
- რომ სჯობს სიკვდილი მტრის ხელში ტყვეობას!  
 „ვიხილე, — თქვა მან, — პუნიურ ტაძრებზე  
 მიკრული ალმები ჩვენი,  
 და იარაღი ჩვენგან დაყრილი!
- ვიხილე: მტრის ბურჯის კარიბჭე ღიად,  
 ჩვენგან ნაომარ მიწებზე ხნულები,  
 და ჩვენი თანამოქალაქენი  
 ზურგსუკან გათოკილი ხელებით.
- თქმა ალარ უნდა, დაგვიბრუნდება,  
 გამოსყიდული ოქროთი მხედარი!  
 ეს ხომ ხარჯსაც უმატებს სირცხვილს!  
 ვით მეწამულად ნაღები შალი
- ძველებურ ფერთა ვეღარ დაიბრუნებს,  
 ვერ დაბრუნდება ესრეთ მამაცობა.  
 გარნა ირემი კვლავ იბრძოლებს,  
 როდესაც იგრძნობს შემოხსნილ ბადეს?
- ესრეთ ვერ დასცემს შიშის ზარს კართაგენს  
 იგი, ვინც ჩაბარდა მუხანათ მოქიშეს,  
 და სიკვდილისგან შეშინებულმა  
 წინასწარ იგრძნო თასმები ხელზე;
- ვინც თხოულობდა ლაჩრულად სიცოცხლეს,  
 ვეღარ არჩევდა ომსა და მშვიდობას.

„ოი, სირცხვილო, კართაგენო,  
რომის დაცემით ამაღლებულო!“



ამბობენ, მერმე ვით პატივაყრილი,  
შვილებისა და მწყაზარი მეუღლეს  
ამბორს განუდგა და პირქუშად  
ჩასჩერებოდა მამაცი მიწას;

ვიღრემდის მისი თამამი თათბირი,  
არ შეისმინეს მერყევ სენატორთა;  
მერმე კი უმალ განერიდა,  
ვით განდეგილი დარდიან მოყვასთ.

თუმცა უწყოდა რას განუმზადებდა  
შმაგი განზრახვა ბარბაროს ჭალათის,  
ისე განშორდა ნათესავებს  
და ხალხს მოქცეულს. შესაკავებლად,

თითქოსდა დატოვა განკითხვის შემდეგ  
მან დახლართული საქმენი კლიენტთა  
და გაეშურა გასართველად  
ტარენტუმს, ანდა ვენაფრუმის ველთ.

## 6

## დამძიმებულა ჟოვილი ცოდვიბით

ო, რომაელო, შენ მოგექითხება  
წინაპართ ცოდვა, ვიდრე არ აღადგენ  
ჩამოშლილ ტაძრებს და ლმერთების  
შავი კვამლისგან წაბილწულ ქანდაკებს.

ხომ უწყი, მბრძანებლობ, ღმერთთა წყალობით,  
— ესაა ჟოვლის საწყისი და ბოლო;  
მკრეხელობამ უპატიურმა  
ჰესპერიასაც მოუტანა ვნება!



მიტომაც ორგზის იოლად ჩაშალეს  
პაკორუსის და მონეზის რაზმებმა  
ჩვენი შეტევა უღიმღამო,  
და მიიტაცეს ჩვენი ნალავლი.

მომიწერები  
პირული მომიწერები

ეთიოპელმა, მერმე დაქიელმა  
ერთმა ფლოტით და მეორემ ისრებით  
კინალამ ნანგრევად აქციეს რომი  
მიწყივი შფოთით გარემოცული.

დამძიმებულა ყოველი ცოდვებით,  
შებლალულია გვარი და ოჯახი,  
უბედურების ავბედით წყაროს  
დაწაფებულა ჩვენი მამული.

სიმწიფეს შესულ გოგონას ოცნებად  
გადაქცევა ცეკვა იონური,  
და აღრეული ბავშვობიდან  
ბიწიერ ტრფობას დანატრებულა.


25 გარდავა ხანი, ქმრის გაშლილ ნადიმზე  
ის საყვარლების მოძებნას დაიწყებს  
და განურჩევლად ბნელ ქუთხეში  
მავანს მალულად სთავაზობს ალერსს,

ანდა აშკარად, ქმრისავე ნებართვით,  
30 აღგება, ოდეს ვაჭარი მიიხმობს,  
ან ხელგაშლილი მეხომალდე  
მუშტარი მისი უნამუსობის.

სხვა ჭილაგისა იყო ის ვაჟკაცი,  
ზღვა პუნიკური სისხლით რომ შეღება,  
35 დასცა პირქუში ჰანიბალი,  
პირუსი და მძლე ანტიოქუსი.

ის სოფლის მადლით იყო გაზრდილი,  
ხვნას მიჩვეული საბინურ წერაქვით,

დაუზარებლად რომ მიჰქონდა  
დედის ბრძანებით ნაჩეხი შეშა,



ოდეს მზე მთების ჩრდილებს დააჭურდა,  
ულლიდან დალლილ ხარებს გამოხსნიდა  
და მერმე ეტლით განშორებული  
კაცს დასვენების უამს უბოძებდა.

რას არ დააკინებს დრო შემმუსვრელი?  
აწმყო წარსულზე ბევრად უარესია,  
გზა გაგვიმრულა და ჩვენც ჩვენი მხრივ  
ვშობთ ალბათ უფრო მანქიერ მოდგმას.

### ი რ თ გ უ ლ ე ბ ა

ოი, ასტერიევ, გიგესზე რად ღვრი ცრემლს,  
პირველ გაზაფხულის ზეფირებს მოჰყვება  
ალთქმის ერთგული მამრი,  
მოზიდავს საჭურჭლეს თინურს,

იგი ქარებმა ორიკუმს დააყოვნეს,  
თხის რქის ზოდიაქომ როს გამოანათა  
და ახლა ტირილში გაჰყავს  
უძილოდ ღამენი ცივი.

აღვზნებულ მასპინძლის ცბიერმა მსახურმა  
აუწყა, რომ: „ქლოე ტრფიალით ჩამოდნა,“  
რომ „ცაცხლი ედება მისი  
და ცდილობს გაგაბას ქსელში.“

აუწყა: პრეტუსი ვერაგმა დიაცმა,  
როგორ შეაცდინა ტყუილი ბრალდებით  
და ბელერფონტის მოკვლად  
როგორ წააქეზა იგი.



ვითარ აღესრულა ლამის პელევსი,  
როს მაგნეზიელს დაუსხლტა ჰიპოლიტეს.

20 ესრეთ აგონებს იგი  
მაცდურად ნაამბობს მრავალს. **ურარცხული**  
**კიბულის გარემონა**

მაგრამ იყარუსის ლოდებზე უფრორე  
ყრუა ის, არ უსმენს ამ მიეთმოეთებს.

თვითონ შენ იყავ ფრთხილად,  
გიცქერს ენიბევსი ისე.

25 თუმც მარსის მინდორზე ვერავინ სწორფერობს,  
უბადლო მხედარს და ეგზომად ცხენკეთილს,  
ვერც ვინ გაცურავს უფრო  
უსწრაფეს ტიბრის ტალღებს,

30 მიმწუხრზე დაახშე მტკიცედ სახლის კარი  
და ნურად ჩააგდებ ფლეიტის ვედრებას,  
რამდენად გიხმობდეს მეტად,  
უფრორე უკარები გახდი.

## 8


### მ ე ც ე ნ ა ტ ი ს ა დ მ ი

ორივე ენის უბადლო მცოდნევ,  
გაკვირვებს იქნებ უცოლო კაცისგან,  
მარტის შეხვედრა ყვავილთა წნულებით  
და საქმეველით.

5 ან მწვანე კორდზე დაყრილი ნახშირი;  
გადარჩენილმა მძიმე ხის დაცემას  
ლიბერს აღვუთქვი საამო ნადიმი  
და თხის შეწირვა.

10 დღეს წელიწადის მოქცევის ზეიმზე,  
მოხადეთ ამფორას ქერქის საცობი,

შესაბოლავად ჩადგმულს ტულუსის  
კონსულობის უამს.



ო, მეცენატო, შენს დახსნილ შეტყობინებული კომიტეტის  
მომირთმევია მრავალი ფიალი;  
15 აანთე სანთელი და განუტევე  
რისხვა და ჭმუნვა.

განუდექ ქალაქს, სამეფოს საზრუნავს,  
მოისპო გარი დაკელ კოტიზონის,  
20 სისხლში იხრჩობა მიღიის ქვეყანა  
შინა ომებით.

კანტაბრელს თავზე ულელი დავადგით,  
ჩვენზე ოდითგან მოსისხლედ გამიზნულს,  
სკვითს მშეილდის ლარი ვერ მოუჭიმია,  
ორებულ იქნა.

25 ვით უზრუნველი მავანი ვინმე  
არარად დაგიდევთ ხალხის ბელ-ილბალს,  
ამ წუთის ძლვენი ისე უზრუნველად  
მიიღე შენაც!

## 9

### შ ი რ ი გ ე ბ ა

„სანამდის უტყბესად გეტრფე,  
სანამ თეთრყირმიზ ყელს ჩემზე სასურველი  
შემოგეჭდობოდა ვაჟი,  
სპარსთა მეფეზე ვიყავ ბეღნიერი!“

5 „სანამდის სხვა არა გწადდა,  
სანამდის უფრორე არც თუ ვინ გიყვარდა,  
სანამ არ მარჩიე ქლოე,  
რას დამედრებოდა თვით რეა სილვია.“

၁၄၂၃၆၂။

၁၄၂၃၆၂။



- „ქლოე დამეუფლა ახლა,  
კითარის წკრიალით ტკბილი ხმით მიგალობს,  
მე მისთვის სიკვდილი ძალმისს,  
ბედი თუ ნეტარპყოფს ჩემზოგის უსულებელის!“
- „მეც სხვას უუზიარე ვნება,  
თურნელ კალაისს, ძეს ორინტუსისას;  
15 მისთვის არად მიჩანს კვდომა,  
ბედი თუ ნეტარპყოფს ჩემთვის უსაყვარლესს.“
- „თუ ძველი დაბრუნდა ტრფობა?!
- თუ ძველებრ ვიტვირთეთ ულელი მიჯნურთა?
- განდევნილ იქნება ქლოე,  
20 და გახსნილ იქნება ბჭენი სიყვარულის.“
- „თუმც ის ეცილება ვარსკვლავთ,  
თუმც ხან მერყევი ხარ, შმაგობ ვით ჰადრია,  
მაინც უტკბესი ხარ ჩემთვის,  
მაინც შენთან ერთად მერჩია სიკვდილი!“

## 10

გახსნი კარიბევი, ლიპევი!

ლიკევ, შენ რომ სვამდე ტანაისის წყალს  
და უხეშ მეუღლეს უყოფდე სარეცელს,  
მაინც დამიტირებ ქარიან ამინდში  
შენს კარის ზღურბლთან დამხობილს.

5 გესმის, ქარაშოტი ეძგერა კარიბშეს,  
მოხატულ დარბაზთა და ჭალას გავარდი,  
მძლე იუპიტერმა ჩაპყინა ნათოვი,  
ნათელი დააღვა ყოველთა.

სიამაყე, რასაც ვერ ჰგუობს ვენუსი,  
10 განაგდე, რათა ბედი არ დაგისხლტეს ხელთ;

შენ ხომ პენელოპედ არ გზარდა შშობელმა,  
რომ გადაუდგე საქმროთა.

მუდარა და ფერხთა გაშლილი საჭურველე  
არ გათნევს, არც ფერმკრთალ მეტროეთა შეზღუდვა,  
15 არც ქმარი მეძავის ტრფიალით დამთვრალი,  
გესავ, დაგვინდო, რამეთუ

არა ხარ ურბილეს ფესვმაგარ მუხისა,  
და არცა გესლიან გველებზე მომომენი;  
უკეთუ დროულად რა გახსნი კარიბჭეს,  
20 მარტოდენ დაგხვდება წვიმა!

11

დ ა ნ ა ი დ ე ბ ი

მოგმართავ მერკურიუს, ვისი შეწევნითაც  
ამფიონმა ეგზომ უტებესი გალობით  
ლოდები შეძრა, შენც ჩემო შვიდსიმა  
ლულუნა ლირავ,

5 ოდესლაც მდუმარევ, ახლა კი სანდომოვ  
ყოველგან: მდიდართ ნადიმში და ტაძრად,  
სიმღერა მარქვი ისეთი, — მოხიბლოს  
ჯიუტი ლიდე,

10 რომელიც, ვითაც სამი წლის ფაშატი,  
უსაზღვრო ველებს კუნტრუშით მოირბენს,  
შეხებას უფრთხის და ჯერ არ უგრძვნია  
ხელი სწორფერი.

15 ვის ძალგიძს ვეფხთა და ტყეთა წარუძლვე,  
ნაკადულები მდორე წყლად აქციო,  
მოაჭადოვე საშინელ კარიბჭის  
მცველი ცერბერი,

თუმცა მას თავთა გველები ეხვია,  
ასხმარტალებდა სამკაპა ენას,  
ხახიდან ლველფს და გესლს მომაჯვდინებელს  
20 ანთხევდა მიწყივ.



თვით იქსიონს და შუბლშეკრულ ტრიტონს,  
ლიმილი მოჰვარე და კასრიც შრებოდა,  
როს დანაოსის ასულებს ხიბლავდი  
ტკბილი გალობით.

25 ახლა კი ლიდემ ქალწულთა ცოდვების  
და გამქითხავთა ამბავი ისმინოს:  
ვით ქრება წყალი იმ კასრის ძირიდან  
და ბეღისწერა

30 თვით ორკუსშიაც რომ ელის შემცოდეთ.  
უსინდისონი, რას იქმნდნენ უარესს,  
უსინდისონი, ქმარი ვით განგმირეს  
მახვილის დაკვრით!

35 მარტოდენ ერთი მრავალ ასულიდან  
გამოდგა ლირი ამ ქორწინებისა,  
განუდგა მამამისს, სამაგიეროდ  
დარჩა სახელი.

40 ქმარს უთხრა ასე: მალე გამოფხიზლდი,  
სანამ მარადი ძილი არ გწვევია,  
წამოდექ მსწრაფლად, მამაჩემს და დებს  
გადურჩე იქნებ;

ვითარც ლომები ხბოთ დააცხრებიან,  
აგრე დახოცეს, ჩემ დებმა საქმრონი,  
მე მოწყალე ვარ უფრორე, ვერ მოგკლავ,  
ვერც დაგაქავებ!

45 ვიცი ბოროტი მამა შურს იძიებს,  
რაღან გადვუდექ და ქმარი არ მოვკალ,



ან მიმაჯაჭვავს, ან ნავით ნუმიდთა  
მხარეს წამიყვანს.

50

წა, სად ქარი და ფეხები წაგიყვანს,  
სანამდე ვენუსი და მწუხრი გიფარავს,  
საფლავის ქვაზე ამოჭერ სახსოვრად  
ვარამი ჩემი.

12

### ნიობულების

ქალწულებრივ ტრფიალებას ფრთებს მოკვეცავს  
ყოველგნით მალვა,  
ვერც ზედაშე მორეცხს ჭმუნვას, თუ გადვიდეს ნების  
სამანს,  
თრთის და შფოთავს ბიძის შიშით.

5

ნეობულევ, შენ კალათას კითერეას ვაჟი გართმევს,  
და ლიპარელ ჰებრუსის ხიბლს ვააყოლე თან მინერვას  
ხელმარჯვობით მოქარგული.

ოდეს იგი გაპოხილი ტიბერის წყლით ტანს განიბანს  
ბელერეფონტს სჭობნის ღოღში, ფეხმალია უკეთესი,  
უძლეველი არის კრივში.

10

მტყორცნელია მქლავმაგარი, თუ ჰოროლზე მიღვა  
საქმე,  
ოდეს ირმის მხდალი ჭოგი მინდორ-ველზე გაიშლება,  
ან ფშანიდან ტახს ააგდებს.


13

### ჭყაროს


ბანდუზიის წყაროვ, წმინდა და კამქაშავ,  
დამტკბარ ზედაშესთან და უვავილებთან ერთად,

ԱՐՄԵՆԻԱ  
ՅՈՒՆԱԿԱՆԱ





ნორჩი რქებით შუბლაბურცულს  
ხვალ შემოგწირავენ თიკანს,



- 5 გამოზრდილს მთათ ლაღად შეფენილ ფარაში,  
სიყვარულს და რქათა ჯახანს რომ გვპირდება,  
მაგრამ ნაპირებს შენსას  
ჩარეცხავს ხვალ თბილი სისხლით.

- 10 და ვერდა დაგაშრობს მცხუნვარე ზაფხული,  
სანდომო სიგრილეს მოუტან ყვავილთა,  
დაამწყურვალებ ჯოგებს  
და ხარებს დაქანცულს ულლით.

- 15 ყველა სხვა წყაროზე ცნობილი გახდები,  
რომ მუხას ვუმღერებ იმ კლდეზე ამოსულს,  
სით მიიქცევა შენი  
ტკბილად მორაკრაკე ჩქერი.

## 14

### დღე გამარჯვებისა

რომაელებო, ის, ვინც დაფნის გვირგვინს  
ჰერკულესისებრ სიცოცხლეს სწირავდა,  
დღეს ისპანიით უკუშემოიქცა  
გამარჯვებული.

- 5 დე, წინ შემოხვდეს დაქანცულს მეუღლე,  
ღმერთთათვის უხვი ზვარავის მომტანი,  
დე, შეეგებნონ კოხტად მოკაზმული  
სპასპეტის დაი

- 10 და გადარჩენილ მოყმეთა დედები.  
განათხოვარო, კეკელა ქალებო,  
გოგო-ბიჭებო, ჭარტალა ენები  
დაზოგეთ ახლა.

ამ ზეიშის დღემ დაე, განმაშოროს  
შავი ფიქრები ჭანყასა და სიკვდილზე,  
15 რაკი კეისარი ამიერიდან  
მართავს ქვეყანას.

## ურმაცხული პირული მომ

ბალზამ-გვირგვინი მოგვაროვი, ყრმავ, სწრაფად  
მარსებთან ომის დროინდელი ღვინოც,  
თუკი გადაურჩა სპარტაკის ყიალს,  
20 გამოაყოლე!

მომღერალ ნეერას ეზრახე იჩქაროს,  
სურნელოვანი დალალი აქრიფონ  
და თუ მექარის მიზეზით შეფერხდა,  
— ჩამოეცალე!

25 მხცოვანის სული სიმშვიდით ნეტარებს,  
ერთდროს ჩხუბის და სისხლისღვრის მოთავე,  
მე, პლანკუსის დროს ფიცხელი ყრმა ვიუავ.  
არარას ვთმობდი!

15

## ძლი ის სა

ლარიბ იბიკუსის ცოლო,  
დროა განასრულო ეგ ურცხვი მრუშობა,  
არ შეგფერს, დიაცო, სიძვა,  
ესრეთ მიახლოებულს სიკვდილის სარეცელს

5 და ლხინი ქალწულთა შორის,  
შეწყვიტე ღრუბლებით ვარსკვლავთ დაჩრდილვა  
რაც რომ ფოლოეს შეჰვერს,  
შენ, ქლორისს, არ შეგფერს და აღარც გიხდება.

10 ვგ გოგო ქარს უმტვრევს ჭაბუქთ,  
ვითარცა ტიმპანით აღგზნებული თიიასი,

აღძრული ნოთუსის ტრფობით  
დახტის და კუნტრუშებს გარეულ თხესავით.

## ერმოვნული

დღეს შენ ლუკერიის შალი  
შეგფერს, ბებრუხუნავ, და არა კითხული  
15 ანდა მეწამული ვარდი,  
ან ღვინის დოქების ბოლომდე გამოცლა.

16

### უძლებ არს მდიდართა სიმდიდრე

რვალის ციხე-ქოშის ნაწილობი ურდული,  
მიჩენილ ძილფხიზელ ქოფაკთა ღავლავი  
და მცველი პირქუში ხელს მოუცარავდა  
დანაეს ღამეულ მეტრფეთ.

5 მაგრამ აკრისიუსს, ქალწულის გამხიზვნელს,  
დასცინა ვენუსმა და იუპიტერმა,  
და ოქროდ გარდაქმნილ ღმერთის წინარე  
ყოველთა განიხვნა ბჭენი.


10 ოქროებს დარაჯთა ქისები იცნობენ,  
კლდეებსაც დახეთქავს ელვარე დაცემით,  
არგოსში ფრინველთმისანის სასახლეც  
მანვე ჩააქცია სრულად.

15 საჭურჭლით აღილო ბჭენი ქალაქების,  
ორგულად ქუცულად მეფეთა მსახურებს  
მაკედონელი, ხომალდთა წინამძლოლთაც  
მზაკვრულად ათნევთ ოქრო.

20 ქონებას თან დასდევს მოხვევის სურვილი!  
შენ იცი, მეცენატო, მხედართა მშვენებავ,  
რომ წარმოჩინებას ვერიდებოდი,  
არ მიყვარს აღერება თავის!

მიწიერს, რამდენად თვითონვე შეტს დათმობს,  
იმდენად უხვად სდევს ღმერთების წყალობა.  
შიშველი მიველტვი არმქონთა ბანაკებს  
შეტად მსურს, გადავუდგე შფილრებს!

- 25 უმცირეს მამულთა მქნა მორკმით მფლობელი,  
ეს მიჯობს, ვიდრე თქვან, რომ ვმალავ ბელლებში  
მონაგარს აპულიელ გამრჩე კაცისას,  
ისედაც სხვებზე მდიდარი.
- 30 წყაროს წმინდა წყალი, მცირე ტყე შრიალა,  
და დიდი იმედი ხვავრიელ მოსავლის  
უფრორე მხიბლავს, ვიდრე რომ ვმბძანებლობდე  
ნოჟიერ აფრიკის მიწას.
- 35 თუმც კალაბრიის ფუტკარი არა მყავს,  
ღვინოც არ მიხეთქავს ლესტრიგონულ ღოქებს,  
არც ცხვარი დამიდის უშტი და უშქარი  
საძოვრად გალების მინდვრად.
- 40 მაგრამ არც ლატაჭთა მარაჭას ვეკუთვნი,  
შენ არ დამიკავებ მეტიც რომ ვისურვო;  
გარნა არ ჯობია მოვთოკო წადილი,  
მცირედით ვიცხოვრო ლალად,
- ვიდრე ალიატეს სამეფოს მფლობელმა  
შემოვიერთო მინდვრები მიგდონიის  
რასაც გვიბრძანებს ღმერთი ის ვიკმართ!  
მსურველს ბევრის, აკლია ბევრიც!



რომ მისგან იწყო დასაბამი  
ლამიას მთელმა შთამომავლობამ,

5 ახლა შენ ხარ იმ გვარის მემკვიდრე,  
ფორმიეს გოდოლი, ვინც პირველ აიღო  
მორჭმით, სვიანად მეუფებდა  
ლირისის წყალზე მარიკას ნაპირს.

10 ხვალ ქარიშხალი ფორტებს და ზღვის ბალახს  
მოხვეტს და მერმე ჭალებში დაფანტავს,  
თუ არ მატყუებს, მოსალოდნელ  
წვიმაზე ჩხავის ბებერი ყვავი.

15 სანამდის დროა ხმელ ფიჩხზე იზრუნე,  
ხვალინდელ დღეს კი კერიის ღვთაებას  
ორი თვის გოჭით და ზედაშით  
მსახურთან ერთად დასდე პატივი.

### ფავნუსის ზეიმი

ფავნუსო, მფრთხალი ნიმფების ტრფიალო,  
ოდეს ჩაიკლი მზით გამთბარ ჩემს მამულს,  
შენი მოწყალე თვალი გადაავლე  
ჩემს მცირე ნახირს.

5 რამეთუ თიკანს დაგიკლავთ ზვარაკად,  
ვენუსის ჭამსაც ხომ ღვინით აგივსებთ,  
და აბოლდება საამო სურნელით  
საკურთხეველი.

10 როს მოიქცევა დეკემბრის ნონები,  
კუნტრუშობს ფარა მინდორზე გაშლილი,  
ხარებთან ერთად ისვენებს მდელოზე  
მთელი სოფელი.

მგელიც ფარაში უშიშრად ძუნძულებს,  
15 ტყე გიფენს ველებზე საამო სიმწვანეს,  
სამგზის ფეხს ურტყამს საძულველი მუჭათები  
და ხარობს მხვნელი.

19.

### ტ ე ლ ე ფ უ ს ს

ჰყვები: კოდრუსს რა აშორებს  
ინაქუსს და ვითარ დადო თავი ქვეყნისათვის,  
ან ეაკუსის ჯილაგზე  
და წმინდა ილიონს გადახდილ ბრძოლებზე,


5 არათერს მარქმევ იმაზე,  
რა ფასად ვყიდულობ ხელადა ქიოსურს,  
წყალს ვინ შეათბობს ცეცხლისპირს,  
ვინ შემიფარებს და ამაცლებს სიცივეს.

10 მოყმევ, გამივსე სასმისი  
მურენას, მთოვარის და მწუხრის სმური ვთქვა,  
კათხაში სამი სარწყული,  
ან სამჯერ სამი ჩამისხი ღვინო.

15 იგი ვინც ეტრფის დებს-მუზებს,  
მგოსანია, ლალად ცხრა სარწყულს თხოულობს;  
მაგრამ შიშველ დებს ჩაკრული  
გრაცია მთვრალების ყაყანს ერიდება

და შიშის გამო სამზე მეტს კრძალავს.  
მე თავდავიწყების ზმანება მანარებს,  
რად დუმს ბერეკინთიული ბუკი?  
20 რად აცლენთ მდუმარედ ჩანგსა და სალამურს?

მძულს დაზოგილი მარჯვენა,  
დამთოვეთ ვარდებით, ბებერი ლიქუსი



## ეროვნული კულტურული

და მეზობელი იმისი  
დე, შეაწუხოს გიურჩა ხმაურჩა.

- 25 თმახუჭუჭა ტელეფუსო,  
უღრუბლო და მშვიდი საღამოს სურვილენი  
შენ როდე ღროული გიხმობს,  
მე კი მწვავს გლიკერას ტრფიალების ცეცხლი!

20

### პირუსს

ვერ ხედავ, პირუს, საფრთხეში თავს იგდებ,  
მძვინვარე ძუ ლომის ლეკვს რომ ეხები?  
სულ მაღე შიშით დატოვებ ბრძოლას  
მიმტაცებელი,

- 5 როს გაშმაგებით ყრმათა ბრბოს გაარღვევს  
და უკუ მოითხოვს ლამაზ ნეარქეს;  
ვინ უწყის ვისი ხვედრი იქნება  
ბრძოლის ნადავლი.

- 10 სანამ შენ კაპარჭით ისართ ამოიღებ,  
სანამ ის საზარელ კბილებს ალესავს,  
ამბობენ, რომ თქვენი ბრძოლის მიზეზმა  
პალმის რტოს დასდგა

- 15 შიშველი ფეხი და ქროლვით იგრილებს  
მხრებს, სურნელოვანი თმებით დაფენილს,  
ნირევის სწორი, ან იმის, ვინც იდის  
მთით მოიტაცეს.

21

### სველი ხელადა

ჩემო ხელადავ, მანლიუსის ღროს  
ამა ქვეყანას ერთად მოვევლინეთ.

სულ ერთი არის, შენ რას იტევ,

ხუმრობას, ტრფობას, ლაღ სეზმრებს.

5 რაოდენ შორსაც არ უნდა დაგმალონ,  
ფაქიზ მასიკურს დღე ელის ჩჩეული!  
კორვინუსმა ბრძანა, ხელადავ,  
რომ უძველესი ღვინო მოგვართვა.


10 თუმც ეზიარა სოკრატეს მოძღვრებას,  
შენზე უარის თქმას არაა ჩვეული;  
უბნობენ, თითქოს თვით კატონის  
სიქველეც ხშირად თბებოდა ღვინით.

15 მკაცრი გონებაც შეიცნობს სმურების  
ძალდატანებით საამო მოწოლას,  
გარეთ გამოგაქვს ყოველივე,  
ბრძენკაცთა განსჯა და ჩუმი ხვედრი.

20 სასოწარკვეთილს შენ იმედს აღუძრავ,  
გლახას ამხნევებ და აკაღნიერებ,  
აღარ უფრთხიან ნასმურები  
აღარც მეფეს და აღარც სპარაზენს.

გახლდეს ლიბერი და ლალი ვენუსი,  
ჩაკონებული ნაზი გრაციები  
და ჩირალდანიც მანამდე გვენთოს,  
სანამ ფებუსი გაფანტავს ვარსკვლავთ!

სამსახოვანო ქალწულო, ღმერთქალო,  
რომელიც უვლი მთებსა და ჭიუხებს,  
მშობიარ ქალებს მხსნელად ევლინები  
სამჯერ თუ გიხმეს.



5 სავანეს ჩემსას ფიჭვი რომ მეზრდება,  
დე, შენი იყოს, წლის ყოველ მოქცევას,  
მოგირწყავ, ფერდში დანას რომ მოელის,  
იმ ტახის სისხლით.

23

### ფიდილეს

ახალ მთვარეზე, ბეჭითო ფიდილევ,  
თუ სასოებით აღაპყრობ ზე ხელებს  
და მხურვალედ შესთხოვ წყალობას  
ოჯახის ლარებს საკმევლის კმევით,

5 წლევანდელ ნაყოფით და ხარბი ნეზვით,  
მაშინ ვენახი ვერ იგრძნობს ზენა ქარს,  
უნაყოფობას ნათესები  
და ვერც ბატყანი — წელიწადის სუსხს.

10 რაიც კი თოვლიან ალგიდუს თელიანში  
და მუხიანში გაშლილა ზვარაკი,  
რაც — ალბას ველზე, იგი ყველა  
ქურუმთა ნაჯახს შეღებავს სისხლით.

15 შენ არ გჭირდება მცირე ღმერთთ სამსხვერპლოდ  
ურიცხვი ხვასტაგი დაუქლა და თანაც  
უხვად შეამკო როზმარინით  
და კვალად მირტის ლორთქო რტოებით.

20 თუ წმინდა ხელი შეეხო სამსხვერპლოს,  
გამწყრალ პენატებს ნაკლებ არ დააცხრობს  
ხორბალის და მარილის კვნიტით,  
ვიდრე უხვი და ძვირფასი მსწვერპლით.



რას ვაძნობთ მარტოდენ კანონებს

**ურმილესი**

იყავ ინდოთა საუნჯის,  
არაბთა ხელუხლებ საჭურულის ჟაფრონი,  
სრა-დარბაზებით მოპფინე  
ხმელი და ყოველთა კუთვნილი ზღვის სივრცე,

5 თუ ბედისწერა სასტიკი  
უმაღლეს მწვერვალებს მიაჭდობს სოლებს,  
სულს ვერლა იხსნი შიშისგან,  
თავს ვერლა დააღწევ სიკვდილის ქამანდებს.

10 უფრო ბედნიერად ცხოვრობს  
სკვითი, ვინც საყუდარს ურმით დაათრევს,  
ანდა ჭიქური გეტები,  
რომელნიც შეზრდიან ველების სამანებს,

15 იმკიან ხვავრიელ ჭირნახულს,  
მაგრამ ერთ წელზე მეტს როდი იშრომებენ,  
ჭაფით დალლილებს უთუოდ  
შემდეგ წელს შეცვლიან მემკვიდრეები.

მუდამდღე ზრუნავს სათუთად  
იქ დედინაცვალი საკუთარ გერებზე,  
მეუღლე არ სდევს საყვარლებს,  
ქმარზე არ ბატონობს მღიღრულად ნამზითვი.

მჩითევი — მშობლის ხარკია,  
ერთგულ სიყვარულს რომ უმაგრებს საფუძველს,  
გამრიდებელი სხვა ქმრისგან,  
რამეთუ ღალატი იქ სიკვდილს სწორფერობს.

25 ო, ვინ აღუდგეს წინარე  
გულარძნილ მკვლელობას და ხვანჯებს შინაურს?



„ქალაქთა მამის“ სახელი  
ვისაც სურს, ქანდაკზე რომ ამოუკვეთონ,

## ურარცხული

მან უნდა აღკვეთოს თავნებობა .  
და შთამომავლობაც მიუზღავს ცალკეული გარებების  
უკანონობავ სოფლისა,  
ჯერ ვდევნით ქველ გმირებს, მერმე კი  
მოვუხმობთ,

რასა იქმს მოთქმა მწუხარე,  
თუ ვერდა მოვკვეცავთ ცოდვათა მიზეზებს?

35 რას ვაქნევთ მარტო კანონებს,  
თვინიერ უწვინდეს ზე-ჩვეულებათა,

თუ ცხელი ნაწილი ქვეყნის,  
ანდა ჩრდილოეთით მდებარე მხარენი,  
სად ყინვად იქცევა თოვლი,  
40 ვეღარ აყავებენ ვაჭართ და მეზღვაურთ,

ხერხით რომ იპყრობენ ზღვის ტალღებს?  
ო, მკოდოვანება, სირცხვილად ქვეული.  
ბრძანებს ყოვლის თმენასა და ქმნას,  
და მკაცრი სიქველის გზას გვატოვებინებს!

45 კაპიტოლიუმს ვეახლოთ,  
სრთ გვიხმობს ზარი და ყიუინი ხალხისა,  
თუ წყალს გავატანოთ იქნებ  
ძვირფასი თვლები და ოქროს ზოდები,

50 მიზეზი დიდთა ზაკვათა;  
გულწრფელად თუ ენანობთ საკუთარ ცოდვებს  
ჩვენ

უნდა ძირშივე მოვკვეთოთ  
დამლუპველ ვნებათა ყოველი საწყისი,

დაბინდებული გონება  
უმკაცრეს სწავლებით და წურთვნით განათლდეს!

კეთილშობილი ყმა ახლა

ცხენზე ვერ შემჯდარა და ნადირს გაურბის,

ბერძნულ რგოლს მარჯვედ კი აქნევს  რ 36 ული  
კანონით აკრძალულ კამათლებში ზოგადი მამამისი კი სტუმართა

და მოკავშირეთა ატყუებს ხვანჯებით,

მემკვიდრისათვის ცოდვილობს,

სიმდიდრეს ყოველმხრივ სულხარბად აცხრება,  
საჭურჭლე მისი მატულობს,

ვერდა კი გავიგე, რაღად ვერ ძლება?

## 25

## გ ა ხ უ ს ს

სით გამიტაცებ, ბახუსო,

რომელსა მღვიმეს, ან ჭალას ფრთაშესხმულს,  
ალსავსეს ახალი განცდებით?

რომელ ქვაბს მიწვდება სიმღერა ჩემი?

ლომერთთა და ვარსკვლავთა კრებულს

ხოტბა ალვუელინო მწალს დიდი კეისრის:  
ჯერ რომ არ თქმულა ისეთი,  
გამოჩინებული ვთქვა საგალობელი.

ვით თრაკიელი ევპია

10 მთებიდან დასცერის დათოვლილ თრაკიას  
და ბარბაროსის გაქელილს  
თვალწარმტაც როდოპეს ფერდობს და  
ჰებრუსაც.

მოხეტიალეს იმგვარად

მახარებს ჭვრეტა უდაბური ჭალის.

მბრძანებელო, ნაიადების

და იფანთა მგლეჯ ბაქელებისა!

წარმავალზე და არარაობაზე,  
ან მარტივ პანგებით არასდროს ვიმღერებ;

ტებილი საფრთხე არს, ლენევსო,  
როს ვაზის ფოთლებით თავშემჭულა — მრადებულება  
ლშერთს.

20

26

### ვინუს ანუ განიარაღია

დიღხანს ვიყავი სანდომო ქალწულთა,  
ვიბრძოდი მათთან, დიღებას ვიმკიდი,  
ახლა იარაღს ომგადაწდილს  
და ლირას იმავ კედელზე ვეიღებ,

5 რომელიც ვენუსის ხატის მცველია.  
აქეთ, აქ დადგით ნათელი ლამპარი,  
ბერჟეტები და ჩემი მშვილდი,  
მტკიცედ ჩარაზულ კართა მმტვრევილი.

10 ოი, ქალლმერთო, კვიპროსის სავანეს,  
კვლავად უთოვლო მემფისის მფობელო,  
ქედმალალ ქლოეს, დედუფალო,  
ერთხელაც ჩემთვის შეახე შოლტი.

27

### გალატიას

დე, მზაქვარს ავი ნიშანი ენიშნოს:  
მაკე ძალლი, ან დამფრთხალი ძუმგელი,  
ან ყვავ-ყორნის ჩხავილი წარუძღვეს,  
ან მაკე მელა;

5 თავს დაუაროს გველმა გზად მიმავალს,  
ცხენი დაუფრთხოს შარაზე განრთხმულმა!

ნათელმხილველი და სირთა მჩხიბავი  
ვილოცებ მასზე,



## ურთისესები

ვისთვისაც ვშიშობ და ყორანს ლოცვებით  
აღმოსავლეთიდან მოეუხმობ, სანადის  
ჭაობს მიაღწევს სამისნო ფრინველი —  
მაცნე წვიმისა.

ო, გალატეა, იყავ ბედნიერი,  
სადაც იცხოვრებ, გახსოვდე ოღონდაც,  
15 გზაზე დამდგარს ნურც როს შემოგეყაროს  
შავი ყორანი.

შეხე, ვით გრგვინავს მწუხრის ორიონი;  
ადრიატიკის მღვრიე მორევი,  
მატყუარაა ტატნობის ნათელიც  
20 ამოჭრილ ქარში.

დე, დიაცებმა და მტერთა წვერილშვილმა  
შეიგრძნოს მძლავრი ქარების გრიალი,  
მღვრიე ზღვის გრგვინვა და ტალლის დაცემით  
ნაპირთა დრეკა.

25 იმგვარად, ვითარც ევროპემ მუხთალ ხარს  
ანდო თავისი თოვლივით სხეული,  
და ზღვის ურჩხულთა, საშინელებათა  
შიშით გაფითრდა.

30 წელან ყვავილთა მდელოზე გართული  
ნიმფებისათვის გვირგვინთა დაწვნაში,  
ახლა წყლისა და ვარსკვლავთა თვინიერ  
ვერრას ხედავდა.

ვითარც კი მიადგა ასი ქალაქით  
გაძლიერებულ კრეტას, შესძახა:



35 „ო, მამაჩემო, ქალწულის სახელო,  
ვით დაითრგუნეთ!

სადაურს საით წაიყვან სოფელო  
ქალის ცოდვისთვის ცოტაა სიკვდილი,  
ცხადში დაეტირი საკუთარ ბედ-ილბალს,  
40 მე უბედური,

თუ გამობრძანდა სპილოსძვლის კარიბჭით  
და სიზმართხილვა დამცინის უბიშოს,  
გარნა ტალღებზე თამაში მიჯობდა  
ყვავილთა კრეფას?

45 ვინმემ რომ ახლა ის ხარი მაჩვენოს,  
განრისხებული შანთებით ვაწამებ,  
იმ რქებს დავამტვრევ, წელან აგრერიგად  
მე რომ მხიბლავდა.

50 რა უსირცხვილოდ მოვშორდი პენატებს,  
რა უსირცხვილოდ სიკვდილს ვაგვიანებ,  
თუ მისმენ, ლმერთო, მშიერ ლომებთან  
ჩამაგდე საღმე.

55 მსურს სანამ ჩემი ლაწვები ვარდობენ,  
სანამდის სალუქ სხეულის სისავსეს  
ნაოჭი შეცვლის, მძვინვარე ვეფხვების  
წერა შევიქმნე.

60 შორიდან თითქოს მამის წმა ჩამესმის:  
— ბარემ მომიკვდი, აგერ იმ იფანზე  
შენი ფრიალა სარტყელი შეაბი,  
და აღესრულე!

იქნება ბასრ ქვებზე დაცემას სურვილობ,  
წა, არ გიხილო, ქარაშოტს გაჰყევი!

იქნება ბატონის შალი გსურს დართო  
· მეფის ასულმა



- 65 და მძევალივით ვითარც სეფექალი  
ამაყ ქალბატონს ემსახურებოდე? კ  
მტირალს უცემოდა და დასცინოდა  
ვენუსი ძითურთ,
- 70 უთხრა, სიცილით გული რომ იჯერა:  
„დაიცხრე რისხვა და ბრძოლის სურვილი,  
ოდეს ის ხარი მორჩილად მოგიშვერს  
რქებს დასაგლეჭად.
- 75 პელიოერების დახვედრა ისწავლე,  
იუპიტერის მეუღლე გამხდარხარ,  
რაღას ტირიხარ, შენს სახელს დაირქმევა  
ქვეყნის ნაწილი!“

28

### ნეპტუნუსის ზეიმზე

გარჩა უკეთესს რაჲა ვიქმ  
ნეპტუნუსის დღეს? მომართვი, ლილევ,  
გადანახული ზედაშე  
და ნულარ ეცდები განსაჭო ყოველი.

- 5 ხედავ, დღე მწუხრმა მოქვეცა,  
შენ ისე ახანებ, მოხალო ამფორას  
ბიბულუსის დროს შენახულს,  
თითქოსდა შეჩერდა დღის მწუხრად მიქცევა.
- 10 მო, სათითაოდ ვუმღეროთ  
ნერეიდების დალალებს, ნეპტუნუსს,  
შენ ლირით უთხარ აზმანი  
ლატონას და უმარდესი კინთიას ისრებს.

ბოლო სიმღერა მისია

- კნიდოსს და კიკლადებს რომელი მფლობელობს,  
15 ვინ პატოსს გედებით სწვდება;  
ლამესაც ლირსი გალობა მივუძღვრაჲ.

29

### მ ე ც ე ნ ა ტ ს

შთამომავალო ტირენელ მეფეთა,  
შენთვის ვინახავ უძველეს ზედაშეს,  
აბრიალებულ ვარდის რტოებს,  
თმისთვის და წნეხილ რტოს სურნელოვანს.


- 5 ო, მეცენატო, განიხსენ საბელი  
მიჯნურობის და ნუ ეტროფიალები  
ეფულას მინდვრებს, ნურცა ტიბურს,  
ნურც მამის მკვლელი ტელეგონეს ქედს.

- 10 ზიზღით დააგდე სიმდიდრე ურიცხვი,  
ცად ატყორცნილი დატოვე სასახლე,  
გეყოფა ტებობა კვამლით, განძით  
და ქრიამულით ბედნიერ რომის.

- 15 ცვალებადობა მდიდარ ხალხს ახარებს,  
მოკრძალებული ღარიბის სადილი,  
ფარჩეულის და ძოშის თვინიერ,  
გაგიხსნის ნაოჭს დაღარულ შუბლზე.

- 20 მამა ცად ალიგზნო ანდრომედასი,  
შემზარავ ლომის ვარსკვლავი ბრდლვიალებს,  
ცეცხლს ყრის მრისხანე პროკიონი,  
მზეს კი მცხუნვარე დღეები მოაქვს.

მდორედ მიმავალ ფარას წინ მიუძღვის  
მწყემსი ჩრდილის და წყაროს ძებნაში,



სილვანუსის ტყეს და წყლის ნაპირს  
შეავიც კი არ ელამუნება.

## ეროვნული

- 25 შენ კი კვლავდაქვლავ სამეფოს საქმეთა  
ბჭობ და გალელევებს რომის ბეჭ-ილიალი,  
თუ რას უპირებენ მას სერნი,  
ტანაისი და ან კიდევ ბაქტრია,
- 30 რომელსაც უწინ კირისი მართავდა.  
წინგამხედავი ღმერთი ბნელ ბურუსით  
ფარავს მომავალს და იცინის,  
თუ კაცი მას იქმს, რაც არ უნდა ქმნას!
- 35 გახსოვდეს, აწყოს უნდა მოუარო,  
რამეთუ სხვათა წალეკავს მდინარე,  
ხან რომ დამცხრალი მიღუდუნებს  
და შეერთება ზღვასა ეტრუსკულს;
- 40 ხან კი მორღვეულ ლოდების გორებით  
ხეასტაგს და მორებს მორევში ჩახერგავს,  
წალეკავს სახლებს და ღრიალით  
აყრუებს მთებში შეხიზნულ ტყეებს,
- 45 როს წყალუხვობა დაურღვევს სიმშვიდეს  
და მის წყნარ დინებებს ააბობოქრებს.  
დღევანდელი დღით კმაყოფილი  
თუ არის კაცი, მას ძალუს გვითხრას:
- 50 „ვიცხოვრე! ხეალე, გინდ, შავმა ღრუბელმა,  
გინდ, ნათელმა მზემ დაფაროს ცარგვალი  
ვერ წაიშალოს ის, რაც იყო,  
რაც წარიტაცა სრბოლაშ უამისა!“

მიწყივ ანაცვლებს წარმავალ პატივს  
ხან ჩემთვის, ხანაც სხვისთვის განკუთვნილს.

სანამ ჩემთან არს, ვუმლერი აზმანთა,  
თუ გაფრინდება, წარიღოს ყოველი შემოსილება  
55 კვლავ სიმამაცით აღვიჭურვო,  
პატიოსანი ლუკმა ვეძიო.

მე არც შემფერის მუხლი დავიტყაო,  
როს ქარბორბალა აზძას მიეხლება  
და ლოცვა იმად აღვავლინო,  
60 რომ ზღვამ წვასტავი არ წარიტაცოს.

ოდეს თვინიერს განგება მიფარავს,  
შორს დამრჩეს საფრთხე ორნიჩბა ნავში მჯდომს;  
წამილებს ზღვასა ეგეოსის  
ნავი და ესრეთ ტყუპი პოლუქსი.

30

### ძ ე ბ ლ ი


უმტკიცეს რვალისა ალვიგე მე ძეგლი,  
არს იგი უმაღლეს მეფეურ პირამიდთა,  
ო, მისი დანგრევა არც წვიმას საშინელს,  
არც წელთა სიავეს და სრბოლას უამისას,


5 არც შმაგად მქროლვარე აქეილონს არ ძალუძო.  
აწ ვეღარ მომიცვას სიკვდილმა ერთიან,  
მეტწილ განვარიდე თავი ლიბიტინას;  
მერმისში აღვდგები მე ხოტბაშესხმული  
მარადუამს, ვიდრემდის კი კაპიტოლიუმს  
10 ქურუმი, მღუმარე ქალწულით აივლის,  
მე მომისხენებენ: — სად მოჰქუს ავფილუს,  
სად მიწისმხენელებზე დავნუსმა იმეფა,

მდინარეობდ ნაშობი განდიდლა უაღრეს.

პირველმა გარდავქმენ ეოლელთ სიმღერა

რომაულ კილოზე, ლირს მყავ მეტყომენებ  
და თავი დელფოსური დაფნით შემომუშავების გარეშე





ვენუსო, დამინდე

ვენუსო, ნუთუ კვლავ გინდა,  
რომ ისევ განახლდეს დამცხრალი ბრძოლები,  
ოდეს მბრძანებლად მყავდა  
ტურფა კინარა; ის არ ვარ, დამინდე!

- 5 შეწყვიტე, ვნებათა დედავ,  
ცლუნება ხუთ ათწლედს მიღწეულ მამრისა:  
განვედი ჩემგან და ყური  
მიუგდე, სით გიხმობს ჭაბუქთა ვედრება.
- 10 გვდებმა მეწამული ფრთებით  
გიჯობს პაულუსის სახლად წარგიტაცონ,  
თუ გაქვს სურვილი მწველი,  
რომ გულს ვნებით სავსეს ცეცხლი შეუნთო.
- 15 რამეთუ ლამაზი მოყმე,  
კეთილშობილი და განმკითხი შემცოდეთ,  
ასი ხელოვნების მცოდნე  
შორს ააფრიალებს საბრძოლო შენს დროშას.
- 20 ოდეს აღზევდება იგი  
ხელგაშლით საჩუქრების მფანტავ მეტოქეზე,  
მაშინ ალბანუსის ტბასთან  
ლიმონის რტოებს ქვეშ ქანდაკს აღგიმართავს.
- საკმეველს ისუნთქავ მიწყივ,  
გაგართობს გალობა შენ აყოლებული



ბერეკინთულ ფლეიტაზე,  
სალამურისა და ტკბილ ჩანგის ხმებზე.


- 25 ღიდების შენის მეხოტბე  
ჭაბუქები, მწყაზარ ქალწულებთან ერთად,  
სალიებივით დღეში ორჯერ  
სამგზისად თეთრ ფეხებს ურტყამენ მიწაზე
- 30 აღარ მსურს არც ყრმა, არც ქალი,  
აღარც სულის ზიარს მიველტვი სიყვარულს,  
არც შუმი მახარებს ღვინო,  
აღარც საფეთქელთა შემკობა გვირგვინით,
- 35 მაგრამ, ო, ლიგურინუსო,  
ხანდახან ღაწვებს ცრემლი რად მისველებს?  
ანდა მჰევრმეტყველი ენა  
რისთვის მინებდება ღუმილს უსახელოს?
- 40 ლამეულ სიზმრებში ტკბილად  
გეხვევი, ან ეგზომ ჯიუტსა და ფეხმარდს  
მიგდევ მწვანე ველზე მარსის,  
ან კიდევ უსწრაფეს მდინარის ზვირთებში.

## 2

### გელი და ფუტკარი

შენ, იულუსო, პინდარეს მეტოქე  
განწირულ საქმეს იქმს დედალუსისას:  
აფრინდეს ზეცად სანთლის ფრთებით და ზღვას  
სახელი მისცეს!

- 5 პინდარე ნაკადს მთით მდინარს სწორფერობს,  
რომელიც წვიმით გავსილი იმძლავრებს  
უძირო ხევში მოსჩქეფს და ნაპირთა  
წალეკავს ყოველს.



აპოლონისეულ დაფნის ლირსია:

10 თუ ახლებურად დითირამბს იმღერებს,  
ან შეხსნის ლექსთა კანონის არტახებს  
და გაინავარდებს;

კონცენტრი

15 აზმანს უგალობს: ღმერთთა და მეფეთა  
და იმათ ჯილაგს, ვინაც რომ ჩახოცა  
კენტავრები და ჩაახშო საშიში  
ქიმერას ღველფი;

20 ანდა თუ უმღერს მძლეს კრივში, ან დოლში,  
ვისაც ელიდის პალმა შინ აბრუნებს,  
ას ძეგლზე უმჯობეს მიაგებს საჩუქარს  
ლირსეულ ვაჟკაცს.

ან პატარძალთან ერთად იგლოვებს  
ცხედარს მოყმისას და ცამდე აიყვანს  
მის სულს, უკვდავყოფს ვაჟკაცის გმირობას,  
აწბილებს სიკვდილს.


25 დირკეს გედს მსუბუქად ალაფრენს ქროლა,  
როცა კი ღრუბელთ მიწვდომას ისურვებს;  
მე კი ვითარც ფუსტუსა ფუტკარი  
მატინუსისა,

30 ტიბურის ირგვლივ მდელოს ყვავილოვანს  
თავს რომ დაფარფატებს ტკბილი თაფლისთვის  
ესოდენ ჯაფით, არცა თუ სრულქმნილი ვთხზავ,  
ნაწვალებ ლექსთა.

35 შეუთხზე, პოეტო, დიდი სიმღერა  
კეისარს, ლირსეული გვირგვინით შემქულს  
როცა ამოათრევს თავხედ სიგამბრებს  
აქ — წმინდა ბორცვზე.

მასზე უკეთესი არც ღმერთებს, არც ბედს  
არ უბოძებიათ დედამიწისთვის,

ვერც უბოძებენ, ოქროს საუკუნიც  
რომ შემოიქცეს!



მხიარულ დღეთა უთხარი სიმღერა,  
დიდ ავგუსტუსის ლალად დაბრუნებულ,  
ხალხის თამაშს და ფორუმის კედლებში  
დავის აღკვეთას.

მაშინ, თუ ვიტყვი მოსმენად ღირსეულს,  
შევხვდები კეისარს, მე ბედნიერი  
შევძახებ ესრეთ: ო, უბრწყინვალესო,  
სახოტბო მზეო!“

„დიდება ტრიუმფს“, — იხუვლებს ყოველი,  
„დიდება ტრიუმფს!“ — დავძახებთ მრავალგზის,  
საქმეველს ვუქმევთ ჩვენს კეთილმოწყალე  
ღმერთების კრებულს!

შენ ათი ხარი და ძროხაც ამდენი  
გეყოფა ზვარაკად, მე კი შევწირავ  
მწვანე მდელოზე კუნტრუშით მოულლელ  
ჩემს ალთქმულ მოზვერს,

წაბლისფერს, რომელიც შუბლზე ნიშანს  
ატარებს მოხდენილ მთოვარის მსგავსად,  
ოდეს ის მესამედ აღმოსვლის შემდეგ  
გამობრწყინდება.

შობის უამს, შენ, მელპომენევ,  
ვაუკაცს თუ კეთილ მზერას გაადევნებ,  
მას ვერც ისთმოსური კრივი,  
ვერც სრბოლა — მარულა აქეურ ეტლით

၁၆၂၃၅၂၀  
၂၀၂၄၊ မြန်မာ



၁၆၂၃၅၂၀

5 ვერ მოგვრის დიდების სახელს;  
ვერც კაპიტოლიუმს მიაღწევს ტრაუმიფით,  
ვითარცა სპასპეტი ვინმე,  
თავშემკობილი დელოსურ ფუზურულული

10 მარტოდენ ტიბურის ირგვლივ პირდაღის გადა  
ლალად მჩქეფარე კამკამა წყლებზე,  
და ხშირ ჭალებზე სიმღერა  
ეოლიური ლექსით გამოაჩენენ;

15 მძლე რომის დიალი ხალხი  
მიმიჩენს სავანეს მგოსანთა კრებულში;  
აშ უფრო და უფრო მცირედ  
გამკრავენ მწარედ კბილს ჩემი მოშურნენ.


20 ო, შენ, ყოვლისშემძლე მუზავ,  
ოქროსდარ ჩანგს რომ საამოდ აულერებ,  
და ხელგვწიფება, თევზებს  
გედისებრ სიმღერის შეძლება მიაგო,  
  
თუ რომაული ჩანგის მსახურს,  
ყველა გამვლელი თითით მიმანიშნებს,  
თუ ჩემს სიმღერებში მოსწონთ რამე  
შენგან მაქვს ბოძებული ეს ყოველივე!

#### 4

#### მაგაცოა თაობა

5 ვითარც არწივი, ელვათა მორბედი  
ფრინველთ მეუფედ ღმერთმა რომ აქცია,  
განიმედესთან ვინც დასცადა  
და ერთგულება ირწმუნა მისი;

სისხლის ჩქროლამ და უდრეკმა ჯილაგმა  
უცადი მართვე ააგდო ბუდიდან,




ფართხალით ფრენას შეეცადა,  
ცაზე კი ღრუბლებს წეშავდა ქარი;

## მომცველი

- 10      ოდეს ცხოველმა ძალამ აღიტაცა,  
          ჭამის და ბრძოლის წყურვილით ატაჭა  
          ის ჯერ ცხვრის ფარას მიეახლა,  
          მერმე კი მტრულად აღძრულ დრაკონებს;
- 15      ან ვითარცა თხა კუნტრუშით ანაზღად  
          წაადგეს დედის ჯიქანით გამომძლარს  
          ლომს, ვისი კბილის ერთი გაკვრა  
          გამოასალმებს სიცოცხლეს საწყალს, —
- 20      ესრეთ იხილეს ღრუზუსის ბრძოლები  
          ვინდელიკებმა რეტიას ალპებთან.  
          მე არ ვეძიებ, თუ სით მოდის  
          ამაძონთ ცულით მათი აღჭურვის
- 25      ადათ-წესების ძველი ამბავი,  
          — არც ძალუძს მოკვდავს უწყოდეს ყოველი.  
          მაგრამ ძლიერმა მტრის ლაშქარმა,  
          დიდხანს ომს შიგან ძლევით მავილმა.
- 30      შეიგრძნო მადლი გონიერ განსჯის,  
          რა მოაქვს სწორად წვრთნასა და გამოცდა,  
          რა შეუძლია ჭაბუქ ნერონთა  
          ავგუსტუსისგან მამურ სიყვარულს.
- 35      გულადს კეთილი გულადი დაპბადებს,  
          კვიცა და მოზვერს ჯილაგით იცნობენ,  
          არ დაჩეკავენ არწივები  
          ყოვლის მოშიშარ, უსუსურ მტრედებს.
- მაგრამ გაწვრთნითა ძლიერებს ყოველი,  
          სულიც მართალი აღზრდითა განმტკიცდეს;  
          თუკი ნიშატი ვეღარ მოსდევს,  
          ღვთით ბოძებულ ნიჭის ზაკვას მოიხმარს.

ମୁଦ୍ରଣକାରୀ  
ବ୍ୟାପକୀୟ  
କାନ୍ତିକା





ვით იმუქაფეს ნერონთა, ო, რომო,  
მოწმენი არიან მეტავრუსი და

პასდრუბალი დამარცხებული,

40 პირმცინარი დღეც ლაციუმიდან

ბინდის გამფანტავი, — პირველი ჭილდო,  
რაც აფრიკელი ულმობელი დააცხრა  
იტალიას, ვითარც ცეცხლი ფიჭვს,  
ან ზენაქარი სიცილიის ზღვას.

45 შემდგომად რომის ალზევდა დიდება,  
ძლევამოსილად უმრწემესთ იბრძოლეს,  
და პუნიელთა ანაოხარს  
კვლავ მოევლინენ ტაძრებს ღმერთები.

50 ვერავ ჰანიბალმა ასე თქვა მაშინ:  
მხდალი ირემი ხარბი მგლის დავლაა,  
მოტყუებულნი ვდევნით იმათ,  
ვისგან გაცლასაც ტრიუმფად ჩავთვლიდით,

55 ვინც ილიონის ხანძარს გადაურჩა,  
მერმე ტუსკიის ზღვის გრიგალს ებრძოდა,  
და ავზონიას წარიტანა  
წმინდა ნივთები, ბალლი და მამა;

60 ვინც თვის ძლიერებით ძელქვას სწორფერობს,  
ნოყიერ ალგიდუსის მთაში რომ მოჭრეს,  
ვინც თვით რეინისაგან ძლევის უამს,  
სულის და ხორცის სიმტკიცე მიიღო,

მისებრ თვით პიდრაც უწყალოდ ნაჩეხი  
ვერ ალიდგენდა ღონეს და სიმრთელეს,  
მსგავსი ურჩისული არ ყოლიათ  
არცა თებელებს და არცა კოლხებს.

65 რაც ღრმად ჩასძირავ — მით მშვენი ამოვა,  
შეეჭიდები — უფრორე დიდებით

გამარჯვებული მიიქცევა,  
სატრაბახოს გაუხდის ცოლებს.

კართაგენს ელჩთა აღარა წარუგონები  
70 თ, დაილუპა ყოველი იმედი, შორის მოიკვეტა  
სახელი ჩვენი მოიკვეტა  
უამს ჰასლრუბალის აღსასრულისას.

რას არ იქმს რაზმი ქლავდიუსისა,  
იუპიტერი მფარველობს რომელთაც  
75 და შორსმჭვრეტელი განსჯის მაღლიც  
უმყაცრეს ომში მხსნელად ევლინება!“

5


დაგვიგრუნდი, პიისარო!

ზენაარ ლმერთთაგან იშვი ჩვენს მწყალობლად,  
შენ, რომულუსის მოდგმის დამცველო,  
გამოხდა უამი, სენატთან დათქმული,  
არ ჩანხარ, დაბრუნდი გელით!

5 სამშობლოს სარდალო, ნათელი მოგვიზნე,  
რამეთუ გაზაფხულისდარი შენი სახე  
ხალხსაც გააბრწყინებს, დღესაც კარგს მოგვიტანს,  
შუქიც მოიმატებს მზისა.

10 ვითარცა მშობელი დედა ჭაბუკისა, —  
რომელიც უმძაფრესმა სამხრეთის ქარმა  
კარპათოსის ზღვის გადაღმა გარდახვეწა,  
მოწყვიტა უტკბილეს კერას, —

15 თავის ვაჟს მოუხმობს აღთქმით და ვედრებით,  
თან თვალს არ აცილებს შორეულ ნაპირებს,  
ესრეთ ერთგულების ნაღველით აღძრული  
სამშობლო უხმობს კეისარს.



ხარიც კი უშიშრად მიყვება იალალს,  
ჰქვებავს უხევი კალთით კერესი მინდორ-ველს,  
მშვიდად ნაოსნობენ ზღვაში მეზღვაურნე  
რწმენა ერიდება ლალატს.

20

კანონი ყოველგვარ მზაკვრობას დათრგუნავს,  
არ წაიბილწება უბიწო ოჯახი,  
შვილი დედ-მამის პატივისმცემელია,  
სასჯელი თან ახლავს ცოდვას.

25

ვისლა ეშინია პართელის ან სკვითის,  
პირქუშ გერმანიის ნაშიერ ტომების,  
ომში ვინ გაექცეს ველურ პიბერიას?  
ჯანსალად როს გვყავს კეისარი?

30

დღეს ყველა საკუთარ მალლობზე მუშაკობს  
და ვაზი ობოლი თალარზე გადაჭყავს,  
მერმე კი სუფრასთან ღვინის თასს დასცლის და  
ვითარც ღმერთს მოგიხმობს შენ.

35

მავანი მუდარით აღგივლენს ვედრებას  
ოჯახის უწმინდეს ლარების კრებულში,  
ისე ვით საბერძნეთი მოიხსენიებს  
კასტორს და ჰერკულესს — დევგმირს.

40

ჩვენ მუდამ ვნატრობთ უზმოზე თუ ვახშმიდ  
ოდეს მზე ზღვათა-ზღვას ამოეფარება:  
„ნეტავ ჰესპერიას დღეობებს ჰმატებდე,  
სვიანო პატრონო ჩვენო!“

6

### ა კ ო ლ ო ნ ი ს ა დ მ ი

ღმერთო, ვინც მიაგე სამაგიერო  
ნიობეს მოდგმას, მტაცებელ ტიტიოსს

და ტროას კედლების თითქმის დამძღველს  
ფთხილ აქილევს;



5 სპარაზენობდა უებროდ, მაგრამ შენ  
ტოლს ვერ დაგიდებდა თეტისტუ ვაჟი,  
თუმცადა შებით დარდანელთ გოდოლებს  
უმტკრევდა ბჭეებს.

10 ის ვითარც ფიჭვი რკინით მოჩეხილი,  
ან კვიპაროსი ევრუსის მოთხრილი,  
შექანდა ისე და მტვერში განერთხო  
ტევკრთა მიწაზე.


15 იგი მზაკვრულად შეწირული ცხენით  
ნადიმზე ტროას თავზე რომ დასხმოდა,  
არ აცდუნებდა პრიამეს ჯალაბს  
მწარე ზემზე;

20 დაუფარავად მოსპობდა ძლეულ მტერს,  
ძუძუთა ბავშვებსაც, ოი, ულვთოებავ,  
და დედის საშოში მყოფ უტოდველთაც  
ცეცხლით დაწვავდა,

თუ არა შენი და ვენუსის ვედრებით  
ღმერთების მამა კეთილ შეგონებით  
არ იქმდა ახალ კედელთა შენებას  
ენეასისგან.

25 ფებუსო, ქნარს რომ ასწავლი თალიას,  
ქსანთოსის წყალში ვინც თმათა განიბან,  
დავნიის მუზა, გთხოვ, რომ დაიფარო  
აგუიევსო!

30 ფებუსმა სული შთამბერა, მასწავლა  
სიმღერა, მომცა პოეტის სახელი.



კეთილშობილო, ამაყო მოყმენო  
და ქალწულებო,



შემართულ შუბით ქალღმერთი გიფარავთ,  
ირემა და ფოცხვერს რომ გარდავერწო მოფარავ,  
35 აპყვეით ლესბოსურ ჰანგებს სიმებზე  
ჩემგან ჩამოკრულს.

ვითარცა წესია, სიმღერა მივაგოთ  
ლატონას ძეს და ვინც მწუხრს გვინათებს,  
ვინც მართავს თვეთა მიწყივად მოქცევას,  
40 უცლის მოსავალს.

თქვი შენ მეუღლევ: „ღმერთთა საუკუნო  
ზეიმზე მათდა ვიმღერე აზმანი,  
ჰორაციუსმა, ჩვენმა მგოსანმა  
ჰანგო მაზიარა“.

7

გ ა ფ რ თ ხ ი ლ ე მ ბ ა

გალღვა, წავიდა თოვლი, კვლავ დაუბრუნდნენ ხეებს  
ფოთლები  
და ბალახები მინდვრებს,  
სახე იცვალა მიწამ და მღინარეთა შმაგი დიღროა  
ჯიქურ ეხლება ნაპირს.  
5 ნიმუშებთან ერთად ძველებრ, ტანშემოძარცული ნაზი  
გრაციები  
წინ მიუძღვებიან ქოროს,  
იძრა ყოველი ირგვლივ, და უკვდავება ნუ გჩერა,  
რაღან  
უამი წარიტანს დღეებს.

მქაცრ სუსხს ზეფირი ალლობს და გაზაფხულსაც  
მოსდევს ზაფხული,

რა გასრულდება იგიც,  
დაგვიზამთრდება ჩქარა, როს შემოღვომა ნაყოფიერი  
დაცლის ხვავიან კალთას.




15 თუმც სწრაფად ცვლადი თვენი მუდამ, ასებრნ  
მორჭმულ ტულუსს და ანკუსს, მამა ენეასს  
მივეახლებით  
ქმნილნი ჩრდილად და ფერფლად.

იქნებ განგების ძალით ხვალინდელი დღე არ  
გაგვითენდეს,  
ვინ უწყის ღმერთთა ნება?  
ლალობით განვლე დღენი, ის რაც ძალგვიძლდა, გულით  
მიგვეძლვნა,  
გულხარბ მემკვიდრეს დარჩა.

როს ბედისწერა გვიწევს, დაკრავს მინოსთან  
განკითხვის ჯერი,  
ო, ტორქვატუსო, მაშინ  
ვერც შთამომავლობა, ვერც მოკრძალება და  
ენამჭევრობა  
ვერ აღვადგენენ მქვდრეთით:

25 რამეთუ აღარ ძალუძს, თვით დიანასაც სულთა  
სამეფოდან  
ჰიპოლიტუსი იხსნას;  
რამეთუ თვითონ თეზევსს არ შესწევს ძალა, რომ  
პირითოუსი  
წარტაცოს ლეთეს ბორკილს.



პოეტის ნობათი

მივცემდი მეგობრებს ხალისით სუნთქრა  
თასებს და ასევე ნანატრ ბრინჯაოს,  
მივცემდი სამფეხებს — ჭილდოს მძლე ბერძენთა,  
შენც, ცენზორინუს, მცირედს არ გარგებდი,

5 იმ ხელოვნების ღატატი რომ ვიყო,  
პარასიუსსა და სკოპასს რომ ძალუძთ:  
მარმარის თეთრ ქვაში, ანდა ნაზ ფერებში  
კაცთა და ლმერთების სახეთა ხორციშესხმა.

10 მაგრამ მე ვინ მომცა ამდენის შეძლება,  
შენც არ გაქვს სურვილი ამის, არც სახსარი,  
შენ ხარობ ლექსებით, მეც ძალმის მოგიძლვნა  
მარტოდენ სიმღერა და ფასიც დაგითქვა.

15 ვერც მარმარილოზე ნაკვეთი წარწერა,  
დაცემულ მამაცთ რომ სიცოცხლეს უბრუნებს,  
ვერც დათრგუნვილი მუქარა ჰანიბალის,  
ვერც ფერფლად ქცევა უწმინდურ კართაგენის

20 ვერ იტყვის კალაბრიის მუზებზე უკეთ  
იმ მამაც ვაჟკაცის ქებათა ქებას,  
რომელმაც სძლია და მთლიანად შემუსრა  
აფრიკა და მისგან სახელიც დაირქვა.

ჭილდო არ ერგება შენს ქველ ნაამაგარს,  
ნუსხა თუ დადუმდა. რაღა იქნებოდა  
ილიას და მარსის ვაჟი, თუ დუმილი  
შურით რომულუსის დიდ საქმეთა შეკრავდა?

5 სტიქსის ტალღებიდან დახსნილი ეაკუსი  
მგოსანთა სიქველემ, ენამ და სიკეთემ

ნეტართა კუნძულზე მარად დამკვიდრეს:  
ლირსეულ ვაჟაცის სიკვდილს მუშა კრძალავს,

გმირს ზეცად ამაღლებს! თვით იუპიტერს  
ლხინის მონაწილე გახდა ჰერკულესი; და ტინდარიდების ნათელი ვარსკვლავი  
ზღვაში დასაღუპად განშირულ გემთ იხსნის.

ლიბერი მტევნებით საფეხქელშემკული  
კეთილად აგვიხდენს ნანატრს და ნაფიქრალს.

9

ლოლიუსისადგი

არ უწერია იმ სიტყვებს დაღუპვა,  
რაც ავფიდუსთან ნაშობმა წარმოვთქვით,  
მანამდის უცნობ ხმოვანების  
სიმთა ქლერასთან შეერთებული.

5 უპირველესად დაბრძანდეს პომეროს,  
ვერც ვინ დაჩრდილავს დიდებულ პინდარეს,  
ვერცა ალკეოსს, ვერც კეოსელს,  
ვერც სტესიქორეს ნალვლიან ლექსებს.

10 დრომ ვერც ანაკრეონტს დააკლო რაიმე,  
რამეთუ ჭერაც სუნთქვას სიყვარული,  
კვალად იცოცხლებს გალობანი  
ტკბილი, ეოლიელ ქალწულისა.

15 გარნა მარტოდენ ლაკედემონიელ  
ელენეს მისწვდა ალი დაგზნებული,  
ოდეს მოხიბლა ოქროს სამოსმა,  
მეფურ ბრწყინვალებამ, ამალამ მრუშის.

გარნა პირველად ტევკრმა ჰქრა ისარი,  
ანდა ერთგზისად მოაღგნენ ილიონს,



- ერმოვანები  
სიმღერები

გარნა სთენელუს, ანდა კიდევ  
მძლე იდომენევს, მხოლოდ და მხოლოდ

მუზათა სამღერ ბრძოლაში ვიცოდნენ?  
არცა ჰექტორ და შმაგი დეიფონტუ  
იყვნენ პირველნი, ვინც იბრძოდნენ  
შვილთა და ცოლთა გადასარჩენად.

25 იყვნენ გმირები აგამემნონამდე,  
მაგრამ ყველანი გრძელ ღმეს შეერთვნენ,  
ასე უცრემლოდ დაითარნენ,  
რაღან დააკლდათ მგოსნის სიმღერა.

30 ჯაბანი მკვდარი მცირედით განსხვავდეს  
უხოტბოდ შთენილ კაი ყმისაგან,  
მე არ დაგტოვებ შეუმკობლად,  
არც ნებას მივცემ ნამოლვაწარი

35 შენი, ლოლიუს, ერთიან მოიცვას  
შურით აღვსილმა უღვთო დავიწყებამ!  
ალალმართალი გიჩნდა სული  
საორჭოფო და მართალ საქმეშიც,

40 შური იძიე შენ ყველა მზაკვარზე,  
არ გათნევს სხვისი ურიცხვი საჭურჭლე;  
კონსული მანამ ყოფილიყავ,  
სანამ სარგებელს არად მიიჩნევ

და განიკითხავ სიმართლის ერთგული-  
შორს მზვაობარი განდევნე ყოველი,  
გამარჯვებულმა იარაღი  
ზე აღმართული მიმართე გალმა.

45 როს ბედნიერად მრავალის მფლობელთა  
მივითვლით, სწორად არ მიჩანს, რამეთუ



იგი პყრობს სახელს ბედნიერს,  
ღვთის ბოძებულს ვინც მოიხმარს ბოძნულად,

50 მკაცრ სიღარიბეს მოთმენით გაიტანს, **ურმიანული**  
უპატიოსნოს გაურბის სიკვდილს, **პირული**  
მაგრამ მოქვდება მოყვასისათვის,  
და სამშობლოსთვის თვინიერ შიშის.

10

### ლ ი გ უ რ ი ნ უ ს ს

ჭერჭერობით უკარებავ, შენ ვენუსის ძლვენით სავსევ,  
როს ანაზღად ნორჩი ღინღლი სიამაყეს დაგითრგუნავს,  
დაგცივდება ახლა მხრებზე დაფენილი გრძელი თმები,  
შეგიცვლება ლაშვისთავებს მოლებული ვარდისფერი,

5 როცა სახეს დაგიფარავს გაბურდული წვერულვაში,  
იტყვი მაშინ, რამდენჯერაც თავს სარკეში დაინახავ:  
რასაც ვფიქრობ, რატომ ძველად არ ვფიქრობდი  
ყმაშვილკაცი,  
ანდა რად არ მობრუნდება ოდინდელი სიჭაბუა?

11

### ფ ი ლ ი ს ს

მომექევება, ცხრა წლის წინ ჩადგმული  
ალბანურ ღვინით ყელსავსე ხელადა,  
გვირგვინისათვის მაქვს ბალში ნიახურიც,  
ჩემო ფილისო,

5 და ბლომად სურო, შენ რომ დაგამშვენებს!  
სახლ-კარიც ჩემი კისკასობს ვერცხლისფრად,  
წმინდა ტირიფით მორთულ საკურთხეველს  
ბატქნის სისხლი სურს.

- 10
- ირგვლივ ლალობს და ხმიანობს ყოველი,  
წინუქმუ დარბიან გოგო-ბიჭები,  
აუცხლი ტოკავს და აღმა იქლაზება **მოვალეობა**  
კვამლის ბოლქვები. **მოვალეობა**
- ოჰ, რომ იცოდე, რა ნადიმზე გიშვევ,  
ვზეიმობ იდებს, რომელიც შუაზე ჰყოფს  
15 ზღვათა დამფარველი დიდი ღმერთქალის  
ვენუსის აპრილს.
- ჩემთვის დღე ესე უფრორე მეტია,  
მეტი, ვიდრე დღე ჩემი დაბადების,  
რადგან. ამ დღიდან მოითვლის თავის წლებს  
20 ჩემი მეცენატი!
- ყრმა ტელეფუსი, ვისაც შენ მიელტვი,  
არ არს შენი ხვედრი; მას სხვა გოგონამ,  
ანცმა და მეტად მდიდარშა დაადო  
ტებილი ბორჯილი.
- 25 ფაეთონის სვე დააფრთხობს ხარბ იმედს,  
ჩვენ სხვაც გვიდევს წინ მძიმე მაგალითი:  
პეგასუსისგან ძლეული მხედარი  
ბელეროფონტი.
- 30 რაც არც შენ შეგფერს და კრძალავს კანონიც,  
განუდექ ყოველს, ფიქრშიაც გაექეც;  
ჰე, სასურველო, შენა გხვდა ჩემი  
ბოლო სიყვარული.
- 35 ამიერიდან სხვა ქალს არ მოუტმობ,  
ოლონდ მიმღერე ჩემო საყვარელო;  
საზრუნავს ჩვენსას წარიტანს სიმღერა,  
მიმღერე ოლონდ!

## ვ ე რ გ ი ლ ი უ ს ს



ჰა, გაზაფხულის თანმხლები ქარები  
დაცხრობს ზღვათა და დაპბერავს სალქანს,  
ალარ ჩანს ყინულით დამზრალი მინდორი,  
მდინარეს დაეხსნა თოვლი.

5 იშენებს საბუდარს საბრალო ჩიტუნა,  
დასტირის იტისს და გარდუვალ შერცხვენას  
კეკროპსის სახლის, ვისი მეფისაც დათრგუნა  
ვნებანი შურისძიებით.


10 მინდორში სალამურს უტკბესად აკენესებს  
მწყემსი და აძოვებს ცხერის ფარას ნასუქარს,  
უმლერის ღმერთს, რომელს ათნევს არკადიის  
მთა-გორჩე გაშლილი ფარა.

15 ვერგილიუსო, ამ დროს მოყვა წყურვილი  
თუ შენ, სათაყვანოს კეთილშობილ ჭაბუქთა,  
გსურს ღვინო მოგართვან კალენურ ვენანის,  
მოგცემ ნარდის ზეთის ფასად.

20 ზეთის მცირე ქილა დოქს გამოიტყუებს  
სულპიციუსის სარდაფში შენახულს  
და ახალ იმედებს გულუხვად მოგაგებს,  
დართთაგან განბანს საზრუნავს.

თუ შენ მოგიზიდავს ეს მხიარულება,  
შენივე საქონლით მოიქეც იჩქითად,  
აზრადაც არა მაქვს, გასვა უსასყიდლოდ,  
ვითარცა მდიდარმა ვინმემ!

25 ნულარ შეყოვნდები, ნუ გწადს სარგებელი,  
ჰქუას შეუზავე სიბრიყვით სილაღე



და სიბრძნე დატკბობით განდევნე, მუდამუამს  
გახსოვდეს სიკვდილის ცეცხლი!



13

ურმავრევი  
პირული მიზანი

ლ ი პ ი ს

მისმინეს ღმერთებმა, ო, ლიკევ, მისმინეს:  
ვხედავ, ვით თანდათან გერევა სიბერე,  
თუმცა კეკლუცობ ურცხვად,  
ანცობ და ეძლევი სასმელს.

5 გაბზარულ სიმღერით კუპიდონს მოუხმობ,  
იგი აყვავებულ ღაწვებზე ეხვევა  
ქიას, ვინაც ტკბილად უკრავს  
და სიმღერას აყოლებს ჩანგს.

10 ხმელ მუხებს გასცილდა მოუნელთებელი,  
გაგირბის შენ, რადგან ჭალარამ დაგჯაბნა,  
დაგინაოჭდა სახუ,  
ყვითელი კბილები გიჩანს.

15 ვერ დაგიბრუნებს კოსური ძოწეული,  
ვერც უძვირფასესი თვალი იმ ღროებას,  
რაც წარიტანა ერთხელ  
დღემ და მატიანეს წილხვდა.

20 მარქვი, სად მიიქცა მშვენება წარმტაცი,  
სით გაქრა ფერადი და ნელი რონინი,  
რა შეგრჩა ტრფობის ღირსი,  
რამაც გამიტაცა ისე;

ვინ ხელოვანებით გვატკბობდი ოდესლაც  
და სახიერებით კინარას ცილობდი,  
მაგრამ მოკვეცა ბეღმა  
უდროოდ კინარას დღენი;

12. პორაციუსი

25 ალბათ სურს ლიკე შეიქმნეს ყვავის ხნის,  
რომ მერმე მგზნებარე ჭაბუქთა კრებულმა  
სიცილ-ხარხარით ნახოს

ცეცხლი ჩაღვენთილი ფერფლად

16 1363 დი

პირდაღი გივი

14

ა ვ გ უ ს ტ უ ს ს

სენატორებმა ვითარ იმუქაფონ,  
ან რომის მკვიდრთა, ო, დიდო ავგუსტუს,  
რომ ჭვათა ზედა ამოიჭრას  
სადიდებელი შენი სწორფერი.


5 სად ალმოხდების მზე მსასოობელი,  
უპირველესი იმთავრებ ყოველგან!  
შენგან ძლეული ვინდელიკები  
დაემორჩილნენ ლათინურ კანონებს.

10 შენი მძლეთა-მძლე ლაშქრით შემუსრა  
ფეხმალი ბრევნები მამაცმა დრუზუსმა,  
სძლია ველური გენავნები  
და დააჭცია ალპებს ციხენი.

15 მერმე, სულ მალე უფროსმა ნერონმა,  
კეთილი ნიშნებით აღფრთოვანებულმა,  
ბრძოლები გამართა უმძაფრესი  
და მთლად შემუსრა ველური რეტნი.

20 გვენახა, ნეტავ, სისხლისმღვრელ ბრძოლაში  
თავისუფლებისთვის თავის გამწირველს  
ვით მუსრავდა მტერს უწყალოდ!  
ვითარცა ზენა ქარის ამოჭრა


გააპობს ღრუბლებს და ტალღა იშხუვლებს,  
ისე მოუღლელად მტრის რაზმით კვეთავდა,



გზას იკაფავდა შეუსვენებლად  
ცეცხლის შუაგულში შეჭრილი ჩაშით.

- 25 როგორც ავფიდუს — მძვინვარე ფიჭრი 36 უდი  
ჩამოედინება დავნუსის სამეტოს,  
და ემუქრება წასალეკად გიგანტების  
ვრცელ აპულიის ნახნავ ნათესებს,
- 30 ესრეთ მტრის რაზმი ჯიქური თავდასხმით  
ველზე გაშალა და ისე ჩახოცა  
გმირმა სპასპეტმა კლავლიუსმა  
და გამარჯვების გზებზე ვიღოდა
- 35 შენი ღმერთების და ჯარის შეწევნით!  
სწორედ ამ დღის სწორს შენს წინ ქედმოხრილი  
ალექსანდრიის განიხენა ბჭე  
და დარბაზები პატრონს გელოდა.
- 40 თხუთმეტი წელი როცა განსრულდა,  
კეთილმა ფორტუნამ ომის მოგებით  
ყველა ბრძანება აღგისრულა  
და ნანატრი ნათელით შეამკო.
- 45 თაყვანს გცემს მიდია და მიწა ინდოთა,  
კანტაბრიელი, სკვითი მომთაბარე,  
ო, ამა დღეთა, მძლე ქომავო,  
იტალიის და მბრძანებელ რომის!
- 50 ქედს გიხრის ჰისტერი და სწრაფი ტიგროსი,  
ნილოსი, რომელიც სათავეს გვიმალავს,  
ზღვათაზღვა სავსე ურჩხულებით,  
ბრიტანთა ნაპირს შეჭიდებული;

და მეომარი სიგამბრებიც  
შენს წინ მორჩილად განიარაღდნენ!



ურთვევდი

15

პირდაპირობები

სანამ კიდსარი განაგებს სამეფოს

მინდოდა მეთქვა დამხობილ ქალაქთა  
და ბრძოლათათვის, მაგრამ ტირენის ზღვას  
ვერდა გავედი გაშლილი აფრით,  
რამეთუ ლირას ჩამოკრა ფეხემ!

5 შენი მეუფობის უამს ო, კეისარო,  
აღსდგა ბარაქა, კვლავ დაუბრუნდა  
იუპიტერის ტაძარს დროშები,  
დახსნილი პართთა ტყვეობისაგან!

10 კვირინუსის ტაძარს დაეხშო კარიბჭე;  
ლაგამი მოსდე წესრიგის დარღვევას  
და ბოროტება განიდევნა;  
შენ დაგვიბრუნე ძველი ქველობა,

15 რამაც განაერცო სახელი ლათინთა,  
შორს იტალიის გატყორცნა დიდება,  
კიდით კიდემდე მიმოჰვინა  
ჰესპერიიდან აღმოსავლამდე!

სანამ კეისარი განაგებს სამეფოს,  
ვერც შინაომი დაგვირღვევს სიმშვიდეს,  
ვერც რისხვა, ვინაც გამოჭედა  
მტრობის მახვილი ქალაქთა ზედა!

ვერეინ დაარღვევს შენეულ კანონთა:  
ვერცა სპარსები, ვერც გერნი, სერები,  
ვერც ტანაისის გამოზრდილნი,  
ვერც დანუვიუსის წყლის შემსმელნი

25 საზეიმო თუ საქმიან დღეებში  
მხიარულ ლიბერის ძღვენით ვერთობით;  
ჩვენი ცოლ-შვილით პირველ რიგში  
ლოცვა-ვედრებას აღვულენთ ღმერთებს,

36 მერმე კი მამათა ჩვეულებისამებრ  
ლიდიურ ფლეიტის წყრიალზე ვუმღერებთ:  
ანქიზესა და ტროას ციხე-ბურჯს  
და შთამომავალს დიდებულს ვენუსის!

საიუგილეო ჰიმნი  
ანუ  
ჰიმნი საუკუნო


ფებევ და ტყეთა მეუფე დიანავ,  
შემამკობელნო ნათელნო ზეცისა,  
თაყვანს გცემთ მარად, გვიბოძეთ, რასაც გოხოვთ  
ამ უწმინდეს დღეს!

5 სიბილა ლექსად გამართულ მისნობით  
ბრძანებს ქალწულებმა, ნარჩევმა ვაუებმა,  
დღეს შეიდი ბორცვის მფარველი ღმერთების  
თქვან საგალობელი.

10 მბრწყინავი ეტლით, მზევ მსაზრდოებელო,  
დღეს ხან წაგვგვრი და ხან ისევ გვიბრუნებ  
ამოსვლა ჩასვლისას; დე, ნურც გენახოს  
რომზე დიადი!

15 ო, ილითიავ, შენ მიეც დედათა  
შვება ნაყოფის დროულად შობაში,  
ვითარც გნებავს შენ, გინდ გერქვას ლუკინა,  
გინდ გენიტალისი!

შენ შეეწიე, ღმერთქალო, მამათა  
გადაწყვეტილებას გასათხოვ ქალებზე,



କରିବେଶ୍ୱର  
ବିଜୟପାତ୍ରିକା

20

დე, ქორწინების კანონით გამრავლდეს  
ნორჩი თაობა!



ათგერ თერთმეტი წლის უკუმინეცებით  
დაბრუნდეს ზეიმი და ჰიმნთა ფართო  
სამჯერ ნათელ დღეს და ამდენივეჭერ  
საამო ღამეს.

25

და თქვენ, პარკებო, სიმართლის მეტყველნო,  
დე, ის სიკეთე, რაც ბედმა განსაზღვრა,  
დაცული იქნეს თქვენი შემწეობით  
სამომავლიოდ.

30

მიწამ აგვავსოს ხვავით და საქონლით,  
კერესს დაუწნას თავთავის გვირგვინი,  
დე, იუპიტერმა წყლით და ნიავით  
კვებოს ნაყოფი!

35

ო, აპოლონო, მშვილდი შეიხსენ და  
ყრმათა ვედრება მშვიდად შეისმინე!  
მთვარის რკალიანო, ვარსკვლავთ დედოფალო,  
უსმინე ქალწულთ!

40


რაკი ეს რომი თქვენი შექმნილია,  
როს კეთილ ლტოლვით ილიონის მოდგმამ  
დატოვა ძველი ფუძე და უწია  
ეტრუსკთა მხარეს

და უკან მიჰყვა უბიწო ენეასს,  
ვინც მოდგმას ტროას ხანძრიდან უჩვენა  
სწორი სავალი, მისცა დაკარგულზე  
უფრორე მეტი.

45

ახალგაზრდობას — კეთილი ზნე-ჩვევა,  
ჭარმაგო — სიმშვიდე და ღინჯი სიბერე  
რომულუსის ტომს — ყოველი სიკეთე  
მოეცო ღმერთებო!

დე, ვენუსის და ანქიზეს სისხლისას  
50 თეთრი ხარების თვევენთვის შემწირველს  
მორჩილ მტრის შემწყალეს და სხვათა ფართოვნელს  
მოეცთ, რაც გთხოვათ!



მძლავრი ხელით და ალბური მახვილით  
ძრწის მიღიელი ზღვასა და ხმელეთზე;  
55 ერთ დროს დიდგულა სკვითი და ინდოც  
წყალობას ითხოვს.


მშვიდობა, რწმენა და პატიოსნება,  
ძველი რიდი და სიქელე დაბრუნდა;  
აი, გამოჩნდა ნეტარი სიუხვე  
60 ხვავის სავსე რქით.

ცხრა მუზის სატრფო, მბრწყინავი ფებუსიც  
დამამშვენებელ მშვილდ-ისრით, მისანი,  
ვინც ხელოვნებით მუდამჟამს მკურნალობს  
ჯაფით დაქანცულთ.


65 ის წლიდან წლამდე გააბედნიერებს  
და გააძლიერებს რომს და ლაციუმს,  
კეთილ თვალს დაადგამს საკურთხეველს  
პალატიუმისას.

70 დე, ყური მიაპყროს ავენტინუმის  
და ალგიდუსის მეუფე დიანამ  
ლოცვა-ვედრებას თხუთმეტი ვაჟკაცის  
და ჭაბუქთ აღთქმებს.

სახლებში მიგვაჭეს რწმენა და იმედი,  
რომ იუპიტერმა და ღმერთთა კრებულმა  
75 ისმინეს ლოცვა ფებეს და დიანას  
რომ აღვუვლინეთ!



ავგუსტუსი აპოთეოზი



ფ ე ნ ი ზ 3 6 0 8 0

რიცხვით მითითებულია ლექსი და მისი სტრიქონები

### წ ი გ ნ ი I

1

გაიუს ცილნიუს მეცენატი (ძვ. წ. 70—8), ვისაც ეს ოდა ეძღვნება, რომის სახელმწიფოს თავიაცის — პრინცეპის — ოქ- ტავიანუს ავგუსტუსის უახლოესი თანამდგომი პირი და მრჩეველი იყო. ავგუსტუსის კარზე იგი თავს უყრიდა და მფარველობდა პრინცეპისია და რომის სახელმწიფოს ერთგულ, მესოტებე პოეტებს. ამ პოეტთა შორის იყვნენ: ვერგილიუსი, პორ्चაციუსი, პროპერციუსი და სხვ.

სხვადასხვაგვარია ადამიანის მიღრეკილება და მისწრაფება: ზოგი დოლში გამარჯვებას ელტვის, ზოგი ხალხის გულის მოგებასა და თანამ- დებობის მოპოვებას ცდილობს, ზოგი პურით ბეღლის ავსებას, ზოგ კაცს საკუთარ გამულს ვერ მოსწყვეტ, ზოგს ვაჭრობით სურს გამდიდ- რდეს, ზოგი ცხოვრებას ღვინით სავსე თასთან განცხრომაში ატარებს. ზოგირთთა მისწრაფება კი ომსა და ნადირობაშია.

ლექსის აეტორის იდეალი პოენია. უმაღლესი ბეღნიერება პოეტის ალიარებაა, ასეთია ამ ლექსის უმთავრესი აზრი.

4. მეტა — კონუსისებური სასტარტო და საფინიშო სეეტი, რომე- ლიც შეიღვზის უნდა შემოეწერათ დოლის მონაწილეებს.

5. სამმაგი პატივი — მაღალ თანამდებობათა სამი საფეხური ძველ რომში: ედილიტატი, პრეტურა, კონსულატუსი.

11. ლიბია — რომის პროვინცია ჩრდ. აფრიკაში; მარცვლეულით მდიდარი მხარე, რომელიც რომს პურეულით ამარავებდა.

12. ატალუს III — პერგამონის (მც. აზიაში) უმდიდრესი შეფა,

რომელმაც ძვ. წ. 133 წელს თავისი მხარე რომის უანდერა.

16. მიროუმის ზღვა — ეგეოსის ზღვის სამხრეთ მონაკვეთი.

19. ვასიკური ღვინო — საუკეთესო ღვინო, რომელსაც ყაჩანის მხარეში მშადებლნენ.

32. ე ვ ტ ე რ პ ე — ლირიკული პოეზიის მუზა.

33. პოლი პ ე ნ ი ა — საგუნდო-საფერხულო პოეზიის მუზა.

## 2

ამ ლექსი, რომელიც ოქტოგიანუს ავგუსტუსისადმია მიძლვნილი, ასახულია რომის მღელვარე ცხოვრება იულიუს კეისრის მკვლელობის შემდეგ. პოეტი შემწეობას სთხოვს ოქტავიანუს ავგუსტუსს.

1. ყოველთა მამა — იუპიტერი.

3. გოდოლი — კაპიტოლიუმი, მოჩუვი რომში იუპიტერის, იუნისა და მინერვის ტაძრებით.

6. პირას დრო — საყოველთაო წარლენა. პირა, ეპიმეთესა და პანდორას ასული, თანახმად მითისა, თესალიის მეფის დევიალიონის მეუღლე იყო. დევიალიონი და პირა გადაუსრჩნენ მხოლოდ და მხოლოდ წარლენას. მათგან იღებს დასაბამს წარლენის მერმინდელი თაობა.

7. პროტევსი — ზღვის ღვთაება — შისანი.

14. მდინარე ტიბერის აღიდება მონდა იულიუს კეისრის მოკვლის შემდეგ. პორაციუსი ამ წყალდიღობას (დიღროას) მითიურ წარლენის უკავშირებს.

15. კესტია — კერის ღმერთებალი. მისი ტაძარი რომის ფორუმზე იღვა.

15. ეტრუსკული მხრიდან — ტიბერის მარცხენა სანაპიროდან.

18. ილია — რეა სილვია, რომის ფუძემდებელ ქათა — რომულუსისა და რემუსის დედა; მითის თანახმად, მდინარის ღმერთის ტიბერის მეუღლე იყო.

23. სპარსები — აქ იგივეა, რაც პართები, რომაელთა ყველაზე დიდი მტრები. პორაციუსი მათ ხშირად „სპარსებისა“ და „მიდიელების“ სახელით მოიხსენიებს.

33. ერიკინა — ვენუსის (ბერძნთა აფროდიტეს) ეპითეტი ნაწარმოები სიცილიაში მდებარე მთის ერიქსის სახელისაგან. ამ მთაზე ვენუსის ტაძარი იღვა.

34. კუპილი (კუპილონი) — ვენუსის ფრთოსანი ვაჟი, სიყვარულის ღვთაება (ბერძ. ეროსი).

41. მაიას ძე — იუპიტერისა და ატლანტის ასულის მაიას ვაჟი — ღმერთი მერკურიუსი (ბერძნთა პერმესი). აქ იგი გაიგივებულია ოქტავიანუსთან.

ლექსი ეძღვნება ხომალდს, რომელსაც ვერგილიუსი ათენში უნდა ჩაეყვანა. პოეტი მეგობარს უსურვებს კეთილ მგზავრობის და კიტხვს აღამიანის დაუკებელ გამბედაობას.

1. კვიპროს ოსის ლვთაება — კვიპროსშობილი ვერგილიუსი.
2. ე ლ ვ ნ ე ს ძ მ ე ბ ი — კასტორი და პოლუქესი. მათი სახელობის თანაეარსკვლავედი მეზღვაურთა მფარველად მიიჩნეოდა.
3. ჰიადები — შეიძი მთიები. მათი ჩასვლა ქარიშხლის მომასწავებელია.

34. კარტის მეტის მინისისაგან თავის დასალწევვად დედალუსმა თავისთვისა და თავისი ვაჟის იყარუსისათვის ხელოვნური ფრთები გააეთა და მათი წყალობით სიცილისაკენ გაფრინდნენ. იყარუსი გზად დაიღუპა.

35. ქერქულესის თორმეტ გმირობათაგანი იყო საიქიოს სამეფოდან ურჩისულის — კერძერის ამოყვანა.

4

პოეტი აღწერს გაზაფხულის დაბრუნებას და გვირჩევს დავტებეთ სიცოცხლით, რაյო სიკედილი გარდუვალია.

7—8. ვ უ ლ კ ა ნ უ ს ი (ბერძ. ჰეფესტო) ცეცხლისა და მჭედლობის ლვთაება, რომელსაც ცალთვალა გოლიათები — კიკლოპები ემასხურებოდნენ სამჭედლოში.

11. ფ ა ვ ნ უ ს ი — ტყეთა და ჭალათა ლვთაება.

14. ლ ი ც ი უ ს ს ე ს ტ უ ს კ ვ ი რ ი ნ უ ს ი — პორაციუსის მეგობარი; ძ. წ. 23 წელს იყო კონსული.

5

პოეტი უსაყვედურებს შვერიერ პირას ორგულობასა და ლალატს.

15. ზღვაში ქარიშხალს გადარჩენილი კაცი ტაძარში ღმერთებისადმი მაღლიერების შემცველ წარწერიან დაფასა და სკელ სამოსს ჰყიდებდა. აქ სიმბოლურად იგულისხმება პირას ლალატი და შისგან გაღარჩენა.

6

პორაციუსი გვ წმინდებს, რომ მას ხელი ჩის უმღეროს ლხინსა და ტრტობას და — ლილ ეპიკურ საქმეო ეძღვნება მარკუს ვიპსანიუს იგ ვას — ოქტავიანუს კაცებრუსის უერთგულეს თანამდგრამს, რომელიც პორაციუსს შეუკვეთა ეპიკური თხზულების შექმნა პრინცეპსის. მის დიად საქმეთა შესაქვებად.

2. ლ ი ც ი უ ს რ ი უ ს რ უ ფ უ ს ი — ეპიკოსი და ტრაგიკოსი პოეტი, ვერგილიუს და პორაციუსის მეგობარი.

შეონია — ლიდია; მეონური სიმღერა — ეპიკური სომლერა, პომერისის ეპოსი.

7. პელიდე — აქილევსი.

8. პელოსისია და მისი ვაჟების ატრევსისა და მიგისტეს პეტრითო თავეგადასავალი ეპოსისა და ტრაგედიის ხშირი ტემა ყოფილი.

9. ულიქსე — ოდისევსი.

14. მერიონე — ტროას ომის მონაწილე, იდომენევსის თანმხლები.

15. პალადი (პალასი) ლმერთქალ ათენას ეპითეტი.

16. ტიდევსის ძე — ტიდიდე — ტროას ომის გმირი დიომიდე, არგოსის მეფე.

7

პორაციუსი ლუციუს მუნაციუს პლანქუსს მოუწოდებს, დარდი და ნალველი ლზინით გადაივიწყოს ლატიუმის მშენიერ დაბა ტიბურში.

5. პალადას (პალასი) ქალაქი — ათენი.

12. ალბუნეა წყაროსა და ნიმუშის სახელი.

22. ტევერი (ტევერისი) — ტელამონის ძე ტროას ომის მონაწილე გმირი; ვინაიდან შური არ იძია მმის (აიაქსის) მკვლელობაზე, მამამ მშობლიური სალამინიდან გააძევა.

8

პოეტი უსაყვედურებს თავისუფალი ყოფაქცევის ლიდიას, რომელ მაც სიბარისს ვაჟეაცურ საქმეებზე ხელი ააღებინა.

2. სიბარისი — განებივრებულ-გაზულუქებულ უმაწევილი კაცის ზოგადი სახელი (სიბარისი — სიმდიდრითა და უცუცნებით სახელ-განთქმული ქალაქი იყო ლუკანიაში).

14. ლმერთქალ მა თეტისმა თავის ვაჟს აქილევსს, ომისაგან და-სახსნელად, ქალის სამოსი გადააცეა და სკიროსზე შეფე ლიკოდეშეს ქალიშვილებთან გადამალა. აქილევსი გამოამულიენა და ტროას ომში წაიყვანა ოდისევსმა.

9

პოეტი ალწერს ზამთარს და მეგობარს განცხრომისაკენ მოუწოდებს.

1. სორაკტე — რომის ჩრდილოეთით მდებარე მთა.

10

1. მერკურიუსი — ბერძენთა პერმესი, იუპიტერის (ზევსის) და მაიას ძე, ტიტან ატლასის შვილიშვილი. ლმერთთა შივრიე. დაბადე-

ბის დღესვე კილენეს მთაშე (არქადიაში) კუს ბაჟანისგან ჩაწერა გაჟერა.  
14. ატრიდები — ატრევესის ძენი: აგამემნონი და მენელაოსი.  
ტრას მეფე პრიაშვისი მერკურიუსის (პერმესის) წინამძღოლობით უჩა-  
მრად შევიდა ბერძენთა ბანაჟში და აქილევს თავისი შვილის პერტორის  
გვამი გამოსთხოვა.

17—20. მერკურიუსს საიქიოს სამეფოში გადაპყვავს შიცვალებულთა  
სულები.

11

ეს ლექსი ეპიკურეელის მოძღვრებად მიიჩნევა. პოეტი ურჩევს  
შორწმუნე გოგონას ლევკონოეს, დამორჩილოს ბედს და დღევანდელი  
დღის სიამით დატკბეს. „ხვალემ იზრუნოს ხვალისა!“ ესაა ამ ლექსის  
უმთავრესი აზრი.

12

ამ ლექსში პოეტი უმღერის ღმერთებსა და გმირებს და ბოლოს  
ოქტავიანუს ავგუსტუსს.

4. კლიო — ისტორიის მუზია.

5—6. ჰელიკონი, პინდუსი, ჰემუსი — მუზათა სამყვი-  
დრო მთანი.

21. ლიბერი — ბაზუსი, დიონისის ღმერთი.

21—24. იგულისხმებიან და-ძმანი, ღმერთქალი ღიანა და ღმერთი  
ამოლონი.

25. ალკიდესი (პერკულესის) და ლედას ვარკაცები —  
კასტორი და პოლუქსი, მერმე თანავარსკვლავედად მოქცეულნი.

33—35. რომულუსი — რომის ფუძემდებელი მეფე;

ნუმა პომპოლიუსი — რომის მეორე მეფე;

ტარკვინიუს ზეიადი — რომის უკანასკნელი მეფე, რომე-  
ლი 510 წელს გააძევეს.

36. ვარკუს პორციუს კატონი უმცროსი (95—46 ძვ. წ.)  
კვეისრის მტერი. დაეცა ძვ. წ. 46 წელს თაფსუსის ბრძოლაში.

49—50. იგულისხმება სატურნუსის ძე იუპიტერი.

51. კეისარი ოქტავიანუს ავგუსტუსი.

13

პოეტი ურჩევს პეტერა ლილიას, ნუ მიენდობა მთლიანად პამუკ ტე-  
ლეფუსს, ვინც ბოლოსდაბოლოს მიატოვებს მას.

16. ორიგინალშია „მეხუთედი ნაწილი ვენუსის ნექტარისა“. პითაგო-  
რას მოძღვრებაში ბუნებაში წყალსა, მიწასა, ცეცხლსა და პაერთან ერ-

თად არის მეხუთე ელემენტიც (სტიქია) — ნივთთა არსი (quinta essentia). ეს ელემენტია სიყვარულის ნაწილი.

ამ ოდას ელეგორიულ ლექსად მიიჩნევდათ ას ტერმინი კარისული რომელი რიტორი მარჯვს ფაბიუს კვინტილიანუსი. შაოთლაც, განსაღელში მყოფი ხომალდი რომის სახელმწიფოა; აბობიქრებული ზღვა — დამლუპველი სამოქალაქო ომი, რომელიც ოქტავიანუს ავგუსტუსმა და სექსტუს პომპეუსმა განაახლეს. ნავსაღერძი ლუზის ჩაშვება — მშვიდობისაკენ მოწოდებას გულისხმობს: *nudem pro re publica, fluctus et tempestates pro bellis civilibus, portum pro pace atque concordia (De institutione oratoria, VIII, 6, 44).*

10. ხომალდშე რომელები მფარველი ღმერთების ქანდაკებებს დგამდნენ.

13. პონტოს ანუ შევი ზღვის სანაპიროებიდან ბერძნებსა და რომელებს გაპერნდათ სახომალდო მასალა. ასეთი მასალით, როგორც ძვ. წ. I ს-ის ბერძენი გეოგრაფიოს სტრაბონი გადმოვცეცმს, მეტად მდიდარი იყო კოლხეთი. („გეორგია“ XI, 2,1,7).

20. კიკლადები — კუნძულები ეგეოსის ზღვაში (სამხრეთ ნაწილში).

ოდა პომეროსისეულ ეპოსს ცყრდნობა. დამშვიდებულ ამინდში პარისს, რომელსაც მშვენიერი ელენე ბომალდოთ მიძყავს ტრიაში, ზღვის მისანი ნერევსი ავ ალასარულს უმისნებს.

2. მუ ბანათი მწყევისი — პარისი.

21. ლავრატის ძე — ლავრატიადა — ული(ქ)სე (ოდისევის)

35. პერგამიუ მი — ილიონის ანუ ტრიას ციხე-სიმაგრე.

ეს ლექსი პალინოდია; პოეტს უკან მიაქვს თავის უწინლელ იამბებში გამოთქმული რისხვა, გესლიანი სიტყვები, რომლებითაც სატრუთოს გული ატყინა.

5—7 დინდიმენე — რეა — კიბელე — „დიდი დედა“ მცირე-აშიული ლეთაება; 8—10 თოს შევიდრი — აპოლონ ღმერთი; ლიბერი — ღმერთი დიონისე — ბახუსი; კორიბანტები — რეა — კიბელეს (დინდიმენეს) თანმხლები ქურუმები.

13—16 მითის ერთი ვარიანტით პრომეთემ თიხისაგან (ტალახი-საგან) შექმნა აღამიანი.

18. თავე სტე — პელოპსისა და პიპოლაშიას ძე, ატრევსის ძმა.

17

## ურიკებული

პოეტი თავის მამულში იწევეს მშვენიერ ელენესდაზე [კონცენტრი, შახა-ლად ტინდარის]. ურჩევს, ამით თავი განარიღოს თავზედ კაბუქს — კირუსს.

1. ფავნუსი (ბერძნთა პანი) ტყის ღვთაება.
2. ლიკეუსი — მთა არკადიაში; ლუკრეტიისი — მთა პორაციუსის მამულთან.
11. უსტიკა — მთა პორაციუსის მამულში.
17. ორიგინალშია aestus Caniculae (— „ძალლის, გოშიას სიცხე“) — სირიუსი — ყველაზე ცხელი უამი.
18. ტეოსური ჩანგი — ტეოსი და დიდი ბერძენი პოეტის ანაკურონტის სამშობლო იყო.
19. ერთი კაცი — ულისე — ოდისევესი.
20. კირკე — კოლხეთის მეფის აიეტის გრძნეული და; პენელოპე — ულისეს — ოდისევესის ცოლი.
22. სემელეს ძე — ლიბერი — ბახუსი — დიონისე.

18

პორაციუსი მიმართავს მეგობარ პოეტს კვინტილიუს ვარუსს; ურჩევს ყველგან ვაზების დარგას და ღვინის ზომიერ სმას.

2. ტიბური — ქალაქი რომის ოღმოსაელეთით. მისი დაარსება მიეწერება სამ ძმას: ტიბურნუსს, კორასსა და კატილუსს.
10. სითონელნი — თრაჯიელნი.
13. ბასარეუსი — ბახუსის ეპითეტი.
14. ბერეკინტია — ფრიგიის მთა.

19

3. სემელეს ძე — ბახუსი, დიონისე.
5. პაროსის — ეგეოსის ზღვის კუნძულის — მარმარილო მეტად სახელგანთქმული იყო თავის სიქათქათით.

20

პოეტი მეცენატს იწევეს თავის მამულში, ოლონდ იფრთხილებს, რომ უბრალო საბინურ ღვინოს შეასმევს.

5. ძ. წ. 30 წელს მძიმე სენს გადარჩენილ მეცენატს რომის თეატრში ტაშით შეეგებნენ.

7. ვატიკანუსი — რომის ბორცვთაგანი.

9—11. ცეკვუბური, კალენური, ფალერნული ფორმის გიშებია.

21

პოეტი მოუწოდებს ქალიშვილთა და ჭაბუქთა გუნდებს, უძლერონ ღმერთებს დიანასა და მის ძმას — აპოლონს.

2. კინთიერები — აპოლონი, რომელიც კუნძულ დელოსის მთაზე — კინთუსზე დაიბადა.

4. ლატონი — დიანასა და აპოლონის დედა.

5. ერიშანთუსი, კრაგუსი, ალგიდუსი — დიანასადმი შეწირული მთები.

9. აპოლონის კუს ბაჟანიდან გაყეთებული ჩანგი ძმაშ — კერმესა მიუძღვნა.

22

პატიოსან კაცს არაფრის შიში არა აქვს. მას შეუძლია მშვიდად უმღეროს სატრატოს, პოეტის სატრატოა ლალაგე („ენაჟლურტული გოგონა“):

1. მარკუს არისტიუს ფუსკუსი — პორაციუსის მეგობარი პოეტი.

5. სირტები — დიდი და მცირე სირტი — ორი მეჩხერი უბე აფრიკის ჩრდ. სანაპიროსთან.

7. პილასკე — მდინარე ინდუსის შენაჟადი (მეპატი).

14. დაენიი — აულიის ჩრდ. ნაწილი. სახელი შეერქვა მითიური მეფის დავნუსის სახელისაგან.

15. იუბა — მავრიტანიის მეფე.

23

ლექსი ანაკრეონტისებურია.

24

ტ. წ. 24 წელს გარდაიცვალა ვერგილიუსისა და პორაციუსის მეგობარი, მეცენატის წრის პოეტი კვინტილიუს ვარიუსი.

4. მელპონენე — ტრაგედიისა და ლირიკული პოეზიის მუშა.

25

ლექსი ეძღვნება ლიდიას, რომელიც სიბერის გამო პეტერების რიგს გამოიკლდა.

პოეტს სურს თავისი მეგობრის — დრამატურგ ე ლიუ ს ლაშიას  
ზეიმი ლირსეულად აღნიშნოს.

5. ტირიდარე II რომაელთა მოკავშირე პაროტონ ტომელუსული  
ფრატეს ეპრძოდა ტახტისათვის.

6. პიმ ლეა — ერთ-ერთი მუშის ეპიოდი.  
12. დები — ხელოვნების მფარველი ცხრა მუშა.

## 27

კორაციუსი მეგობრებს მოუწოდებს, ზომიერება დაიცვან ლეინის  
სმაში და განერიდონ შეუფერებელ, საშიშ სიყვარულს.

19. ქარიბ დისი — ზლვის მდეღრობითი სქესის ურჩხული (აქ — საშიში მიჯნური).

24. პეგასუსი — ფრთოსანი რაში, გასზე ამხედრებულმა ბელე-  
რეფონტმა, კორინთოს მეფის გლავისის ძემ, მოკლა ტიფონისა და ექი-  
დნეს სამთავიანი ასული, ურჩხული ქიმერა.

## 28

ოდა წარმოადგენს დიალოგს მეზღვაურსა და სახელგანთქმულ მეც-  
ნიერ არქიტას შორის. არქიტას გვამი ხომალდის დაღუპვის შემ-  
დეგ დიღდანს დაუკრძალვად ეგღო ზლვის ნაირზე. ლექსის 5 კარელა  
მეზღვაურის სიტყვებია, დანარჩენები — არქიტასი.

4. არქიტა ძეველი დროის (ძვ. წ. 400—365 წწ.) ცნობილი მათე-  
მატიკოსი და პითაგორაელი ფილოსოფოსი იყო. მოღვაწეობდა ტარან-  
ტუმში.

7. პელოპის მამა — ტანტალის, რომელიც ღმერთებმა  
მათი საიდუმლოებების გამჟღავნებისათვის სულთა სამეფოში ჩაგდეს და  
მარალიული შიშიშილ-წყურევილი მიუსაჭეს.

8. ტითონუსი — განთიადის ღმერთქალის ეოსის (ავრორას)  
სატრიფო.

9. მინოსი — კრეტის ლეგენდარული მეფე. მინოსი და მისი ძმა  
რადამინთისი საიქიოს სამეფოს მსაფულები არიან.

10. პანთოიდე — ევფორბოსი, მამაცი ტროელი, რომელიც  
მენელაოსმა მოკლა. ფილოსოფოსი და მათემატიკოსი პითაგორა  
(580—500 ძვ. წ.) სულთა გადასახლების თავისი თეორიის საფუძველზე  
ამტკიცებდა, რომ იგი კვლევ დაბადებული ევფორბოსი იყო.

17. ფურია — შერისძიების ღმერთქალი (ბერძნ. ერინისი).

20. პროჩერინა — ბერძნთა პერსეფონე, საიქიოს ღელოფა-  
ლი.

22. ორითნი — ქარიშხლის მომასწავებელი თანავარსკვლავი.

25. კენუზია — პტლიის ქალაქი.

26. პესპარია — დასავლეთი (აქ — იტალია);

23 რუსი (ცულტურნუსი) სამხ. აღმოსავლეთის ქარი.

29. ტარენტუმი (ტარენტო) — ქალაქი კალაბრიაში. წარ-  
მოიქმნა ახალშენიდან ძვ. წ. VIII ს-ში, იგი სპარტელებმა დააფუძნეს.

პორაციუსი ირონიის შერევით უსაყველურებს თავის მეგობარს იკ-  
ციუსს, რომელმაც ფილოსოფია შიატოვა და იარაღს მოჰკიდა ხელა  
ძვ. წ. 25 წ. მან გაილაშერა არაბებზე, მაგრამ სასტიკად დამარცხდა.

2. საბა — ქალაქი სამს. არაბეთში (აშინდელ უიზენზე)

14. პანე ტიუ სი (პანაიტიოსი ძვ. წ. 180—110, წერ) სტოლი ფი-  
ლოსოფოსი როდოსიდან.

16. ჰიბე რუ ლი — ესპანური.

80

1. კნიდოსი (მც. აზიაში) და პატოსი (კვიპროსის სამხრ. სა-  
ნაბიროზე) ვენუსის საკულტო ადგილები იყო.

5. ფიცხი ბიჭუნა — ვენუსის ვაჟი კუ პი დონი (ბერძ. ე რ ი ს ი).

6. გრაციები — მშევნიერი საში ღმერთქალი (ბერძ. ქარი ტე-  
ბი — ევფრონისინე, აგლია და თალია).

7. სიყმაწვილე — მოწიფულობის ღმერთქალი — იუნენტასი  
(ბერძ. ჰე ბე).

81

ძვ. წ. 28 წელს, მილესთან და აქციუმის კონცხთან მოპოვებულ გა-  
მარჯვებათა აღსანიშნავად, იმპერატორმა ავგუსტუსმა რომში — პალა-  
ტიუმის ბორცვზე აქტორთხებინა ახლად ნაგები აპოლონისადმი შეწირული  
ტაძარი, რომელთანაც საგანგებოდ მორთული ორი — ბერძნული და  
ლათინური ბიბლიოთეკა გახსნა.

ამ შემთხვევას მიუძლვენა ეს თავისი ცნობილი ოდა პორაციუსმა.  
პოეტს სიმღიდორე არ სჭირდება. დაე, მისცეს მას აპოლონ ღმერთმა ხან-  
გრძლივი სულიერი და ხორციელი ჯანსაღობა, ჩანგზე სიმღერის უშრეტი  
უნარი, — ასეთია ოდის დედააზრი.

7. ლირისი — მდინარე ცენტრალურ იტალიაში.

9. ფორტუნა — ბედისა და კეთილი ხეედრის რომაული ქალ-  
ღმერთი.

20. კითარა — ოთხსიმიანი საკრავი. აქ: პოეზია.

82


პოეტი შეშთავონებასა და აღმაფრენას შესთხოვს თავის ჩანგს.

5. ლეზბოსის მკვიდრი — ძვ. წ. VI ს-ის ბერძენი პოეტი  
ალკეოსი — მელიური პოეზიის ანუ ლესბოსური ლირიკის დიდი  
წარმომადგენელი საფოსა და ანაქრეონტან ერთად. პორაციუსი თავის  
თავს სწორედ ლესბოსური ლირიკის მემკვიდრედ თვლიდა.

9. ლიბერი — იბ. შენ. 12, 21.

13. ფებუსი — აპოლონ ღმერთი.

ჰორაციუსი ანუგეშებს გლიკერას ღალატით დადარღვანებულ მეგობარ პოეტს, სახელგანთქმულ ელეგიკოსს — ალბიუს ტრიმიტას.



ჰორაციუსმა ზურგი შეაქცია მატერიალისტური მიმართულების ბერძენი ფილოსოფოსის ეპიკურეს (ძვ. წ. 342—271) მოძღვრებას, რომელიც ძალუმად აისახა დიდი რომაელი ათეისტის, ფილოსოფოსისა და პოეტის ტიტუს ლუკრიციუსის (ძვ. წ. 99—55) სახელგანთქმულ პოემაში *De rerum natura* — „საგანთა ბუნებისათვის“ (ამ პოემის ქართული თარგმანი შესრულებული პ. ბერაძის მიერ გამოქვეყნებულია 1958 წელს).

ლმერთებსა და, უწინარეს ყოვლისა, იუპიტერს აღამანმა თაყვანი უნდა სცეს. ასეთია ამ ოდის ღრმად რელიგიური კვინტესენცია.

6. დიოსპიტერი — იუპიტერის სახელის უძველესი ფორმა.

11. ტენარუსი — კონცხი სამხრ. პელოპონესში. აქ თითქოს იყო მღვამე, საიდანაც გზა ჩადიოდა სულთა სამეფოში.

12. სტიქსი — საიქიოს მდინარე.

13—16. ვფიქრობთ, ეს ადგილი ძვ. წ. VIII ს-ის დიდაქტიკოსი პოეტის ჰესიოდ ს სიტყვების რემინისცენციაა:

„ოლიმპოს მეუფის ნებით სხვადასხვა მოკვდავთა ბედი; სახელი, პატივი, კაცის დამცირებაც მისგანვე მოდის. ზეცაში მცხოვრები ლმერთი, ყოვლისშემძლე მებთმტრები ზევსი, ადგილად ამაგრებს ბეჩავს და ლონიერს ძირს დასცემს უმალ; ბედნიერს მოსტაცებს იღბალს, რომ უბედურს მიუძღვნას იგი.

კუზიანს ასწორებს ზევსი და ამაყ კაცს ქედზე კუზის იდგამს“ (პესიოდე, სამუშანო და დღენი 3—8).

პოეტი ბედის ლმერთქალს — ფორტუნას ეველრება, შემწედ ექმნეს რომსა და ავგუსტუს კეისარს.

1. ანტიუმი — ლაციუმის ქალაქი, სადაც ფორტუნას ტაძარი იდგა.

8. კარპათიუმის ზღვა — ეგეოსის ზღვა.

13. სვეტი (Columna) — ძლიერების, სახელმწიფოს სიმტკიცის სიმბოლო.

18—19. სოლი, კავი, ვალლობილი ტყვია, რომელსაც ნივთთა შესამტკიცებლად ღრმულებშია — ასხამდნენ — უცვლელი ბედის სიმბოლოებია.

40. მასაგეტები — მომთაბარე ტომი კასპიის ზღვის აღმოსავლეთით. აქ პართები იგულისხმებიან.

პორაციუსი ხარობს მევობრის — ნუმიღას დაბრუნებით.

9. ყრმობილან გამოსული რომაელები მოწიფული კაცის ტობას (შედა სამოსელს) იცავდნენ.

10. კ რ ე ტ უ ლ ი ნ ი შ ა ნ ი — ზეიმის კონტინა თეოტირი ცაც ცოდნა.
11. ს ა ლ ი ე ბ ი — მარსის ქურუმები, რომელიც ჰერიტულ ფერ-ხულს ალუსრულებდნენ ომის ღმერთს.

13. ბ ა ხ უ ს ი — პოეტი ვინჩე.

14. დ ა მ ა ლ ი ს ი — ლხინში მიწვეული კითარაზე დამკვრელი ჰეტერა.

15. თ რ ა კ ი უ ლ ი ს მ ა — სავსე თასის სულმოუთემელად შესძა.

შ. წ. 30 წელს ოქტავიანუს ავგუსტუსმა დაამარცხა ანტონიუსი და კლეოპატრა და აიღო ალექსანდრია. ანტონიუსმა თავი მოიკლა. ეგვიპტის დედოფალმა — კლეოპატრამ, გადმოცემის თანაბმაღ, გველებს დააკენინა თავი და ამ გზით აღასრულა სიცოცხლე, რათა ტყვედ არ წაეყვანათ და რომაელთა წესით ტ რ ი უ მ ფ შ ი (გამარჯვებულის საზემო პროცესიში) არ გაეტარებინათ.

ავგუსტუსის გამარჯვებამ მის მომხრეოთ ალფროთვანება გამოიწვია. მათ შორის იყო, ცხადია, პორაციუსიც. ამ ოდაში პორაციუსი პბაძავს შელიკოს პოეტ ალექსის, რომელსაც მისი პოლიტიკური მტრის სიკედილზე უთქვამს: „ახლა საჭიროა გამოვთვრეთ და სხვასაც მოვუწოდოთ დალიონ, რადგან ჩაძალლდა მირსილე“ (ალექსისი, ფრგ — 39).

3. ს ა ლ ი უ რ ი ლ ხ ი ნ ი — მარსის ქურუმების სალიების ზეიმი.
  6. დ ე დ უ ფ ა ლ ი — ეგვიპტის დედოფალი კლეოპატრა, იულიუს კეისრისა და მეტე ანტონიუსის სატროფ (გ. წ. 69—30).
  17. შდრ. პომეროსი, ილიადა, XXII, 139:
- „კითარცა ქორი დაესხმის თავს მხდალ მტრედს“

პოეტი შსახურს მოყრძალებული სუფრის გაშლას უბრძანებს. იგი არა მომხრე სპარსთა ანდაზად ქცეული, ფულუნებით გადაჭირებული ნადიმისა.



ცნობილი რომაელი მოღვაწე ისტორიკოსი და არამარტინგოგი უკანასკნელი აზინიუ ს პოლიონი (ძვ. წ. 76 — ახ. წ. 77) ასამოვალის თანა  
ისტორიის წერას შეუდგა. მევობარმა პორაციუსში მას ეს ოდა მიუძღვნა.

პორაციუსი ომის შემზარავ ამბების აღწერას სატრფიალო სიმღე-  
რების შეთხხვის ამჯობინებს.

1. სამოქალაქო ომის ისტორია ძვ. წ. 60 წელს, ე. წ. პირველი  
ტრიუმფირატის დროს გაიუს ცეცილიუს მეტელუსის კონსულობაში დაი-  
წყო.

12. აქ ორიგინალშია: *cecropius cothurnus* — კართოპიული  
კოთურნუსი — ანტიკური მაღალი ხის ფეხსაცმელი, რომელსაც  
ტრაგედიის მსახიობები იცვამდნენ.

16. დელმატია — დამაცია — ილირია. აქ, ძვ. წ. 40 წელს,  
პოლიონის კონსულობაში, რომაელებმა დამარცხეს პაროები.

23. იგულისხმება პარკუს პორტიუს კატონ უმციროსი,  
იხ. შენ. I, 12, 36

25. აფრიკელები — კართაგენელები. კართაგენის მფარველ  
ლუთაებად ითვლებოდა იუნო.

27. იუგურთა — კართაგენის მომიჯნავე ქეყენის — ნუმიდიის  
შეცე, რომელიც ძვ. წ. 111—105 წლებში რომაელებს ეომებოდა და სას-  
ტიკად დამარცხდა. რომაელებმა იგი დატყვევეს და შიშილით მოა-  
კიდინეს.

25—28. აქ, იგულისხმება იულიუს კეისრისა და პომპეუსის ბრძო-  
ლა, რომელმაც 10.000 რომაელის სიცოცხლე შეიწირა.

36. დავნია — ასულია. აქ — იტალია.

38. სიმონიდე კეოსელი — ძვ. ბერძ. ქორიკოსი პოეტი.

39. დიონე — ვენუსის დედა; თვითონ ვენუსი.

## 2

1. პორაციუსი მიმართავს ცნობილი ისტორიკოსის სალუსტიუსის  
დის შეილიშვილს გაიუს სალუსტიუს კრისპუსს — უმცროსს: იგი ახლ  
იყო ავგუსტუსთან და დიდი სიმღიდო ჰქონდა, მაგრამ ხარბი არ ყო-  
ფილა და ქველმოქმედებას ეწეოდა.

მღიდარი და ბეჭინერი ისაა, ვინც სიძუნწესა და სიხარბეზე აღმა-  
ლლდა. ოდის დედააზრს საფუძვლად უდევს სტოელთა დებულება „მხო-  
ლოდ ბრძენია მღიდარი“ („პოტი პო სოფოს პლუსიოს“).

5. გაიუს პორტულეი იუს, მეცნიერის შოუვარე კაცმა,  
სახელი გაითქვა იმით, რომ სამოქალაქო ომში დაზარალებულ ძმებს მა-  
მობა გაუწია და მთელი თავისი ქონება დაუნაშილა.

11. გაღესი — ფინიკიულთა შეერ დარსებული ახალშენი ესპანეთის სამხ. სანაპიროზე (აწ. კალიქსტ).

17. ფრაგტე — პართების მეფე (ძვ. წ. 1 ს).

20. კირთსი — სპარსთა სახელმწიფოს ფუძემდებელი.

8

## ურმილეული პირდების გარემონი

გვინტეც დელიუსი, რომელსაც პოეტი ურჩევს იმპერიანის ური ცხოვრებით დატყბობას, პოლიტიკურად მერყევი პიროვნება იყო. ბოლოს ვეგუსტუსის მხარეზე დადგა.

15. სამი და — ბედისწერის სამი ღმერთქალი (რომ. ვარკები, ბერძნ. ვითა ე ბ ი), რომლებიც ადამიანის ბედის ძაფს ართავენ.

22. ინაქე — არგოსის მითიური მეფე, ისი მამა.

24. ორკესი — საიქიოს ღმერთი (ვლუტონი). მის სახელოში მივალებულთა სულები ნავით გადაჰყავდა მდინარე სტიქსზე ქარონს.

4

პოეტი ურჩევს ქსანთიას, ნუ ერცვინება მსახური ასულის ტრონი. ვინ იცის, ევგესტ კეთილშობილი წარმოშობისაც იყოს? ამის მაგალითი ხომ ბევრია წარსულში!

4. იგულისმება ტყვია ქალი — ბრისეიი, რომლის გამოც წაეკიდნენ ერთმანეთს აქვეელთა წინამძღოლი აგამემნონი და ფეხშარდი აქილევსა.

7. ატრიცუა ავამემნონმა ხასად წაიყვანა ტროის მეფის მისანი ასული კონდომი.

15. ბერკოტები — კერის ლეთავებები.

23—26. აქედან ჩანს, პორაციუს ეს ოდა ძვ. წ. 25 წელს შეუთხავს (პირველი დამბადა ძვ. წ. 65 წელს).

5

ანტიკურ პოეზიაში უმწიფარ გოგო-ბიჭებს ხშირად დეკეულს (უშობელს) და მოჩევერს უწოდებენ.

20. გეგესი (Gyges) მც. აზიური სახელია ვაეიისა (შლრ. „გ ი გ ა“).

პოეტს სურს სიბერის უამი თავის მეგობართან ურთად გაატაროს მდინარე ანიოზე მდებარე ლაციუმის ქალაქ ტიბურში; ანდა მდინარე გალუშუსთან ახლო გაშენებულ ტარენტუში.

2. კანტაბრები — მეომარი ტომი ჩრდ. და. ესპანეთში; ძვ. წ. 20—19 წლებში დამზორჩილა სარდალმა აგრიპატ.

9. პარკნი (პარკები იხ. შენ. II; 3, 15) ბედისწერის ღმერთადები.

10. ტყავდაკრული ცხვრის ფარა — ძველად ასეთი

წესი იყო; პეტყისა და ავდოისაგან რომ დაცვათ გაცული, ცხვრების  
სხეულზე ტყაეს აფარებდნენ. ამგარად მოვლილი ცხვრის მატყლისაგან  
საუკეთესო ხარისხის შალს იღებდნენ.

12. სარტყელი ფილანთუ სი ტარენტუმის დამაუკინებლად რეზი

რისტური გარება

7

ამ ოდაში პორაციუსი თავისი ძველი მეგობრის, პომპეიუს ვარუსის,  
დაბრუნებით გამოწვეულ სიხარულს ამეღავნებს.

პომპეიუს ვარუსი ჩესპუბლიკური პარტიის წარმოშადგენელი იყო  
და რომში დიქტატურის დამყარებას ებრძოდა.

რომში დაბრუნდა ოქტავიანუსის ამნისტიით (ძვ.წ. 29 წელს).

7. სირიული მალობათ რონი — ერთგვარი მცენარე.

9. ძვ.წ. 42 წელს ოქტავიანუსმა და ანტონიუსმა ფილიპონ ბრძო-  
ლაში დამარცხეს ბრუტუსისა და კასიუსის მხედრობა, ბრუტუსის მხა-  
რებები მაშინ პორაციუსიც იბრძოდა პომპეიუს ვარუსთან ერთად და ძე-  
ულმა ფარიც კი დაკარგა (ბრძოლაში ფარის დაკარგვის მოტივი ცნო-  
ბილია ანტიკურ პოეზიაში.) პირველად იგი ძვ.წ. VII ს-ის ბერძენი  
იმპერატორის არქილოქე პაროსელის ლექსში გვხვდება.

26. ედონები — თრავიელები.

8

ბარინე, ვისიც ეს ლექსი ეძღვნება, ეტყობა, ერთ-ერთი ჰეტერა-  
თაგანი იყო.

9

გაიუს ვალგიუს რუტუსი მეცენატის წრის მწიფნობარი  
პოეტი — ელევიონის იყო. პორაციუსი ტრადიციული მაგალითებით ანუ-  
გვხებს გას და ურჩებს შეწყვიტოს შეილის თუ ნაშვილები მის ტეს  
დაკარგვით გამოწვეული გლოვა.

3. კასპიუმი — კასპიის ზღვა.

7. გარგანუსი — აცულების შთა.

13—14. აქ იგულისმება ტროას რმის მონაწილე მოხუცი, ტემილ-  
მოუბარი ნესტორი, რომლის ვაჟიც — ანტილოქე ბრძოლაში მოქლეს.

15. ტროილუსი — ტროას მეფის პრიამოსის უმცროსი ვაჟი,  
რომელიც აქილევსმა მოკლა.

21. მედები — პართები.

23. გელონები — სკეითური ტოში.

ეს. ცნობილი ოდა პორაციუსშია მიუძღვნა მეგობარს, ძვ. წ. 23 წელს  
კონსულად მყოფ ლუკიუს ლიკიუნიუს მეგობარი მამელია  
ძვ. წ. 22 წელს სიკვდილით დასაჯა ავგუსტუსის წინაღმდეგ მიმართულ  
შეთქმულებაში მონაწილეობისათვის.

ოდაში პოეტი ადრესატს მოუწოდებს, ყოველ საქმეში, ბედსა თუ  
უბედობაში, ლიცეის ზომიერება ანუ ოქროს შუალედი (aurea medeo-  
critas).

პოეტი მეგობარს, კვინტიუს პირპინუსს, ურჩევს, ცხოვრება ლალო-  
ბაში გაატაროს.

22. ლიდე — ერთ პეტერათაგანი

(23—24. ! ლაკონიურად; გაშლილი თმა — სპარტელ  
ქალწულთა წესით გაშლილი თმა.

პოეტი ხოტბას ასხამს მეცნიერის ახალგაზრდა ცოლს ტერენციას,  
მეტსახელად ლიკი მნიას.

2. ჰანიბალი — კართაგენელთა სარდალი მეორე პუნიკურ ოშში  
(ძვ. წ. 218—201). ნუ მანცია — ქალაქი აღმოს. ესპანეთში, რომშა  
დაიმორჩილა ძვ. წ. 133 წელს.

6. ჰილეუსი — კენტავრთაგანი.

8. ტელუსი — ბერძ. გვა, დედამიწის ლმერთქალი.

11. რომაელებს დაძლეული მტრის დატშვებული მეფეები, დი-  
დებულები და სხვა პირები გამოჰყავდათ სახეიმო პროცესიაში, ტრი-  
უმფში, რომელიც „წმინდა გზისა“ (Sacra via) და ფორუმშე გავლით  
კაპიტოლიუმისაკენ მიემართებოდა.

22. აქე მენე — სპარსთა სამეფო მოდგმის მამამთავარი, რომ-  
ლის სიძლიდრე საარაკოდ ითვლებოდა.

23. მიგდონები — ტომი ფრიგიაში.

ოდა შეთხულია შემთხვევის გამო, როცა პოეტი კინალამ იმსხვერპლა  
საკუთარ ეზოში მოხეთქილმა ხემ.

8. კოლხური შხამი — venena colcha: წამალომქეთებლო-  
ბით სახელგანთქმული იყო ძველი კოლხეთი. ამ გრძელეულ ხელოვნებას  
ჟეკატესა და კირკესაგან დაუცულა კოლხთა გამგებლის აიეტის ასული  
მედეა.

პორაციუსი თავის „ოდებში“, ეპოდებსა და „წერილებში“ ჩვირად  
იმოწმებს არგონავტების თქმულებას; იგი მოიხსენიებს კოლხებს, იასონს,  
მედეას, კოლხურ წამლებს... პორაციუსის თხზულებათა სქელითებში,  
რომელთა შედგენა პომპონიუს პორფირონსა და პელიკუს ფრთხის  
მიეწერებათ, გაღმოცემულია არგონავტთა თქმულების შინაპონის ჭასა  
თანადო განმარტებები (იხ. ავაგი ურუშაძე, ძველი კულტურის პრინციპები  
ბის თქმულებაში, თბილისი, 1964, გვ. 97—98).

15. პუნიკული — კართაგენელი.

21. ეაკუსი — ბერძნ. მით. გმირი, ზევსის (იუპიტერის) ძე,  
ეპიდების (პელევისის — აქილევისის — ნეოპტოლემეს) წინაპარი. სიკედი-  
ლის შემდეგ სიქიოს მასაჭულად დაყუნეს ღმერთებმა, როგორც მინოსი  
და რადამანთისი:

35. ასთავიანი ურჩეული — კერძერი (ცერძერი).

37. პელოპის მამა — ტანტალოსი.

39. ორიონი — მითიური მონალიზე, რომელიც არტემიდემ მო-  
კლა ძალადობისათვის. მითის სხვა ვარიანტით, იგი სიქიოს სამეფოში კი  
არ იშეოლება, არამედ თანავარსკვლაველადაა მიჩნეული.

#### 14

ცხოვრება ხანმოკლეა, სიკედილი — გარდაუვალი. პოსტუმუსი,  
ეტყობა, კონკრეტული პირი კი არ არის, არამედ განზოგადებული სახეა  
კაცისა, რომელიც ქონების დაგროვებას გაუტანია და ვერ შეუგნია  
ამაოება ამა ქვეყნისა.

7. მწუხარების ტალღა — მწუხარების მდინარე, სიქიოს  
სტიქსი.

8. გერიონი — სამფაშევანი ურჩეული, რომელსაც პერულებმა  
(პერაკლემ) ხარები მოსტაცა. ტირიოსი — საიქიოში შებორკილი  
ურჩეული, რომელშაც ღმერთებალ ლეტოშე (ლატონაზე) ძალა იხმარა და  
რომელიც პოლონშა და არტემიდემ მოკლეს.

14. ჰალიია — აღრიატიების ზღვა.

17. კოციტუსი — კოეიტოსი — საიქიოს სამეფოს მდინარე. სხვა  
ძეური მდინარეებია: სტიქსი, აქერონტი, პერიფლეგატონი და ლეონ  
(- „დავიწყების წყალი“).

18. დანაოსის ჭილაგი — ეგვიპტის მეფის დანაოსის ასუ-  
ლები, რომლებიც ქმრების დახოცვის გამო დაისაჭნენ.

24. კვიპაროსი — მიცვალებულის სახე.

#### 15

ამ ოდაში პოეტი ფუფუნების წინააღმედგ ილაშქრებს და წინაპართა  
ცხოვრების უბრალო ნირს საიმუშოდ მიიჩნევს.

4. ლუკრინუსი — ტბა კამპანიაში.

5. ჭადარი, როგორც ცნობილია, დექორატიული ხეა. სხვა ხე მასთან  
ვერ ხარობს.

12. მარკუს პორციუს კატონ უფროსი — სენატორი და  
ისტორიკოსი (ძვ. წ. 234—149) ფუფუნების წინააღმდეგ იბრძოდა.

16

## პირდაპირი განვითარება

პოეტი ხოტბას ასხამს ზომიერებას, სიმშვიდესა და პოეზიის მაღლას.  
პომპეიუს გრისფუსი, ეისაც ოდა ეძღვნება, მხედართა წოდების უმდი-  
ღრესი მემამულე იყო სიცილიში.

15. ვერცხლისა თუ სპილენძის სამარილე ტრადიციულ სამემკვიდრო  
ნიუთად ითვლებოდა ყოველ ფასზე.

17

ლექსი ეძღვნება ავადმყოფობილ თავდაბსნილ მეცენატს.

14. გიე სი (გიასი) — ასხელიანი გოლიათი, რომელიც შებორ-  
კილია საიქიოს სამეცნიში.

27—29 იბ. II, 13 ოდა.

18

პოეტი ბედნიერია იმით, რომ მოზომილი ცხოვრებით ცხოვრობს.  
საბრალოა სიმდიდრისავენ მლტოლეველი კაცი, რომელსაც ავიწყდება სი-  
კვდილის მსახურალი ხელი.

4. ჰიმეტე (ჰიმეტოსი) — მთა ატიკაში, საშენი ხის მასალით სა-  
ხელგანთქმული.

12. აქ მეცენატი იგულისხმება.

14. საბინუ მი — მეცენატისაგან ნაბორები მამული პორაციუსია.

24. ბაია — მდიდარ რომაელთა საკურორტო ადგილი კამპანიაში.

35. ორკუსი — პლუტონი. მისი მსახურია საიქიოს მენავე ჭა-  
რონი.

19

პოეტი ხოტბას ასხამს ლვინისა და გართობის ღმერთს ბანუ სს  
(დიონისეს), რომლის ეპითეტებია ევოე, ლათინური ლიბერი.

10. თიადები — მენაღები — ბახუსის მხლებელი, ექსტაზიში  
შესული — აღზნებული ქალები (ბაქელები).

14. ბახუსის — დიონისეს შეულევა — არიადნე, მერმე ვარ-  
სკვლავად მიქელეული.

20. ბისტონიდები — თრავიელები, ბაქელი ქალები.

22. ჩეტუსი — გიგანტთაგანი.

პორაციუსი წინასწარ ჭერეტს თავისი პოეტური შემოქმედების უკვდავებას.

1. ორ მაგ ბუნებაში, არის ტოტელეს თანაბმაღ, იგულისხმება პოეტი, რომელიც სიკედილის შემდევ ადამიანის სულის შენაძენებით ფრთხოებან გედად გარდაისახება.

13. იკარუ სი — დედალუსის ძე, რომელიც მამასთან ერთად ხელოვნური ფრთებით კრეტის ლაბირინთიდან გაფრინდა და გზად დაიღუპა.

15. გიტულები — ტომი ჩრდ. აფრიკაში.

17. ჰიპერბორეაბი — უკიდურეს ჩრდილოეთში მოსახლე ტომი.

18. კოლხი და კოლხეთი არცთუ იშვიათად ფიგურირებს პორაციუსის თხზულებებში.

19. იბერიელი — ესპანეთის მკვიდრი.

20. როდანუ სი — მდინარე გალიაში (რონა.)

### გ ი გ ნ ი III

მესამე წიგნის პირველი ექვსი ოდა შინაარსით ერთი ციკლის შემცველია. მათ სალექსო საზომიც საერთო (ალკეოსისეული სტროფი) აქვთ.

ამ ოდების შინაარსი ეთიური — ფილოსოფიური ხასიათისაა. პოეტი მიმართავს ახალგაზრდობას და ამალებული მოძღვრებით მოუწოდებს მას ზნეობრივი აღორძინებისა და სრულყოფისაკენ. კეშმარიტი მოქალაქე უნდა ყდილობდეს არა მარტო პირადი ბედნიერების მიღწევას, არამედ სამშობლოს კეთილდღეობის შექმნას. პოეტის მოძღვრების იდეალებია: ზომიერება — მოკრძალება, მამაცობა, სამართლიანობა, მოქალაქეობრივი მოვალეობის ურყევი შესრულება.

ამ ოდებით პოეტი თითქოს ემიჭვება თავის საქმაოდ ხშირ მოწოდებას ამქეცენიური ცხოვრებით დატყბობისაკენ და, საერთოდ, ეგრეთ წოდებულ ეპიკურეიზმს.

### 1

პოეტის აზრით, სულიერი სიმშვიდისა და ბედნიერების წყაროა ზომიერება, მოქრძალება და არა სიმდიდრე და უუფლება.

27. ჰედუ სი — ქარიშხლის მომასწავებელი თანავარსკვლავი.

28. არქტურუ სი — უამინდობის ვარსკვლავი.

33—34. იგულისხმება ქებირთა მშენებლობა.

41. ფრი გიოს შარმარი ლო — მეწამული ფერის ძეირთასი ქვა.

43. აქებენური ფუფუნები — სპარსული ფუფუნება.  
46. ატრიუმი — დარბაზი.

2

## ურმილესი

ახალგაზრდა რომაელი სიმღიდრესა და ფულუნებაზე აზრ უდინდება.  
წრაფოდეს, არამედ მამაცობით სახელის მოხვევას.

13. სამშობლოსათვის სიკვდილი ტყილია და შეგამკობელი (dulce et decorum est pro patria mori).

26. კერესი — ბერძ. დემეტრე ღმერთქალი კერესის საიდუმლო  
— ელევსინის მისტერიების საიდუმლო.

29. დიესპიტერი — იუპიტერი.

3

დიდია სამართლიანობას მნიშვნელობა. სამართლიანობის გზაზე კაცი ზნეობრივ ძალასა და სიმამაცეს იძენს. იდეალურ სამართლიან გმირს მიწიერი ცხოვრების შემდეგ სამარადისო ნეტარება ელის ღმერთებთან. სამართლიანობა სახელმწიფოს კათილდღეობის საწინდარია, უმისილ იგი დაქცევა.

პოეტს პირდაპირ შეცვალოთ „ამბავთა შუაგულში“ (in medias res) და ლექსის დასაწყისშივე გვიჩატაეს სიმამაცეს, რომლის წყაროც სამართლიანობაა. შემდეგ ჩამოთვლილია გმირთაგმირები, რომლებიც სამართლიანობის წყალმინით ღმერთთა კრებულს მიერიცხნენ. ასეთ ჭილდოს პოეტი უწინასწარმეტყველებს ოქტავიანუს ავგუსტუსს — რომის დიად გამგებელს.

ინოს ვრცელ სიტყვაში ტროას დაცემის მიზეზი უსამართლობა იყო, ამიტომ არ უნდა აღდგეს ტროა!

გადმოცემის თანახმად, ავგუსტუსს თითქოს განზრახული ჰქონდა, ტროას აღდგენა და თავისი რეზიდენციის იქ გადატანა.

5. ჰადრიი — ადრიატიკის ზღვა; ავსტრია — სამხრეთის ქარი.

9—11. ესატორი და პოლუქსი (ბერძ. პოლიდევე); ზევსისა და ლედას ძეები, მრავალი საგმირო საქმის შესრულების შემდეგ, ღმერთებთან დამკვიდრდნენ და მონაცემლეობით ხან ოლიმპოს მთაზე ცხოვრობდნენ და ხან მიწის ქვეშეთში. ასევე ოლიმპომ შეითარა სიკვდილის შემდეგ ზევსისა და ალექსენს ძე ჰერაკლე (ჰერკულესი). ღმერთებთან აღმალლდება ასევე ნეტარი ოქტავიანუს ავგუსტუსიც.

16. კვირინუსი — რომის ფუძემდებელი რომულუსი, რომელიც სიკვდილის შემდეგ ომის ღმერთთა მარსმა ზეცად აღამაღლა და ღვთაებად აქცია.

18. ილიონი — ტროა.

19. ბილუ მსაჯული — პრიამოსის ძე პარისი, რომელმაც თავისი მსჯავრით ოქტოოს ვაშლი აფროდიტეს მიანიჭა.

20. აქ შევენიერი ელენე — ტროის ოშის შიზები  
 24. ლაომედონტი — პრიამოსის მამა, ტროის მეფე, რომელმაც  
 ტროის გალავანის შენებლობაში მონაწილეობისათვის ღმერთებს —  
 პოსეიდონსა და პოლონს აღთქმული ჭილდო არ უბოძა.
25. ლაკედონიერი მერავი — სპარტიდან გატყიბუბული  
 შევენიერი ელენე.

30—35. ღმერთქალი იუნო (პერა). აქ გულისხმობს რომულუსს,  
 რომელსაც ენეასის შთამომავლის ტროილი ქურუშის — ილიას ანუ  
 რეა სილვიას ძედ თვლის.

58. კვირიტები — რომაელი მოქალაქენი.

64. ღმერთქალი იუნო იუპიტერის დაც და შეუდლები იყო.

67. არგოსელები — აქაველები — ტროის წინააღმდეგ  
 მებრძოლი ბერძნები.

#### 4

შუზები ანიჭებენ მგოსანს ნიჭესა და სიბრძნეს. ისინი არიან მისი  
 მფარველებიც.

3. კალიოპე — პოეზიის (ეპონის) მუზა.

12. კოლტური — პულასა და ლუკინის შორის მდებარე მთა.

14—16. აქერონტია, ბანტია, ფორენტიური — პორა-  
 ციუსის შობლიური პულიის ქალაქის ვენუზის ახლოს მდებარე აღგო-  
 ლები.

26. ახალგაზრდა პორაციუსი იმყოფებოდა იულიუს კეისრის შევლელ-  
 თა — კასტესისა და ბრუტუსის ლაშქარში, რომელიც სასტიკად დამარ-  
 ცხდა ჰვ. წ. 42 წელს ფილიპთან გამართულ ბრძოლაში. აქ გაიმარჯვა  
 კეისრის მომხრეთა კოალიციამ იქტავიანუსისა და ანტონიუსის წინა-  
 მძღოლობით (ოდა II 7, 10).

27. ობ. ოდ. II, 13.

28. კალინურუსი — ლუკინის მთა, საღაც პორაციუსი დიდ  
 ქარიშხალს გადაურჩა.

34. კონკანები — ტომი ესპანეთის ჩრდი. სანაპიროზე მდებარე  
 კანტრაბრიგაში, რომელიც რომმა ჰვ. წ. 2—19 წლების ომთა შედეგად  
 დაიმორჩილა.

35. სკვითიის მდინარე — ტანაისი (დონი).

36—42. ოდის ეს ადგილი იმას გვამცნობს, რომ თვითონ იქტავიანუს  
 ავგუსტუსიც ერთობოდა ხოლმე ლექსების თხზით.

50—52. ჭაბუკმა ძმებმა — გოლიათებმა — ოტოსმა და  
 უფიალტეშ განიზრახეს თესალიის მთები, ოსა და პელიონი, ზევ-  
 სის საბრძანებელ ოლიმპოზე დაემხოთ.

53—75. გაღმოცემულია მითი ღმერთების ბრძოლისა გეას ძეებთან —  
 ტიტანებთან და გიგანტებთან.

69. გიოსი (გიასი) — ობ. ვენ. II, 17, 14.

75. የአዲሱ ሰው — 1. ስዕስታዊ ስምምነት; 2. ታይቶች በኩል.

80. პირით თუ სი — ლაპითების შეფეხ, რომელმაც თესევსთან ერთად საიქიონდან პერსეფონეს (პროზერპინას) გატაცება მოიწოდება. საჟიროს ღმერთმა, პერსეფონეს შეუღლე პლუტონმა, იგი საიკიონშივე შემოჩენა. თესევსს პერაკლემ დაიხსნა.

5

ოდის მიზანია წინაპართა გმირობის მაგალითშე ახალგაზრდას აღუძრას მოვალეობის გრძელობა, საშოთო მომსახურის თავდაცემა და მისი უსაზღვრო სიყვარული.

5. ქ. წ. 53 წელს რომაელი სარდლის კრისტიან ლეგიონერები პართების წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში ქალაქ კარეს თან (მე-სოპოტამიაში) დამარცხდნენ და შრავალი შათვანი ტკუნედ წაიყვანეს. რო-მაელი ტკუნები შემდეგ პართების სამსახურში ჩადგნენ და ცოლადაც პართელი ქალები შეირთეს.

13. რეგულუსი — მარკუს ატილიუს რეგულუსი, რომაელი სარდალი, რომელიც I პუნიკურ მაში დამატებდა და ვინც კართაგენელებმა ტყველ ჩაიგდეს მთელ ლაშქართან ერთად. კართაგენელებმა იმ პირობით, რომ უკან დაბრუნდებოდა, რეგულუსი ზავის წინადაღებებით რომს წარგზავნეს. რეგულუსმა სენატის ურჩია, არ დაედოთ ზავი კართაგენელებთან და დატყვევებული რომაელები არ შეენდოთ. პირობის თანახმად, იგი კართაგენში დაბრუნდა, სადაც წამებით ამოხალეს სულა.

18. პუნიური ტაძრები — კართავენის ტაძრები.

25-26. აქ ეს სიტყვები „რონითა ნათევამი (მხედარი ე. ი. ტყვე რომაელი).

6

პოეტი უჩივის ზეობის დაცემას და რომაელს მოუწოდებს აღადგინოს და დაიკვას სამშობლოს დიდება. საამისოდ, უწინარეს ყოვლისა, საპიროა ლერთთა სამსახური.

10. Յայռական սօ, թանգարակ — Առաջավագ և սահմանադիմությունը.

34. იგულისხმება რომაელთა მამავონტა I პონდის ღმერი.

35—36. პანიშალი — კართაგენელთა საჩდალი; ანტიოქია  
— სირიის მეფე; პირუსი — ეპირის მეფე.

7

## ურთისესი

### პირუსი

ამ ოდით პოეტი ერთგულებას უმღერის.

1. ასტერი — გოგონა ვინმე ვარსკელავსადარი. გიგესი — ვაძუყი ვინმე.

4. თინური საჭურჭლე — ბითვინიური (მცირეაზიული) სიმდიდრე.

5. თრიკუმი — ეპირის ნავსაღგური.

13—16. სიზიფეს შეილიშვილი, გმირი ბელერეფონტი, ცხოვრობდა ტირინთოს მეფის პრეტუსის კარზე. მეფის ცოლმა ანტეამ მოინდომა შეეცლინა ბელერეფონტი, მაგრამ ამან უკუაღლო დედოფლის ტროიალი. ანტეამ შური იძია და მეუღლეს შეაგონა, ბელერეფონტი ურჩხულ ქიმერას მოსაჟლავიდ გაეგზავნა. ბელერეფონტი შეება ქიმერას და მოკლა იგი.

17—18. პიპოლიტე — იოლკოსის მეფის აკასტეს მეუღლე.

8

პოეტი მეცნარს მოუწოდებს ზეიმით შეეგებოს მარის კალენდებს (მარტის დაღვომას) და ამ დროს გამართულ მატრონალებს — იუნო — ლუკინასად მი მიძღვნილ დღეობას.

1. თრივე ენა — იგულისხმება ბერძნული და ლათინური ენები.

18. კოტიზონი — დაყიის მეფე.

9

ეს ცნობილი ლექსი სამი წყვილი სტროფის შემცველია (1—8, 9—16, 17—24) და წარმოადგენს მიზნურთა დიალოგს.

პირველ წყვილ სტროფში ასახულია მიზნურთა წარსული ბედნიერება, მეორეში — ნუგეში ახალი სიყვარულისა, მესამეში კი — შერიგება.

23. პატრია — იხ შენ. II, 14, 14.

10

ამ ლექსის აღრესატი ლიკე პეტერას გამზოდებული სახეა.

1. დონი — ორიგინალშია მისი ძეველმერძნული სახელი ტანაისა.

11

პირველ ექვს სტროფში პოეტი მიმართავს მერქურიუსს და მის გამოგონებულ ჩანგს, ლიდეს მოთვინიერებაში შემწეობა აღმოჩენის.

14. პორაციუსი

209

მერკურიუსშა კუს ბაჟანზე ლარები გასჭიმა და გაცეტა ჩანვი — ლირა, რომელიც უკულისშემძლეა. დანარჩენ სტროფებში დანაიდების ამბავია გაღმოცემული.

2. ა მ ფ ი ო ნ ი ზევსისა და თებეს მეფის ასულის ანტიოქეს დე, რომელიც ოსტატურად აკლერებდა ჩანგა. თებეს შეეხებლა და ამ ამფიონის ჩანგის ხმაშე ქვები თავისით ლაგლებოლწენ ერთმისნერზე.

13—20. ა ე გულისხმება ლეგენდარული ორფეებით ჩანგისა და სის ლერის ძალა, ორფეების და ევრიდიცეს ყოფნა საიქიონს სამეფოში.

22. ი ქ ს ი ო ნ ი — ლაპითების მეფე. პერას ხელყოფისათვის საიკიონში მარად მბრუნავ ბორბალს მიაჭაქვეს.

ტ ი ტ ი ო ს ი — ევბეელი გოლიათი, რომელიც ღმერთქალ ლეტოს (ლატონის) შეურთაცხოვისათვის საიქიონში ჩააგდეს და მარად ლვიძლის მკრძალვი აჩვივე მიუჩინეს.

27—52. არგოსის მეფის დანაოსის ბრძანებით მისმა ქალიშვილებში (დანაოსს 50 ასული ჰყავდა) პორტინების ღამეს დაბოცეს მოძალადე საქმრები. მხოლოდ უმცროსმა ასულმა პიპერმნესტრებ არ მოკლა საქმრო ლინჯვესი. მკვლელ ასულებს მიუსაჭეს საიქიონში უძირო ქვევრში მარადიულად წყლის სხმა.

47. ნ უ შ ი დ ი ა — შხარე ჩრდ. აფრიკაში.

## 12

ლექსი ეძღვნება ვინმე ასულს, სახელად ნეობულეს.

ამ ლექსში პორაციუსი პბაძავს ალექოს, რაც ალექოსის ლექსის ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტიდან ჩანს.

4. კითერეა — ეპითეტია ვენუსისა (ბერძ. ოფროლიტესი), რომის ვაჟი არის კუპიდონი (ბერძ. ეროსი).

5. ლ ი პ ა რ ა — კუნძული სიცილიის ჩრდილო კუთხეში.

## 13

2. ბ ა ნ დ უ ზ ი ი — წყარო პორაციუსის მამულის გახლობლად საბინთა მხარეში.

## 14

ოდა ეძლვნება სამი წლის ბრძოლების შემდეგ ესპანეთში კანტა-ბრებზე გამარჯვებული ოქტავიანუს კეიირის რომში დაბრუნებას ძვ. წ. 24 წელს. 5—8 ოქტავიანუს ავგუსტუსის შეცლლე იყო ლიკია; დასოქტავიანა ერქვა.

18. მარსებთან ომი ანუ ე. წ. „მოკავშირეთა ომი“ ძვ. წ. 91—88 წლებში მიმდინარეობდა.

19. ს პ ა რ ტ ა კ ი — გლადიატორთა და მონათა ამბოხების შეთა-  
ური ქ. წ. 74—71 წლებში.

21. ნ ე ე რ ა — ერთი ჰეროინა.

27. ლ უ ც ი უ ს მ უ ნ ა ც ი უ ს პ ლ ა ნ კ უ ს ი ღ რ მ ი ს კ ლ ს ს უ ლ ი  
ქ. წ. 42 წელს, როცა ფილიპთან ბრძოლა მოხდა.

## 15

ასაკგადაცილებულს არ შექმნერის ტრუობით გატაცება. ასეთია ამ ლექსის დედაბიზრი...

8. ქ ლ ო რ ი ს ი — სიბერეს მიღწეული ქალის ირონიული სახელია.  
იგი მომდინარეობს ბერძნული „ქლოროს“ სიტყვიდან, რაც „გაყვითლე-  
ბულს“, „ჩაქამბებულს“ აღნიშვნაა.

11. ნ თ უ ს ი — ჭაბუკი ვინე.

13. ლ უ კ ე რ ი ა — პეულის ქალაქი, რომელიც განთქმული იყო  
მატყლის წარმოებით.

## 16

პოეტი კიცხავს სიმღიღრისადმი უსაზღვრო მისწრაფებას. ამ ოდას  
კარგად ესადაგება რუსთაველის ნათქვაში „ნახე, თუ ოქტო რასა  
იქ მს, კვერთხი ე შემაკთა ძირის ა“.

1—8. არგოსის მეფე, აკრისიას, უმისნეს, რომ შეილიშვილი მო-  
კლავდა. აყრისიამ თავისი ულმაზესი ასული დანაე ცხრაკლიტულში ჩა-  
ამწყვდია, რათა არავინ მისქარებოდა. დანაეს ტრუობით აღგზნებულმა  
ღმერთთა და აღამიანთა მამა ზევსმა (იუპიტერმა) ოქროს წვიმის სახით  
შეაღწია დანაეს სადგომში, დაუკავშირდა ასულს და ამგვარად აკრისიას  
მაინც შეეძინა შეილიშვილი — პერსევერი.

11. არგოსის მეფე და მისანი ამფიარაოსი ოქროს საჩუქრით მოს-  
უდულმა ცოლმა დასალუპავად თებეს წინააღმდეგ მშეი გაგზავნა. ამფია-  
რაოსი ბრძოლაში დატყუ. მისმა ვაუმა ალქმეონმა შური იძია და დედა  
სიცოცხლეს გამოასალმა.

15. მ ა კ ე დ ო ნ ე ლ ი — იკულისხმება ფილიპე მაკედონელი —  
ალექსანდრეს მამა, რომელიც ამბობდა თურმე: „აკილებ ყოველ ციხე-  
სიმაგრეს, სადაც კი ჩემი ოქროთი დატეირთული ჭორი აკაო“.

18. მ ე ც ე ნ ა ტ ი მხედართა (ქედვიტების) წოდებას ეკუთვნოდა.

34. ლ ე ს ტ რ ი გ თ ნ უ ლ ი დ ო ქ ი — იმ აღგილის (ლაციუმის  
ფორმის) ლეინო, სადაც თითქოს პომეროსის ლესტრინგონების ლეგენ-  
დარული ტომი ცხოვრობდა.

41. ი ლ ი ა ტ ე — 1. ლიდია, 2. ლიდიის სიმღიღრით განთქმული  
მეფე — კრენეს მამა.

42. მ ი გ დ ო ნ ი ა — ფრიგია, რომლის მეფე მიდასი დიდი სიმღიღ-  
რით იყო ცნობილი.

ეს ლექსი ერთგვარი პაროლია პორაციუსის მოღვაწეობის დროს რომში მოდადებულ მისწრაფებაზე — ასე თუ ისე გამოჩენილ კაცს თავისი წარმომავლობა მითიური წინაპრის სახელისათვის დატყვევებულ მიზანი.

1. ლუციუს ელიუს ლამია — იხ. I 26. ლამიების მოღვაწმითავის წინაპრად თვლიდა პომეროსის „ოდისეაში“ მოხვევებულ კუცკუჭმია ლესტრიგონების მეფეს ლამუსს, რომელსაც ლაციუმის ქალაქის ფორმის დაფუძნებას მიაწერდნენ.

2. მარიკა — ნიმფა, ფაენუსის მეულე, რომლისადმიც მდინარე ლირისის სანაპირო იყო შეწირული (ლაციუმის ქალაქ მინტურნესთან).

## 18

ლექსი ეძღვნება ფაენუსის (ტყეთა და ჭალათა და აგრეთვე მწყემსთა მფარველი ღმერთის ფაენუსს დღეობას ფავნალიას).

9. ნონები — თვის 7 რიცხვი მარტში, მაისში, ივნისსა და ოქტომბერში, ხოლო დანარჩენ თვეებში 5 რიცხვი. ფაენალია იმართებოდა 5 დეკემბერს.

13. ფავნუსი (გაიგივებული ლეთაება პანთან) მგლისგან საქონლის დაცველიცა (ლუპერკუსია).

## 19

პოეტი ჭაბუკ ტელეფუსს ლხინისა და ტრფობისაკენ უხმობს.

1. კოდრუსი — ათენის მეფე, რომელმაც საკუთარი თავის განწირებით ატიკა დორიელთა თავდასხმისგან იხსნა.

2. ინჯუსი — არგოსის მითიური მეფე იოს მამა.

10. მურენი — რომაელი ავგუსტი-ტრანველთმისანი, მეცენატის მოყვარე.

13. კენტი დები — ხელოვნების მფარველი ცხრა და.

16. გრაცია, გრაციები — შშვენების სამი ღმერთქალი (ცვეროსინე, აგლეა და თალია), იუპიტერისა და ევრინომეს ასულები, ვენუსის მხევალნი.

19. ბერეკინთიული — ფრიგიული.

## 20

პოეტი ურჩევს ჭაბუკ პირუსს, ნეარქეს ტრფიალების უამს გაუტრთხილდეს ვინმე დიაცს, რომელსაც ასევე შეპყვარებია ყრმა ნეარქე და ვით მძვინვარე ძუ ლომი თავის ბოკვერს, ისე იცავს თავისი ვნების საგანს სხვისი ხელყოფისაგან.

13—14. ტრფობის ობიექტი — ლამაზი ყრმა ნეარქე ამავე დროს შეაგრძლივა და ელოდება პირუსისა და ვინმე დიაცის შჩძლის

შედეგს, რათა პალმის რტო, რომელზეც უძინი დაუდგამს, გამარჯვებულ  
უბოძოს, მას დაწებდეს.

15—16. ნიჩევსი — ტროის ომში მონაწილე ბერძენთა შორის  
ულამაზესი ვაჟკაცი; წყალუხვი იღის მთიდან მორაც მულის მიზე  
მეფე ტროისი უშვევნიერესი ვაჟი განიმდიდო, რომელიც ზესხა  
(უპიტერშა) თავისი არწივით გაიტაცა და ოლიტის მთანაც დაგრძების  
მერიქიფულ აქცია.

21

1—2. პორაციუსი მიმართავს მისი დაბალების ღლიდან (ძვ. წ. 65 წ.)  
გადანახულ ლვინით სავსე პურპელს.

ძვ. წ. 65 წელს რომის კონსულები იყვნენ: ლუციუს მანლიუს ტორ-  
კატუსი და ლუციუს ავრელიუს კოტა.

7. პარკუს ვალერიუს შესალა კოჩვინუსი (ძვ. წ.  
64 — ახ. წ. 9) — პოლიტიკური მოღაწე და მწერალი, პორაციუსის  
მეგობარი.

24. ფებუსი — პოლონი, ლერთი, რომელიც მზის ეტლით და-  
ქრის ცის კამარაზე და განთიადზე ვარსკვლავებს აქრობს.

22

ტყეთა და ჭალათა მეულე ღიანას (*Diana nemorensis*) პოეტმა შესწი-  
რა დიდი ფიტვის ხე.

1. სამსახოვანი დიანა — 1) მიწაზე — ნაღირობის მფარ-  
ველი (არტემიდე), 2) ცაზე — მოვარის ღმერთქალი (სელენე ანუ თებე),  
3) მიწისქვეშეთში — სულთა მეულე (პერტე).

23

პოეტი უბრალო, სოფლელ მშრომელ ჭალს — ფიდილეს შეაგონებს,  
რომ კერის მფარველ ლეთაებებს, ფუძის ანგელოზებს — ლარებს,  
თუ პენატებს სრულიად დააქმაყოლებს მოქრძალული მსხვერ-  
პლი, თუ იგი წმინდა გულით და სპეტაკი ხელებითაა შეწირული.

9. ალგიდუსი — იხ. შენ. I, 21, 5.

11. ალბას ველი — ლაციუმის ძველი ჭალაქის ალბა —  
ლონგას მახლობლად გადაშლილი ველი, რომელიც ტაბართა და მათ ქუ-  
რუმთა განკარგულებაში იყო.

24

ეს ოდა აგრძელებს III წიგნის პირველ ექვს ღლაში გადმოცემულ  
მოძღვერებას: უსაზღვრო სიხარუს და მისწრაფება სიმღიდრისაკენ — ბო-  
როტებაა.

5—6. ბედის წერა — (ორიგინალშია Necessitas. ბერძნული „ανάστασις“) ყველაფერს განაცხადს;  
— სოლების უმაღლეს მწვერვალებზე მიჭრობა „ბედის გარღაუვალობის ძალის სიმბოლოა.

9—24. სკიოთებისა და გეტების ლალსა და უბრალო ცხრკვებას პოტენციულუნებასა და გარყვნილებაში ჩაფლული რომის უხრიტების წესის უზრუნველყოფის რისპინებს.

45—48. მაცლენებელი თვალმარგალიტი და ოქროს ზოდები ან კაპიტოლიუმს (იუპიტერის ტაძარს) უნდა შევწიროთ ანდა ზლვაში გადაყაროთ — ასეთია ამ სტრიქონების მოწოდება.

## 25

ეს ლექსი დიონისე — ბაზუსისადმი აღვლენილი დითირამბია.

6. კეისარი — ოქტავიანუს ავგუსტუსი.

9. თრაკიი ე ვ ჰ ი ა — თრაკიილი ბაქ्�ხელი ქალი (ევპიუსი — ბაზუსის ეპითეტია).

12. როდოპე — შთა თრაკიასა და მაკედონის შორის; კებრუსი თრაკიის მდინარე (აწინდელი მარიცა — ბულგარეთში).

15. ნაიადები — წყლის ნიმფები.

19. ლენევსი — დიონისე — ლიბერის ეპითეტი.

## 26

ოდა ანაკრონტისებურია.

9. კვიპროსი — ვენუსის დაბადების ადგილია

10. მემფისე — ეგვიპტის ქალაქი. ვენუსის კულტი ეგვიპტეში ღმერთებას ისისის კულტს გაუთანაბრეს.

## 27

პოეტი მსუბუქი იროვნით მიმართავს მორწმუნე გოგონას — გალატეას („რძისღარს“) უსურვებს ბელიერებას და მოაგონებს თქმულებას ევროპეზე.

16. უბელურების მაუწყებელ ფრთოსნად დასახელებულია კოდალაც picus.

25. ე ვ რ ი პ ე — ფინიკის მეფის აგენორის ასული, რომელიც კრეტეზე გაიტაცა ხარალქეცულმა ზევსმა (იუპიტერმა).

34. კუნძულ კრეტის „ასქალაქოვნალ“ (კეკატომბრი 6) პომეროსი მოიხსენიებს „ილიადაში“ (II, 649).

## 28

ლექსი ეძლვნება ზლვათა და ოქეანეთა მეუფის ნეპტუნუსის ზეიმს, რომელიც რომში 23 ივლისს იმართებოდა.

პოეტს სურს, ეს დღეობა თავის მსახურსა და სატანფო გოგონა და-  
დესთან ერთად გაატაროს.

7. მარკუს კალპურნიუს ბიბულუსი, კონსული იყო  
ძვ. წ. 59 წელს. მისი სახელი აქ ხუმრობითაა მოხსენიებული, ბრძილუსი"  
ლათინურად „მსმენელს“ აღიშნავს.

10. ნერეიდები — ზღვის ლოთაების ნერების ასახულები.

12. კინთია — დიანას (არტემიდეს) ეპითეტი.

13—15. აქ იგულისხმება ვენუსი, რომლისადმიც შეწირული იყო  
ეგვიპტის ზღვის კუნძულები: კნიდოსი, პაფოსი, კიკლადები. ვენუსის  
ერლში ჩვეულებრივ მტრედები არიან შებმული.

პორაციუსი მეცენატისაღმი მიძღვნილ ამ ოდაში კელავლაქვლავ ავი-  
თარებს აზრს იმის თაობაზე, რომ „ხვალინდელ დღეზე ხვალინდელმა  
ლემ უნდა იშრუნოს“. კაცი უნდა დაელოდოს სალამოს, რათა თქვას,  
ლემ უნდა იშრუნოს. კაცი უნდა დაელოდოს სალამოს, რათა თქვას,  
რომ დღე კარგად განვლო; „მოკვდავს სვებელნიერი არ ეწოდების, ვიდ-  
რ უნდღლოდ არ მიაღწევს ცხოვრების აღსასრულს“ (სოფორე,  
„ოიდიოს მეფე“ 1528—1530).

1. ტირენელი — ეტრუსკული წარმომავლობისა.

7. ეფული — ლაციუმის პატარა ქალაქი.

8. ტელეგონეს ქედი — ტელეგონუსი, ტესკულუ-  
სი — პატარა ქალაქი რომთან ახლოს მდებარე, რომლის ღაარსებას  
თქმულება მიაწერს ოდისევისია და კოლხთა მეფის, ავეტის,  
დის კირკეს ვაკეს ტელეგონეს, ვინც მამა მოკლა.

10. მეცენატს ესკეილინის ბორცვზე ედგა სასახლე, საიდანაც რომსა  
და მის მიმდებარე არემარეს გადასცეროდა.

17. ანდ რომედას მამა — კეფევსი. მისი ასული ანდრომედა  
ზღვის ურჩხულისაგან დაიხსნა პერსევსმა. კეფევსი ფინიკიაში მეფუძდა.  
სიკედილის შემდეგ ვარსკვლავთ მიარიცხეს.

კეფევსის, ლომისა და პროკონის ანუ ძალლის (სირიუსის) თანა-  
ვარსკვლავთა გამოჩენა ივლისის ხვატს მოასწავებს.

23. სილვანუსი — ტყე-ველთა და მდინარეთა სანპიროების  
ლოთაება.

27—28. სერნი შორეული აღმოსავლეთის ტომი; ბაქტრია —  
სპარსთა სასატრაპოს ბაქტრიის ქალაქი; ტანაისი — დონი.

65. ტყუპი პოლუქსი — იგულისხმება „ღიოსკურების“ თანა-  
ვარსკვლავედი.

თავისი ოდების პირველ გამოცემას (ძვ. წ. 23 წელს) პორაციუსში  
სწორედ ეს ლექსი დაურთო ეპილოგად, რომელშიც დამსახურებული

სიამაყით შეაფასა საკუთარი პოეტური მოღვაწეობა.

5. აქვილონი — „ჩრდილოეთის ძლიერი ქარი.

7. ლიბიტინი — მიცვალებულთა რომაული ცეთაება.

11. ავფილუსი — მდინარე ჰორაციუსის მშობლობის პატარაში.

12. დაცნუსი — იბ. შენ. I, 22, 14.

15. მელპომენი — იბ. შენ. I, 24, 4.

## შიგნი IV

### I

პოეტი ეველრება სიყვარულის ლმერთქალ კენუსს, რათა დაეხსნას მას, შუახანს მიღწეული კაცს, რომელსაც ტრფობის უამი გარდასულია.

4. კინარი — ჰორაციუსის ყრმობის უმინდელი სატრუკ გოგონა, რომელიც იძრე გარდაცვლილა.

10. პაულუს ფაბიუს მაქსიმუსი — კონსულად მყოფი ძ. წ. 11 წელს ავგუსტუსის უერთგულესი თანამდგომი. ერყობა, ოდის შეთხვეს უამს, პაულუსი ახალგაზრდა კაცი იყო და ლალ ცხოვრებას ეწეოდა.

19. ალბანუსის ტბა — ტბა რომის მახლობლად.

26—27. იგულისხმება ქურუმ სალიების ფერხული.

33. ლიგურინუსი — კაბუკი ვინქე.

### 2

ძ. წ. 15 წელს ოქტავიანუს ავგუსტუსმა დაიმორჩილა სიგამბრების გერმანული ტომი. ახალგაზრდა პრეტორმა იულუს ანტონიუსმა ჰორაციუსს დავალა, რომში გამარჯვებით დაბრუნებული ავგუსტუსისადმი მიძღვნილი დიდი სახოტბო სიმღერა (პანგვირიკი) შეეთხშა. ჰორაციუსმა იულუსს ამ ოდით უპასუხა. მასში, ისევე როგორც პირველი წიგნის მე-9 ოდაში, ჰორაციუსი აღნიშნავს, რომ დიდი ეპიკური ლექსების თქმა მას ხელარეწიფების, რომ მისი მოწოდება მოქრძალებული ლირიკული პოეზიის სამსახურია. ამას ეყრდნობა სიმბოლური დაპირისპირება გე-დისა და უუტერისა (გედი — პინდარეა, უუტეარი — ჰორაციუსი).

1. იულუს ანტონიუსი (დაბ. ძ. წ. 44 წელს) ტრიუმვირის მარქეს ანტონიუსის ძე იყო. გამოზარდა იგი დედინაცვალმა, ავგუსტუსის დამ — ოქტავიამ. იულუსი, გაღმოცემით, პოეტი ყოფილა და შეუ-თხშავს თორმეტი წიგნის შემცველი ეპიკური პოემა „დიომედეა“.

